

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ა. ჭიჭელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი

იონაე ღამასკელი

# დიალექტიკა

ქართული თარგმანების ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და  
ლექსიკონი დაურთო მაია რაფაევიძე



გამომცემლობა „მეცნიერება“  
თბილისი

1976

წიგნში ქვეყნდება იოანე დამასკელის ფილოსოფიური ნაწარმოების „დიალექტიკის“ ქართული თარგმანების პარალელური ტექსტები.

ტექსტებს უძღვის გამოკვლევა, რომელშიც განხილულია „დიალექტიკის“ ეფრემ მცირისა და არსენი იყალთოელის თარგმანთა რედაქციები, მთარგმნელობით მეთოდთან დაკავშირებული ზოგი საკითხი.

ნაშრომს ერთვის ფილოსოფიურ ტერმინთა ლექსიკონი-საძიებელი, რომელიც წარმოადგენს ძველი ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგიის სისტემატიზაციის პირველ ცდას.

„დიალექტიკას“ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქართული ფილოსოფიური და მსოფლმხედველობრივი აზროვნების ისტორიის შესწავლის საქმეში.

## შესავალი

ცნობილი ბერძენი თეოლოგი, იოანე დამასკელი VIII ს. ავტორია<sup>1</sup>. მისი მოღვაწეობით დამთავრდა ბერძნული თეოლოგიის პატრისტიკული პერიოდი და დასაბამი მიეცა ახალ, სქოლასტიკურ პერიოდს. დამასკელის ძირითადი შრომა — Πήγυ γυαμας „წყაროჲ ცოდნისაჲ“ — ქრისტიანობის განვითარების ამ მიჯნაზე აღმოცენებული ნაწარმოებია. გარკვეული თვალსაზრისით იგი პატრისტიკული ლიტერატურის პირშემა. ამ თხზულებაში ქრისტიანული თეოლოგიის კარდინალური საკითხებია დამუშავებული. ამასთანავე მასში აშკარად გამოიხატა ქრისტიანული სქოლასტიკის პრინციპები. საინტერესოა, რომ ქრისტიანობის სქოლასტიკურმა მსოფლმხედველობამ, რომლის ჩასახვა და განვითარება დასავლეთში IX—X სს-ზე მოდის, აღმოსავლურ ქრისტიანობაში უფრო ადრე იჩინა თავი. იოანე დამასკელის „წყაროჲ ცოდნისაჲ“ აღმოსავლური სქოლასტიკის ტენდენციებით აღბეჭდილი შრომაა. შუა საუკუნეთა თეოლოგია მასში ხედავდა თავის თეორიულ შეხედულებათა საუკეთესო დასაბუთებას.

დოგმატიკა და პოლემიკა, ლიტურგიკა, ეგზეგეტიკა, კომილტიკა და ასკეტიკა — სასულიერო მწერლობის თითოეული ეს დარგი მნიშვნელოვნადაა დაკლებული იოანე დამასკელისაგან. მისი მრავალრიცხოვანი შრომა<sup>2</sup> მეტყველებს იმ ღრმა ინტელექტზე, რომელმაც მას შეუქმნა აღმოსავლეთის უდიდესი მწერლის რეპუტაცია და დაუმკვიდრა „ოქრონექტარის“ სახელი. აღმოსავლეთისა

<sup>1</sup> ცნობილია მისი ბიოგრაფიები არაბულად და ბერძნულად. ბერძნული ბიოგრაფია დაწერილია პატარაქის იოანე მერკუროპლოს მიერ XII ს. (K. Кекелидзе, Грузинская версия арабского жития И. Дамаскина, египетские фг. ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. VII, თბ., 1961, გვ. 136). უძველესია არაბული ბიოგრაფია, ანტიოქიელი ბერის, მიხეილის მიერ დაწერილი X ს. ეს ბიოგრაფია პირველად გამოუცია კონსტანტინე ბაშას (Biographie de Saint Jean Damascène. Texte original arabe. Publié pour la première fois par le P. Constantin Bacha. Imprimerie Grecque Melchite de Saint Paul. Harissa. Liban. 1912). არაბულიდან, როგორც კ. კეკელიძე მიუთითებს, დამასკელის ბიოგრაფია 1086—1100 წლებში უთარგმნიათ ბერძნულად და ქართულად (კ. კეკელიძე, დასაბუთებული ნაშრომი, გვ. 138). ამრიგად, ქართულად დაცულია არაბული ცხოვრების უძველესი ვერსია. ი. დამასკელის არაბულ ბიოგრაფიაზე იხ. G. Graf, Die christlich-eratische Literatur, B. II, Città del Vaticano, 1959, გვ. 69.

დამასკელის ბიოგრაფიის შესახებ არსებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფია მიუთითებულ აქვთ შემდეგ მკვლევარებს: K. Krumbacher, Geschichte der Byzantinischen Literatur, New York, B. I, გვ. 71; H. Beck, Kirche und theologische Literatur im Byzantinischen Reich, München, 1959. O. Bardenhewer, Geschichte der altkirchlichen Literatur, B. V, Darmstadt, 1962, გვ. 53—54.

<sup>2</sup> ი. დამასკელის შრომათა სიას იძლევიან: ვ. ერმონი თავის მონოგრაფიაში „Saint Jean Damascène, Paris, 1904, pp. 8—13.

A. Сагарда, Полное собрание творений св. Иоанна Дамаскина, т. I, 1913, стр. XIII—XV.

თუ დასავლეთის ქრისტიანობას იოანე დამასკელი მიაჩნდა თავის მოძღვრად და წარსულის ტრადიციების საუკეთესო გამგრძელებლად. მან ქრისტიანული დოგმატიკა უმაღლეს საფეხურზე აიყვანა იმით, რომ აღმოსავლური ქრისტიანული აზროვნების ტრადიციებზე დამყარებით შექმნა დასრულებული მოძღვრება ფრიად ორიგინალიური არქიტექტონიკით. „იოანე დამასკელმა გამოიყენა პერი-ბატეტრიკული ფილოსოფია, მაგრამ მან იგი შეავსო და გაწმინდა ქრისტიანული იდეების შესაბამისად“ — ამბობს ვ. ერმონი, მონოგრაფიული შრომის ავტორი დამასკელის შესახებ<sup>3</sup>. „წყაროა ცოდნისა“ წარმოადგენს დოგმატიკის კლასიკურ სახელმძღვანელოს.

იოანე დამასკელის ეს ფუნდამენტალური შრომა მარტო მისი თეოლოგიური ნაწილით არ ამოიწურება. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ნაწარმოები ტრილოგიას წარმოადგენს. იგი შედგება სამი ნაწილისაგან:

1. *Κεφάλαια φιλοσοφικά* — ფილოსოფიური თავები, ანუ „ღიალექტიკა“.

2. *Περὶ αἰρέσεων* — „წვალებაათვის“.

3. *Ἐχθραὶ ἐπιπέτῃ ἡ ὀρθότητι* — „გარდამოცემა უცილობელი მართლმადიდებელთა სარწმუნოებისა“<sup>4</sup>.

ქრისტიანული ღვთისმეტყველების თვალსაზრისით განსაკუთრებით ნიშანდობლივი მე-2 და მე-3 ნაწილებია.

მე-2 ნაწილი მიმართულია სხვადასხვა სახის მწვალებელთა (ნესტორიანთა, იაკობიტთა, ხატმებრძოლთა, მანიქეველთა და სხვათა) წინააღმდეგ და ატარებს პოლემიკურ ხასიათს.

მე-3 ნაწილი წარმოადგენს ქრისტიანულ-თეოლოგიური მოძღვრების თეორიულ დებულებათა შექამებას. ამ თავში მოცემულია ვრცელი ტრაქტატები ღმერთზე, შექმნაზე, ანგელოზებზე, ადამიანზე, ბუნებაზე, საეკლესიო პრაქტიკაში განმტკიცებულ წესებზე, საერთოდ ყველა ძირითად თეოლოგიურ საკითხზე. მამასადამე, აქ საქმე გვაქვს ქრისტიანული სარწმუნოების რაობის ვადმოცემასთან. გარდა ამისა, მე-3 ნაწილში დოგმატიკურ საკითხებზე მსჯელობასთან ერთად მოცემულია ცნობები ბუნებისმეტყველებისა და ფსიქოლოგიის შესახებ.

რაც შეეხება პირველ ნაწილს. *Κεφάλαια φιλοσοφικά*-ს, როგორც სათაური მიგვანიშნებს, აქ გადმოცემულია ქრისტიანობის ფილოსოფიური საფუძვლები.

ცნობილია, რომ ქრისტიანობა პირველ ხანებში არათუ არ იწყნარებდა, არამედ სდევნიდა და მწვალებლობად მიიჩნეოდა ანტიკური ხანის დიდ ფილოსოფოს-მოაზროვნეთა თხზულებებს. მაგრამ შემდეგ, ისტორიულ-საზოგადოებრივ ცნობრებაში მომხდარი ძვრების შესაბამისად, მან თავის რელიგიურ დოგმათა დასაცავად გამოიყენა წარმართ ფილოსოფოსთა ნააზრევი, ფილოსოფია გამოაცხადა ღვთისაგან ბოძებულ ნიჭად, რომელიც თეოლოგიის სამსახურში უნდა მდგარიყო.

საუკუნეთა მანძილზე ხან პლატონი იყო აღიარებული ავტორიტეტი, ხან არისტოტელე. ნეოპლატონურ მიმდინარეობათა შემდეგ ისევ არისტოტელეს სახელი წამოიწია წინ. არისტოტელეს ლოგიკა თავის პრიორიტეტს ინარჩუნებდა აღორძინების ხანამდე. ლოგიკა გახდა ფილოსოფიის იარაღი.

თუ დასავლეთის სქოლასტიკის განვითარება და არისტოტელეს აპოლოგია

<sup>3</sup> V. Ermoni, Saint Jean Damascene, p. 18.

<sup>4</sup> ეს სათაური მის პირველ მთარგმნელს, ეფრემ მცირეს, ეკუთვნის.

XII—XIII სს. მოდის, აღმოსავლეთში გაიღებოთ ადრე ჰქონდა მას ადგილი. სხვადასხვა ნეოპლატონურ სკოლებში, ასევე ქრისტიანულ სირიულ ლიტერატურაში, არისტოტელეს ლოგიკურ შრომებს მრავალრიცხოვანი კომენტატორი ჰყავდა. იოანე დამასკელის „დიალექტიკის“ სახით არისტოტელეს კომენტატორთა სქოლასტიზმისთან გვაქვს საქმე.

სხვათა შორის, არისტოტელეს ლოგიკისა და მეტაფიზიკის ცალკეული საკითხები იოანე დამასკელის მიერ ხშირად განხილულია ისეთივე პრინციპებითა და მსოფლგაგებით, როგორც ამას ხუთი საუკუნით გვიან ახდენს დასავლეთის სქოლასტიკის მეტრი თომა აქვინელი<sup>5</sup>

იოანე დამასკელმა თავისი თხზულების შესავალში მოხაზა ანტიკური ფილოსოფიის ადგილი და როლი ქრისტიანული მოძღვრების პოზიციებიდან: „და პირველად უკუე ელენთა ბრძენთანი დაეხსნე ურჩეულესნი, ვითარცა მეცნიერმან, ვითარმედ რაოდენი-რაჲ არს კეთილი, ზეგარდამო ღმრთისა მიერ მონიჭებულ არს კაცთადა, ვინაჲთგან ყოველი მოცემაჲ კეთილი და ყოველი ნიჭი სრული ზეგარდამო არს გარდამომავალ მამისაგან ნათელთაჲსა; ხოლო რაოდენი-რაჲ არს წინაღმდგომ ჰეშმარიტებისა, სეშმაკოჲსა საცთურისა მოპოვება არს ბნელ და შეწმასნილ გონებასა ეშმაკ-ბოროტისა“<sup>6</sup> (არსენი იყალთოელის თარგმანი). მაგრამ „ელენთა ბრძენთა“ არა ყოველი ნააზრევი შეითვისა თეოლოგიამ, არამედ მხოლოდ ისეთი, რომელთა მიღება შესაძლებლად ენა თავის თეორიულ დებულებათა გასამტკიცებლად. იოანე დამასკელი თავისი თხზულებების შედგენისას სწორედ ასეთი პრინციპებით ხელმძღვანელობს. იმავე შესავალში იგი აცხადებს: „მახლობელნი უკუე ჰეშმარიტებისანი გამოკრიბნე და მტერთაგან მაცხოვარებაჲ მოვისთულა, ხოლო განეყარნე ყოველნი, რაოდენნი ურგებ და სახელ-მტყუარისა მეცნიერებისა ჰქონებულ იყვნენ“<sup>7</sup>.

„მახლობელნი ჰეშმარიტებისანი“ არის ყოველივე ის, რაც მართლმადიდებლური მოძღვრების დაცვას ემსახურება წინააღმდეგ ყოველგვარი სახის მწვალებლობისა. „დიალექტიკანი“ ეს არის არისტოტელეს ლოგიკური შრომების კომენტატორთა შეხედულებანი, ეკლესიის მოთხოვნილებათა მიხედვით შეგუებული ქრისტიანულ მსოფლმხედველობას.

იოანე დამასკელი ამ შრომაში გვევლინება ფრიად თავისებურ კომპილატორად. იგი თვითონ აცხადებს: „ხოლო ვთქუა ჩემი არარაჲ, ვითარ-იგი ვიტყოდე, არამედ უწარჩინებულესთა მოძღუართა ნამუშავეისა ერთად შემკრებელმან შემოკლებულ-ყყო სიტყუაჲ“<sup>8</sup>.

<sup>5</sup> წინასწარი შედარებით ირკვევა, რომ „დიალექტიკის“ შეპირისპირებული კვლევა თომა აქვინელის თეოლოგიასთან მრავალ საუკუნადღებო დასკვნას მოგვიტანს.

<sup>6</sup> საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის S ფონდი, № 1463, 40v.

<sup>7</sup> ამ სიტყვების შორეული პერიფრაზია თომა აქვინელის მიერ თეოლოგიის მეცნიერების დარგებთან მიმართების შეფასება: „ღმრთისმეტყველება თავის საფუძვლებს სხვადასხვა მეცნიერებებისგან როდი იღებს, არამედ უშუალოდ — ღმერთისგან გამოცხადებას გზით. ამასთან ერთად იგი სხვა დარგებს როდი მიჰყვება, როგორც უმაღლეს დისციპლინებს, არამედ გამოიყენებს მათ, როგორც მორჩილ მსახურებს“ (თომა აქვინელი, თეოლოგია და მეცნიერება, მოკვამეს წიგნიდან И. Боргош, Фома Аквинский. Москва. 1968. стр. 168).

<sup>8</sup> S—1463, 41r.

<sup>8</sup> იქვე.

ვინ არიან ეს „უწარჩინებულესნი მოძღუარნი“, ვის შრომებს იყენებს წყაროდ იოანე დამასკელი?

იოანე დამასკელის „დიალექტიკის“ შესახებ უახლოეს ხანაში გამოცემულ მონოგრაფიაში, რომლის ავტორია გ. რიხტერი, საკმაოდ კრცლად, ჭერ შესავალში, შემდეგ ცალკეული თავების ტექსტობრივ-შედარებითი ანალიზის დროს, მიკვლეულია და გამოვლენილი ის წყაროები, რომელთაც იყენებს იოანე დამასკელი თავის შრომაში<sup>9</sup>.

ამ თვალსაზრისით ყველაზე მეტად ანგარიშგასაწევია არისტოტელეს ლოგიკური შრომების (კატეგორიები, პერი ერმენეია, ანალიტიკები) კომენტატორთა თხზულებები. როგორც ირკვევა, იოანე დამასკელმა ფართოდ გამოიყენა კომენტატორთა ნააზრევი „დიალექტიკის“ წყაროდ. აღენიშნავთ მხოლოდ ძირითად წყაროებს. ესენია:

ნეოპლატონიკოსი ფილოსოფოსის პორფირის (III ს.) შრომა „შესავალი არისტოტელეს „კატეგორიებისა“, რომელიც ძალზე პოპულარული წიგნი იყო შუა საუკუნეებში და მრავალ ენაზეა თარგმნილი<sup>10</sup>, ალექსანდრიელი ნეოპლატონიკოსის ამონიოს ურშიასის (V ს.) კომენტარები არისტოტელეს კატეგორიებისა და პორფირის „შეყვანილობაზე“<sup>11</sup>. აღსანიშნავია კიდევ ალექსანდრიული სკოლის სხვა წარმომადგენელთა: ელიასის (VI ს.), დავით უძლეველის (V ს.), სტეფანე ალექსანდრიელისა (VII ს.) და სხვათა კომენტარები. განსაკუთრებით საინტერესოა სირიული კომენტატორული ლიტერატურა, მით უმეტეს, რომ იოანე დამასკელიც სირიიდანაა.

ფილოსოფოსთა გარდა, იოანე დამასკელი ფართოდ იყენებს საეკლესიო მწერალთა შრომებს. საინტერესოა, რომ დიდი კაპადოკიელების, ასევე დიონისე არეოპაგელის გავლენა „დიალექტიკაში“ თითქმის არ შეიძინევა, მაშინ როდესაც „გარდამოცემაში“ დამასკელი ფართოდ სარგებლობს ამ წყაროებით.

აღსანიშნავია კიდევ იკლსიის მამათა შრომები: ნემესიოს ემესელის (V ს.) „ბუნებისათვის კაცისა“, ლეონტი ბიზანტიელის (VI ს.), თეოდორე რაითელას (VII ს.), მაქსიმე აღმსარებლის (VII ს.), ანასტასი სინელის (VII ს.) თხზულებები.

„დიალექტიკის“ წყაროდ გამოყენებული ლიტერატურა იმდენად მრავალრიცხოვანია, რომ ზოგმა მკვლევარმა ეჭვიც კი გამოთქვა: შეეძლო თუ არა ერთ პიროვნებას მოეხდინა კომპილაცია ამ ურიცხვი ლიტერატურიდან? შესაძლებელია მის ხელთ ჰქონდა უკვე შუა კრებულები ტექსტისა რამდენიმე კომენტარი<sup>12</sup>.

<sup>9</sup> G. Richter. Die Dialektik des Iohannes von Damaskos. Eine Untersuchung des Textes nach seiner Quellen und seiner Bedeutung. Eital. 1964. „დიალექტიკის“ წყაროების გამოკვლენის ტექსტის ყველა გამოცემა ითვალისწინება. მაგრამ ყველაზე სრულად ეს მოცემულია დასახელებულ შრომაში. ამდენად ჩვენც ამ უკანასკნელ შრომაში გამოვლენილ ფაქტობრივ მასალას ვყარდებით.

<sup>10</sup> ქართულ მწერლობაში ეს შრომა ცნობილია, როგორც „შეყვანილობა არისტოტელეს კატეგორიათაში“. მის სომხური ენიდან თარგმნილად თვლიან მე-13 ს-ში (ე. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 308).

<sup>11</sup> ამონიოსის ორივე ეს შრომა ძველადვე თარგმნილი იყო ქართულად იოანე ტარიძისძის შერ (XII ს.) იხ. ე. კეკელიძე, იქვე.

<sup>12</sup> G. Richter. Die Dialektik des Iohannes von Damaskos. გვ. 18.

ერთი კი ცხადია: იოანე დამასკელი მხოლოდ ერთ რომელიმე წყაროს არ ეყრდნობა უშუალოდ და პირდაპირ. „ღიალექტიკაში“ დამუშავებული საკითხები ითვალისწინებს და აერთიანებს ყველა ადრეულ შრომას, მაგრამ არც ერთ მათგანთან არ ამყარებს მჭიდრო კავშირს ისე, რომ შესაძლებელი იყოს სხვა შრომების იგნორირება<sup>13</sup>.

მიზანი ნაწარმოებისა არის ქრისტიანული იდეოლოგიის დაცვა ლოგიკური მეთოდებით, ფილოსოფიური არგუმენტებით, რადგან ეკლესიის მესვეურთათვის ცხადი გახდა, რომ მეცნიერების სხვადასხვა დარგების განვითარების გამო ახალი სოციალური ფორმაციების დროს შეუძლებელი შეიქნა მხოლოდ რწმენისადმი აპელირება. საჭიროა ფილოსოფიურ-მეცნიერული არგუმენტების შოპარჯება ძირითადი ქრისტიანული დოგმების დასასაბუთებლად.

„ღიალექტიკა“ იშვიათი ნიმუშია იმისა, თუ როგორი ტრანსფორმაცია განიცადა ანტიკურმა ფილოსოფიურმა ტერმინოლოგიამ, როგორი ქრისტიანული გაგება მიიღეს ისეთმა ძირითადმა ტერმინებმა, როგორიცაა თუნდაც „ბუნება“, „არსება“, „ჰიპოსტასი“.

ამ მხრივ ძალზე დამახასიათებელია ის განმარტება ამ ნაწარმოების მნიშვნელობისა, რომელსაც იძლევა მისი პირველი ქართველი მთარგმნელი ეფრემ მცირე:

„ესეითარი არს საფილ[ო]სოფოსოჲ სწავლჲჲ, რომელი-იგი აქაცა საჭიროდ საკმარად შემოუღებდეს წმიდასა იოანე დამასკელსა, რაჲთა ამათ მიერ წინააღმდეგობდინ შვილნი ეკლესიისანი გარეშეთა მათ ფილოსოფოსთა და მათითავე ისრითა განჯგუშერდენ მათ, რამეთუ თჳნიერ ამათ სიტყუათასა სხუებრ შეუძლებელ არს სიტყჳს-გებაჲ წინააღმდეგობთაჲ სიტყუა-გვგებდენ რაჲ გარეშენი იგი განუტუეთელისათჳს, რომელ არს გუამი და ბუნებისათჳს“<sup>14</sup>.

XI—XII სს-ში „ღიალექტიკის“ ქართულად თარგმნის ფაქტი უნდა შეფასებულ იყოს, როგორც ქართულ სააზროვნო ცხოვრებაში სქოლასტიზირებულ არისტოტელიზმზე გეზის აღება. ამგვარი რამ რამდენიმე საუკუნით ადრე დაიწყო არაბულ სამყაროში და რამდენადმე მოგვიანებით მოხდა დასავლეთ ევროპაში.

„ღიალექტიკამ“ საკმაოდ დიდი გავლენა იქონია მომდევნო პერიოდების ქართულ ფილოსოფიურ-თეოლოგიურ აზროვნებაზე.

წინამდებარე გამოცემა მიზნად ისახავს „ღიალექტიკის“ ქართული თარგმანების შესწავლას. „ღიალექტიკის“ გამოყოფა ტრილოგიიდან და დამოუკიდებელი ნაწარმოების სახით შესწავლა მისი ავტორის იდეური მიზანდასახულობით არის გამართლებული. იგი ქრისტიანული ფილოსოფიის ძეგლია.

„ღიალექტიკის“ უკანასკნელი ბერძნული გამოცემაც ამ გარემოებას ითვალისწინებს. ამიტომ იგი წყაროა ცოდნისაჲს“ სხვა ნაწილებსგან დამოუკიდებლად არის გამოცემული. სხვათა შორის, ქართული ხელნაწერების ტრადიციაც უკერს ამას მხარს: ხელნაწერებში „ღიალექტიკა“ ხშირად გვხვდება დამოუკიდებელი სახით.

„ღიალექტიკის“ ქართული თარგმანების წინამდებარე გამოცემაში განხილულია „ღიალექტიკის“ ორი ქართული თარგმანი, მათი რედაქციული რაობა

<sup>13</sup> იხ. ხს. შრომა, გვ. 21.

<sup>14</sup> A—24, 1v.

და ურთიერთმიმართება; დადგენილია ქართული თარგმანების მიმართება ბერძნულ ორიგინალთან (თუ ორიგინალებთან); გარკვეულია, რომ ქართულ თარგმანებს დღეს უცნობი ბერძნული ორიგინალი უდევთ საფუძვლად. გამოკვლევაში შეძლებისდაგვარად დახასიათებულია ორი ქართველი მთარგმნელის განსხვავებული მეთოდოლოგიური პრინციპები „დიალექტიკის“ ლოგიკურ-ფილოსოფიური ტერმინოლოგიის ქართულად თარგმნისა და შემუშავებისას.

აღნიშნული საკითხების კვლევას ბუნებრივად დაუკავშირდა „დიალექტიკის“ ორჯერ თარგმნის საკითხი.

გამოცემაში შეტანილია „დიალექტიკის“ ეფრემ მცირისა და არსენი იყალთოელის თარგმანთა ტექსტები. ტექსტებს ახლავს ფილოსოფიურ ტერმინთა ლექსიკონი და გამოკვლევა. გამოკვლევა სრული სახით არ არის წარმოდგენილი. იგი მხოლოდ ნაწილია საკითხთა იმ წყებაში, რასაც „დიალექტიკის“ კვლევა ითვალისწინებს. კერძოდ, ამ საკითხთა წყებაში შედის არსენისა და ეფრემის თარგმანთა ენობრივი დახასიათება მათი მთარგმნელობითი მეთოდის გასარკვევად; „დიალექტიკა“ და ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგიის პრობლემა; „დიალექტიკის“ გამოძახილი შემდგომი პერიოდის ქართული ფილოსოფიის ისტორიაში.

უანლოესი მომავლისათვის არის გათვალისწინებული პუბლიკაცია გამოკვლევებისა, რომლებიც ამ საკითხებს ენება.



## I. „დიალექტიკის“ შესწავლის ისტორიიდან

როგორც აღვნიშნეთ, „დიალექტიკა“ არის პირველი ნაწილი „წყაროა ცოდნისაჲსა“.

იოანე დამასკელის შრომას ეს სათაური გვიან პერიოდში ეწოდა. ბერძნული ხელნაწერები სხვა დასათაურებას იძლევიან: *Κεφάλαια φιλοσοφικά* ანუ „ფილოსოფიური თავები“. ეს სათაურიც, ისე, როგორც „დიალექტიკა“, თვითონ ავტორს არ ეკუთვნის. ხელნაწერთა გადაწერები უწოდებდნენ ტრილოგიის ამ ნაწილს „ფილოსოფიურ თავებს“, განსხვავებით მე-3 ნაწილისგან, რომელიც ღვთისმეტყველურ თავებს წარმოადგენს. დასათაურება „დიალექტიკა“ გვიან საუკუნეებში დამკვიდრდა. ეს სათაური მას პირველ ლათინურ გამოცემაში (1548 წ.) ეწოდა. ვინაიდან თვითონ ავტორს არ მოუცია თავისი შრომის დასათაურება, გამომცემლებსაც არ გასჭირვებიათ საკუთარი შეხედულებით შეერჩიათ სათაური.

საქმე ისაა, რომ „დიალექტიკა“ ამ ნაწარმოებს სრულიად სხვა გაგებით ეწოდება, განსხვავებით ამ ტერმინის დღევანდელი მნიშვნელობისგან. დიალექტიკა ნიშნავს მეცნიერებას განვითარებაზე, დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის გზით. ანტიკურ სამყაროსა და შუა საუკუნეებში კი ამ ტერმინს სხვადასხვა მნიშვნელობა გააჩნდა.

ამ სიტყვის ანტიკური გაგებით, იგი ნიშნავდა საუბრის ხელოვნებას, როცა კითხვა-პირების, მტკიცებისა და უარყოფის გზით შესაძლებელი ხდება ქეშმარიტების დადგენა. დიალექტიკა ამ გაგებით გარკვეული ნაწილი იყო იმ მეცნიერებისა, რომელიც შემდგომ ჩამოყალიბდა ლოგიკის სახით.

შუა საუკუნეებში „დიალექტიკა“ სიტყვის მნიშვნელობა შეიცვალა. იგი გამოიყენებოდა, როგორც მეტად თუ ნაკლებად მსგავსი „ლოგიკა“ სიტყვისა.

„ლოგიკა“ და „დიალექტიკა“ ორივე უკავშირდება ბერძნულ *λέγειν* „თქმა“ სიტყვას. მაგრამ „ლოგიკას“ ანტიკურ სამყაროში ჭერ კიდევ არ ჰქონდა გარკვეული მეცნიერების აღმნიშვნელი მნიშვნელობა. ამდენად, „დიალექტიკა“ განიხილებოდა, როგორც ერთი შვიდ თავისუფალ ხელოვნებათაგანი, როგორც ლოგიკური მსჯელობისა და აზროვნების ხელოვნება. შუა საუკუნეებში სწორედ „დიალექტიკას“ უკავშირდებოდა ქრისტიანული თეოლოგიის რაციონალური მარცვალი. მის გარეშე წარმოდგენილია სქოლასტიკური ფილოსოფია<sup>15</sup>.

ამდენად, შემთხვევითი არ იყო იოანე დამასკელის ნაწარმოებისთვის ამ სათაურის წოდება. არისტოტელეს ლოგიკური შრომების თავისებური დამუშავება „დიალექტიკა“ სიტყვის ამგვარმა გაგებამაც შეაპირობა.

დასათაურება არც ქართულ თარგმანებშია წარმოდგენილი. ეფერემ მცირე, ერთ-ერთი ქართული თარგმანის ავტორი, ამ თხზულებას „წყაროა ცოდნისაჲს“, ე. ი. მთელი ტრილოგიის ნაწილად მიიჩნევს<sup>16</sup>.

<sup>15</sup> История античной диалектики, М., 1972, стр. 39.

<sup>16</sup> ქართველი მთარგმნელი მას უწოდებს „გარდამოცემის“ შესავალს: „ზანდუცი და შესავალი წიგნისა ამის, რომელსა ეწოდებს გარდამოცემა...“ A—24, 2r. სხვათა შორის, მე-18 ს.

მოგვიანებით, ქართულ მწერლობაშიც, მიღებული ტრადიციის მიხედვით, ნაწარმოებს ეწოდება „ღიალექტიკა“.

„ღიალექტიკის“ შედგენილობა ერთნაირია ბერძნულშიც და ქართულშიც. ტექსტს წინ უძღვის თავთა საძიებელი, ანუ „ზანდუკი“ და შესავალი. შესავალი წარმოადგენს იოანე დამასკელის ეპისტოლეს კოზმა მათუმის ეპისკოპოსისადმი. ეს ეპისტოლე ერთგვარი წინასიტყვაობაა მთელი ტრილოგიისათვის. მასში გამოთქმულია ავტორის მოსაზრებები ნაწარმოების სტრუქტურისა და მიზანდასახულობის შესახებ, მისი შედგენის პრინციპების შესახებ.

შესავლიდან ჩანს, რომ ავტორს თხზულება სამ ნაწილად აქვს გააზრებული:

„პირველად უკუ ელღენთა ბრძენთანი დაესხნე ურჩეულსანი“ (ეს ნიშნავს: I ნაწილში, „ღიალექტიკაში“, მოცემული მაქვს ელღენ ბრძენთა განმარტება)..., „მერმე შემდგომად მათსა დაეწესნე ღმრთის-მოაქაგებულთა წვალებათა წარრევანი“ (ანუ მწვალებულთა განქიქება, რაც წარმოდგენილია მე-2 ნაწილში „წვალებათათვის“)..., „და ესრეთ საცთურისა მომსპობელი და ტყუილისა უჩინო-მყოფელი ჭეშმარიტებაჲ... შეწვენითა ღმრთისა და მადლისა მისისაჲთა წარმოვადგინოთ“ (ანუ ქრისტიანული ღვთისმეტყველების რაობის გადმოცემა, რასაც მე-3 ნაწილი „გარდამოცემა“ ემსახურება).

იოანე დამასკელი სქოლასტიკური თეოლოგიის პრინციპების ერთგული რჩება, როცა აცხადებს, რომ იგი იღებს ბერძენ მოაზროვნეთა მხოლოდ იმ აზრებს, რომლებიც ჭეშმარიტებას შეესაბამება: „მიმსგავსებითა სახესა ფუტკრისასა მახლობელნი უკუე ჭეშმარიტებისანი გამოვკრიბნე და მტერთაგან მაცხოვარებაჲ მოვისთულა, ხოლო განვეარნე ყოველნი, რაოდენნი ურგებ და სახელმტყუარისა მეცნიერებისა მქონებელ იყვნენ“<sup>17</sup>.

როგორც კეთილსინდისიერი ავტორი, იოანე დამასკელი აცხადებს, რომ მისი შრომა კომპილაციური ხასიათისაა, რომ იგი სხვადასხვა წყაროებს ამუშავებს და ამნაირად ადგენს თავის შრომას.

მრავალრიცხოვანია ხელნაწერები, რომლებშიც დაცულია „ღიალექტიკის“ ბერძნული ტექსტი. ეს ხელნაწერები შესწავლილია და აღწერილი სხვადასხვა მკვლევრის მიერ. ბერძნულ ხელნაწერებზე, „ღიალექტიკის“ რედაქციებსა და ვარიანტებზე, რომლებიც ამ ხელნაწერებშია წარმოდგენილი, ვრცელ ცნობას იძლევიან ბერძნული გამოცემები.

ბერძნულ ენაზე „ღიალექტიკა“ რამდენიმეჯერ არის გამოქვეყნებული: „ღიალექტიკის“ პირველი გამოცემა ეკუთვნის მ. ჰოპერს. მ. ჰოპერის მიერ 1575 წ. ბაზელში გამოცემულ იქნა ბერძნულ-ლათინური ტექსტი. მანამდე, 1548—1559 წლებში, გამოქვეყნდა „ღიალექტიკის“ ლათინური თარგმანის ტექსტი, რომელიც 1235 და 1239 წლებში იქნა რედაქტირებული რობერტ გროსეტესტეს მიერ.

მეორედ „ღიალექტიკა“ იოანე დამასკელის სხვა შრომებთან ერთად გამოსცა აბატმა მ. ლეჟიენმა 1712 წ. პარიზში. შემდეგი გამოცემა დაიბეჭდა 1748 წ.

ქართველი მოღვაწე დავით რექტორი დამასკელის ამ შრომას უწოდებს „კატილორიას“. S—361 ხელნაწერში ეპისტოლის ბოლოს არის დამატებული შემდეგი ფრაზა: „დასასრულ იქმნა თვისისა წარწერისა და დაწევა არისტოტელისა მიერთისა კატილორიისა“ (გვ. 12). ასევე S—145, S—358 ხელნაწერებში „ღიალექტიკის“ „კატილორია“ ეწოდება.

<sup>17</sup> S—1463, 41r 1.

ვენეციაში. 1860 წ. ცნობილია გ. მინის გამოცემა, რომელიც იმეორებს, ოღონდ შევსებული და გადაშუშავებული სახით, ლექციებისა და 1748 წ. გამოცემას<sup>18</sup>.

1864 წ. გამოვიდა კიდევ ერთი ბერძნული გამოცემა. 1969 წელს „დიალექტიკა“ კიდევ იქნა გამოცემული. ჩვენ საგანგებოდ შევჩერდებით ამ უკანასკნელ გამოცემაზე, რადგანაც ჯერ ერთი, ეს არის ბოლო გამოცემა და ითვალისწინებს ყველა აღრინდელ გამოცემას; მეორეც, თავისი მასშტაბებით (კრიტიკული აპარატი, შესავალი, რომელშიც ხელნაწერები და გამოცემები მიმოხილული, ლექსიკონი) იგი აღემატება ყველა აღრინდელს.

„დიალექტიკის“ ამ გამოცემის ავტორია ბონიფაციუს კოტერი. გამოიცა იგი დასავლეთ გერმანიაში, პატრისტიკული ტექსტებისა და შტუდიების სერიაში<sup>19</sup>.

ბ. კოტერის გამოცემა<sup>20</sup>, იოანე დამასკელის თხზულებათა გამოცემის საერთო რედაქტორის ი. მ. ჰოეის სიტყვებით, ითვალისწინებს ყველა აღრინდელ გამოცემას, განსაკუთრებით ლექციებისა (1712 წ.) და მინისას (1860 წ.). ეს უკანასკნელი გამოცემები სრულია, მაგრამ დაზღვეული არაა შეცდომებისგან: არ იყო გათვალისწინებული ყველა ბერძნული ხელნაწერის წაკითხვა, „დიალექტიკის“ ტექსტის წყაროებთან შედარებაც არ იყო სრული. ამდენად, დაისვა საკითხი „დიალექტიკის“ ხელახლა გამოცემისა.

ბ. კოტერის გამოცემაში მოხმობილია ყველა ბერძნული ხელნაწერის ჩვენება. გამომცემლის მიერ ეს ხელნაწერები დაჯგუფებულია გარკვეულ ჯგუფებში და შედარების მიზნით ტექსტის დადგენისათვის გამოყოფილია ცალკეული ქვეჯგუფები<sup>21</sup>. ტექსტის დადგენისას მხედველობაშია მიღებული ციტატები ადრეული სირიული ფრაგმენტებიდან და „დიალექტიკის“ სხვადასხვა ენაზე თარგმანთა მონაცემები.

„დიალექტიკის“ ტექსტს ახლავს ვრცელი კრიტიკული აპარატი. მის პირველ ნაწილში მოცემულია ტექსტის ამა თუ იმ ადგილის სხვადასხვა წყაროებთან შედარება, ასევე ტექსტის ურთიერთშემხვედრი, გამეორებული ადგილების აღნიშვნა. მეორე ნაწილში შეტანილია ხელნაწერთა ვარიანტული წაკითხვები. ტექსტს დართული აქვს სიტყვათა საძიებელი.

ბ. კოტერის გამოცემას ასე ვრცლად შეეხებთ იმ მიზეზის გამო, რომ ქართული თარგმანების კვლევისას მათ ვუძღვრებით ამ გამოცემის ბერძნულ ტექსტს.

„დიალექტიკა“ პოპულარული იყო არა მხოლოდ ბერძნულ სამყაროში. იგი შუა საუკუნეებშივე ითარგმნა სხვადასხვა ენაზე, ზოგჯერ რამდენიმეჯერ. ყველაზე აღრინდელ თარგმანს წარმოადგენს სირიული. მისი სახით გვაქვს „დიალექტიკის“ არა სრული ტექსტი, არამედ მხოლოდ ფრაგმენტები. ამ

<sup>18</sup> Patrologiae Cursus Completus, series Graeca, t. XCIV.

<sup>19</sup> „დიალექტიკა“ გამოცემულია გეტინგენის, მიუნხენის, ჰაიდელბერგის მეცნიერებათა აკადემიებისა და მაინცის მეცნიერებათა და ლიტერატურის აკადემიის გავრთიანებული პატრისტიკული კომისიის მიერ. ამ კომისიის მიერ გამზადებულია იოანე დამასკელის თხზულებათა სრული გამოცემა 8 ტომად. I ტომში შევიდა ი. დამასკელის ფილოსოფიური თხზულებანი: Institutio elementaris, Dialektika და ერთი ფილოსოფიური ნაწარმოები — Oxon. Bodl. Auc. ხელნაწერის მიხედვით.

<sup>20</sup> B. Kotler, Die Schriften des Iohannes von Damaskos, [Patristische Texte und Studien], I. Berlin, 1969.

<sup>21</sup> იქვე, გვ. 41.

ფრაგმენტებს იმოწეებს VIII საუკუნის ავტორი ელიასი<sup>22</sup>. სრულად „დიალექტიკა“ ითარგმნა არაბულად X ს.-ში<sup>23</sup>; სომხურად — X ს. (ბაგრატ მამიკონიანის მიერ)<sup>24</sup>; ძველ სლავურ ენაზე — XI ს.-ში<sup>25</sup>. ლათინურად „დიალექტიკა“ ითარგმნა XII ს.-ში. ამ თარგმანით გაიცნა დასავლეთის ქრისტიანულმა სამყარომ დამასკელის თხზულება<sup>26</sup>.

იოანე დამასკელის „დიალექტიკა“ თანამედროვე ბიზანტიოლოგების დიდ ყურადღებას იმსახურებს. „დიალექტიკა“ საგანგებო კვლევა-ძიების საგანია ცალკეც, როგორც დამოუკიდებელი ნაწარმოები, აგრეთვე „წყაროჲ ცოდნისაჲს“ სხვა ნაწილებთან მიმართებით. უცხოეთში არცთუ ისე დიდი ხნის წინათ გამოქვეყნდა მონოგრაფიული შრომები „წყაროჲ ცოდნისაჲს“ შესახებ<sup>27</sup>.

მკვლევართა მიერ საგანგებოდ არის შესწავლილი „დიალექტიკის“ ბერძნული ტექსტის ისტორია, მოცემულია ბერძნულ ხელნაწერთა აღწერილობა, რედაქციების ანალიზი, ცნობები „დიალექტიკის“ თარგმანებზე. რაც მთავარია, მათ მიერ გაკეთებულია საყურადღებო დასკვნები „დიალექტიკის“ წყაროების დაძვინის თვალსაზრისით. გამოლენილია ტექსტის ცალკეული ადგილების მიმართება ამა თუ იმ წყაროსთან. გარკვეულია „დიალექტიკის“ ლოგიკურ-ფილოსოფიური ტერმინების მნიშვნელობათა გრადაცია ამოსავალ წყაროებთან დამოკიდებულებაში.

გარკვეული გამოხმაურება იოანე დამასკელის „დიალექტიკამ“ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაშიც ჰპოვა. „დიალექტიკის“ იდეოლოგიურ მხარეზე თავისი მოსაზრებები გამოთქმული აქვთ მ. გოგბერიძეს, შ. ნუცუბიძეს, გრ. კალანდარაშვილს<sup>28</sup>; ასევე თ. კუკავას, ი. ლოლაშვილს, რ. მიმინოშვილს<sup>29</sup>.

<sup>22</sup> A. van Roey, La lettre apologétique d'Elies à Léon, syncelle de l'évêque chaldéonien de Harran, Muséeon 57 (1944), 1—52.

<sup>23</sup> G. Graf, Die christl.-arab. Literatur, B. II, გვ. 43—45.

<sup>24</sup> იხ. ერევნის მატენადარანის ხელნაწერები: № 689, 1686, 1739, 1740, 1744, 2332, 2233, 2334, 3638, 3883, 7151, 8132.

<sup>25</sup> H. Beck, Kirche und theol. Liter. im Byz. Reich, გვ. 480.

<sup>26</sup> O. Bardenhewer, Geschichte der altkirch. Liter., გვ. 58. L. Sadnik, Eine zweite südslavische Übersetzung des Johannes Damascenus (Opera slavica, IV), Göttingen, 1963. E. Weher, Die Dialektik des Johannes von Damaskus in Kirchenslavischer Übersetzung, Wiesbaden, 1966; Филарет, Обзор русской духовной литературы, стр. 4.

<sup>27</sup> ძველი რუსული თარგმანის ტექსტი დაბეჭდილია სერიაში Памятники древней письменности, XIV а. СПб., 1881. ძვ. სლავურ თარგმანებზე იხ. А. Горский и К. Невоструев, Описание рукописей Московской синодальной библиотеки, отд. 2, ч. 2. М., 1859. А. Рухангельский, Творения отцов церкви в древнерусской письменности, ЖМНП, т. 257 (1868). დამასკელის შრომათა თანამედროვე რუსული თარგმანი, რომელთა შორის არის „დიალექტიკა“, გამოქვეყნებული აქვს: А. Сагарда, Полное собрание творений св. Иоанна Дамаскина. „Диа́лектика“ შულის I ტომში, СПб., 1918 г.

<sup>28</sup> K. Grumbacher, Geschichte der Byz. Literatur, გვ. 70. „დიალექტიკის“ თარგმანებზე იხ. B. Kotter, Die Überlieferung der Pege gnoseos des st. Johannes von Damaskos, 1959. G. Richter, დასახ. შრომა.

<sup>29</sup> G. Richter, Die Dialektik des Johannes von Damaskos. Eine Untersuchung des Textes nach seinen Quellen und seiner Bedeutung [Studia patristica et byzantina 10]. B. Kotter, Die Überlieferung der Pege gnoseos des hl. Johannes von Damaskos [Studia patristica et byzantina 5]. Ettal, 1957.

<sup>28</sup> იოანე პეტრიწის შრომები, ტ. I, წინასიტყვაობა, გვ. XXI. ნ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. I, თბ., 1956, გვ. 380—393. Гр. Каландарашвили, Очерки по истории логики в Грузии, Тб., 1955.

<sup>29</sup> თ. კუკავა, იოანე პეტრიწის მსოფლმხედველობა, თბ., 1971, გვ. 62—75; იოანე პეტრიწი, სათნოებათა კმე, ი. ლოლაშვილის გამოცემა, თბ., 1968, გვ. 32—34, 42—43, 152—153; რ. მიმინოშვილი, „გარდამოცემის“ ქართული თარგმანები, თბ., 1966.

თ. კუკავამ თავის წიგნში ცალკე თავი მიუძღვნა იოანე დამასკელის შეხედულებების არისტოტელეს მოძღვრებასთან მიმართების ანალიზს. მკვლევრის მიერ გამოთქმულია საყურადღებო აზრები, მაგრამ ზოგიერთი დებულება იოანე დამასკელის მსოფლმხედველობის შესახებ, ჩვენი აზრით, გადასინჯვას თხოვლობს.

## II. „ლიალექტია“ ქართულ ენაზე

ქართული ფილოსოფიური აზროვნება გულგრილი არ დარჩენილა იოანე დამასკელის „ლიალექტიკის“ მიმართ.

ცნობილია, რომ XI—XII სს. საქართველოში ინტენსიურად განვითარდა ფილოსოფიური მწერლობა. აკადემიკოსი ივ. ჭავჭავაძის მიხედვით ქართველი ერის ამდროინდელი კულტურული ცხოვრების დახასიათებისას შენიშნავს: „საქართველოს ძლიერების ხანა იმ მხრივ არის განსაკუთრებით საყურადღებო, რომ ამ დროს მოწინავე ქართველთა გონებრივმა სამფლობელომ აზროვნების უმწვერვალეს ხარისხს მიაღწია და საფილოსოფიო მწერლობას დაეწაფა. თავს იჩენდა ის იდეოლოგიური ბრძოლა სხვადასხვა მიმართულებებს შორის, რომელიც გამოხატულებას პოულობდა დოგმატიკური მწერლობის მიერ ანტიკური ფილოსოფიის შეთვისების საქმეში. ქართველი ფილოსოფიური აზროვნება ეფრემ მცირის, არსენი იყალთოელის, იოანე პეტრიწის და სხვათა სახით აქტიურად დაეწაფა ბიზანტიურ ფილოსოფიას და ქართულ ნიადაგზე გაღმზინება მისი მიღწევები“<sup>30</sup>.

XI—XII სს.-ში ახალმა პოლიტიკურმა და სოციალურმა ძვრებმა ქვეყნის იდეოლოგიურ ცხოვრებაშიც დაამკვიდრა ის პირობები, რომლებმაც აშკარად აიძულეს თეოლოგია ლოგიკისა და ფილოსოფიის იარაღი აეღო ხელთ თავისი მართლმადიდებლური დოგმების დასაცავად.

დავით აღმაშენებლისა და თამარის ეპოქაში, ბიზანტიასა და ქრისტიანულ არაბულ სამყაროსთან მჭიდრო კავშირის პირობებში, ძალზე განვითარდა მეცნიერების სხვადასხვა დარგი. ახალი დრო ახალ პრობლემებს უყენებდა ეკლესიის მესვეურთათ.

მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ საქართველო სხვადასხვა კულტურათა, სხვადასხვა რელიგიის მატარებელი ხალხების გზასაყარზე იმყოფებოდა — იგულისხმება მანიქეველობა, მაჰმადიანობა, იუდაიზმი. აქვე ცხოვრობდნენ სხვადასხვა ქრისტიანული სექტების: სომხური მონოთეიზმის, აღმოსავლური იაკობიტობის, ნესტორიანობის მიმდევრები... ასეთ გარემოცვაში

<sup>30</sup> ივ. ჭავჭავაძის მიხედვით, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, 1948, გვ. 299.

ამ პერიოდის ქართული ფილოსოფიური მწერლობა მარტო ნაოჯგენი თხზულებებით როდია წარმოდგენილი. ქართულ კულტურულ ცხოვრებაში რენესანსის დაწყებას წინ უძღოდა ორიგინალური ფილოსოფიური მწერლობის წარმოქმნა. ამ საკითხზე არსებული ვრცელი ლიტერატურიდან დავასახელებთ ზოგიერთს: Ш. Нущубидзе, Руставели и восточный ренессанс, Тб., 1947; შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. I, 1956, ტ. II, 1958; ივ. ჭავჭავაძის მიხედვით, ქართველი ერის ისტორია, წ. II, გვ. 300—302; იოანე პეტრიწის შრომები, ტ. I, 1940. წინასიტყვაობა, გვ. XI—XIV. Н. Марр, Иоанн Петрицкий, грузинский неоплатоник XI—XII века, Записки восточного отдела Русского археологического общества, т. XIX, стр. 53—113; ე. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1960, გვ. 292—300.

მყოფი ქართველი მოღვაწენი ძალიან ბევრს აკეთებდნენ: თარგმნიდნენ და ამუშავებდნენ ყოველივეს, რაც ახალი პირობების სულისკვეთებას — პაექრობას და მტკიცებას შეესაბამებოდა. იქმნებოდა „სჯულთსამართლები“, „ღოგმატიკონი“. გავიხსენოთ რუის-ურბნისის „ძეგლისწერა“ და საეკლესიო დისპუტები და ნათელი გახდება ამ პერიოდის იდეოლოგიური ცხოვრების სურათი. ასეთმა ინტერესებმა განაპირობეს ანტიკურ ფილოსოფოსთა სქოლასტიზირება. არისტოტელეს კომენტარებისა და შემდგომში ამონიოს ერმიასის შრომების ქართულად გადმოღებას ხელი არ შეუშლია დიონისე არეოპაგელის შრომების თარგმნისათვის. იგივე ითქმის ცოტა მოგვიანებით პროკლეს „კავშირთა“ კომენტარების თაობაზე. ქართულმა აზროვნებამ ერთდროულად შეითვისა სქოლასტიზირებული პლატონიზმი და არისტოტელიზმი.

აღნიშნულ პირობებში აუცილებელი გახდა დოგმატიკური ტერმინოლოგიის ისეთი განმარტება, რომელიც ორთოდოქსალური ქრისტიანული ეკლესიისათვის იქნებოდა მისაღები. ცნობილია, რომ ტერმინთა განსხვავებული გაგება მრავალ შემთხვევაში ცხარე საეკლესიო დისკუსიების საბაზი იყო. სწორედ ასეთ პირობებში ენიჭებოდა პირველხარისხოვანი მნიშვნელობა იოანე დამასკელის „ღიალექტიკას“, რომელშიც სწორედ ტერმინთა განმარტებაა მოცემული.

მომდევნო პერიოდის ფილოსოფიურ თუ ლიტერატურულ აზროვნებას დამასკელის „ღიალექტიკამ“ წარუშლელი კვალი დააჩნია. ასე იყო ეს ბიზანტიურ და სხვა აღმოსავლურ ქრისტიანულ მწერლობაში, ასეთივე სურათი გვაქვს საქართველოშიც. ამ მხრივ ნიშანდობლივია შ. ნუტუბიძის შენიშვნა: „ქართული საფილოსოფიო საქმიანობის მემკვიდრეობაში არისტოტელის ლოგიკურ მოძღვრებათა დამასკელისეული დამუშავების გადმოღება ერთი ძირითადი ღირებულებათაგანი იყო, რომლითაც როგორც თანამედროვენი (XI—XII ს. მიჯნა), ისე მომდევნო ქართული საფილოსოფიო თაობა სარგებლობდა“<sup>31</sup>.

საკმარისია აღვნიშნოთ, რომ დამასკელის „ღიალექტიკა“, როგორც წყარო ქართული ფილოსოფიური და ლოგიკური ტერმინოლოგიის დადგენა-შემუშავების საქმეში, აქტუალურ გამოხმაურებას პოულობს ანტონ კათალიკოსის, იოანე ბატონიშვილის, სულხან-საბა ორბელიანის, იოანე ხელაშვილისა და სხვათა ლიტერატურულ-მეცნიერულ მოღვაწეობაში.

ამ წიგნის პოპულარობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ სულ მცირე ხნის მანძილზე იგი ორჯერ ითარგმნა ბერძნულიდან ქართულად.

პირველად „ღიალექტიკა“ თარგმნა ეფრემ მცირემ XI ს. ოთხმოცდაათიან წლებში<sup>32</sup>. მან „ღიალექტიკასთან“ ერთად თარგმნა „გარდამოცემაც“. ეფრემის

31 შ. ნუტუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. I, გვ. 338.

32 კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1960, გვ. 259.

სიმათლეს არ შეეფერება ის აზრი, თითქოს „ღიალექტიკა“ შემოკლებული სახით პირველად ითარგმნოს ექვთიმე მთაწმიდელს, როგორც ამას გვაუწყებს ანტონ კათალიკოსი თავის „ღვთისმეტყველებაში“ (S—3657 I ნაწ., S—3658 II ნაწ., S—3659 III ნაწ., S—3660 IV ნაწ.). თ. კუკავის მიერ ვაზაირებულია ეს აზრი. მკვლევარმა იგი დაუკავშირა ეფრემ მცირის მიერ „ღიალექტიკის“ მეორედ თარგმნის მიზეზებს. იხ. თ. კუკავა, იოანე პეტრიწის მსოფლმხედველობა, გვ. 70.

სინამდვილეში, როგორც ფილოლ. მეცნ. დოქტორმა თ. ქუნიამ ტექსტობრივი შეჯერებით დაადგინა, ექვთიმე მთაწმიდელმა გამოკრებით თარგმნა მხოლოდ „გარდამოცემა“ და არა

თარგმანში ორივე ნაწილს ეწოდება: „გარდამოცემაჲ უცილობელი მართლ-მადობელთა სარწმუნოებისაჲ“.

ტრილოგიის შუა ნაწილი — „წვალებათათვის“ — ეფრემ მცირეს არ უთარგმნია.

თხზულება ეფრემ მცირის მიერ იმ შედგენილობით არის თარგმნილი, როგორც ის არის ბერძნულ ორიგინალში: ზანდუცი, ეპისტოლე კოზმა მიიუმელს და ტექსტი. ბერძნულსაგან განსხვავებით, ეფრემის თარგმანში „ღიალექტიკისა“ და „გარდამოცემის“ ზანდუკები ერთად არის გაერთიანებული.

ეფრემ მცირე მთელ ნაწარმოებს წინ უმძღვარებს წინასიტყვაობას. წინასიტყვაობა ეფრემის ორიგინალური შრომაა და იგი მრავალმხრივ არის საყურადღებო. მასში მოცემულია მრავალი მნიშვნელოვანი ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ცნობა.

უპირველეს ყოვლისა, ეფრემ მცირე განმარტავს „ღიალექტიკის“, როგორც ფილოსოფიური შრომის, მნიშვნელობას. იგი აყენებს ფილოსოფიისა და თეოლოგიის სწორდირებულების საკითხს, როცა შენიშნავს, რომ არც ფილოსოფიური თავები ვარგა საღვთისმეტყველო თავების გარეშე და არც — პირიქით<sup>33</sup>

ეფრემმა შესანიშნავად იცის, რომ „ღიალექტია“ „საფილოსოფოსო სწავლულებას“ წარმოადგენს, და რომ მისი თარგმნა აუცილებელია ქართულად, ვინაიდან, ჭერ ერთი, „სხუაჲ არარაჲ ოდეს თარგმნილა საფილოსოფოსოთა წიგნთაგანი“<sup>34</sup> და მეორეც, ღიდა ამ თავებისგან მიღებული სიბრძნე და „გულისხმის-ყოფაჲ“.

შესავალში ეფრემ მცირე მსჯელობს იმაზე, თუ როგორ უნდა ითარგმნებოდეს წიგნები მათი იდეურ თუ სტილისტურ თავისებურებათა შესაბამისად. ეფრემის აზრით, ტექსტს უნდა ახლდეს სქოლიო-განსახლვრებანი „ძნელოვანი“ სიტყვების განსამარტავად, ოღონდ სქოლიოთა ჩართვა ტექსტში დაუშვებელია, ისინი აშეებზე, ან შესავალში უნდა მოთავსდეს. ეფრემის მიერ განვითარებულია აზრები წიგნის შეკავშირე-გადამეტაფრასებაზე ბერძენ მეტაფრასთა საქმიანობის ანალოგიით.

განსაკუთრებით საინტერესოა წინასიტყვაობა გრამატიკული აზროვნების ისტორიის თვალსაზრისით. საყურადღებოა ეფრემის რეფორმატორული წინადადებანი სასვენნი ნიშნების ხმარების საქმეში. „ვინაჲთგან პირველთა მათ თარგმანთა არარაჲ ელუაწა წერტილითა გაკუეთისათჳს საკითხავთაჲსა“, გარდა გიორგი მთაწმიდლის საგალობლისა (ისევე, როგორც ეს ბერძნულშია დამკვიდრებული), ეფრემ მცირე სხვადასხვა სასვენნი ნიშნის შემოღების აუცილებლობაზე მიუთითებს<sup>35</sup>.

შესავალშივე ეფრემ მცირე იძლევა საყურადღებო ლიტერატურულ ცნობას „გარდამოცემისა“ და „წინამძღვრის“ შესახებ და აფრთხილებს მკითხველს, რომ მათი ერთმანეთში არევა დაუშვებელია.

„ღიალექტია“. თავისი თარგმანი მან შეავსო ზოგი სხვა წყაროთი. ეს ნაწარმოები ცნობილია ქართულ ლიტერატურაში ექვთიმე მთაწმიდლის „წინამძღვრის“ სახელით. ამჟამად ტექსტი გამოსაცემად გამზადებულია თ. ჭყონიას მიერ.

33 A—24, 5r.

34 A—24, 3r.

35 საინტერესოა, რომ სასვენნი ნიშნების დამკვიდრების ინიციატივას იგი ბერ იოანე ფარაქელს მიაწერს.

„წინამძღვარი“ ბერძნულში ცნობილია, როგორც ანასტასი სინელის შრომა, ქართულად კი იგი ექვთიმე მთაწმიდელს შეუტრქმევია იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ გამოკრებითი თარგმანისათვის.

ამიტომ „ამისთვისცა ესრეთ ჯერ უჩნდინ სიწმიდესა თქუნესა, რაათა ვითარ-იგი ზედა-წარწერილსა ამისსა შინა ითქუმის, „გარდაცემა“ უწოდეთ წიგნსა ამას, რომელი-იგი ბერძულსა შინა ესრეთვე წარწერილ არს და „წინამძღვარ“ მასვე წმიდისა მამისა ეფთჳმეს თარგმნილსა სახელ-ედებოდენ, რამეთუ თჳთ იგი ამისგანვე გამოკრებული არს“<sup>36</sup>.

წინასიტყვაობა მთავრდება მთარგმნელის ანდერძით:

„გვეედრები უკუე, რაათა წერტილი შეიკრძალოთ და მე ყოველივე ცთომილება მოპიტეთო და ლოცვა-ჰყოთ პირველ-მოქსენებულთა მათ მამათა: ბერისა საბაჲსთჳს, რომელი იყო შემდგომად ღმრთისა მიზეზი და მოპკემელი ჩემდა თარგმნობისა და მღღლისა გაბრიელისთჳს, რომლისა ბრძანებითა და ლოცვითა მოსცა ღმერთმან წმიდაჲ ესე წიგნი ყოველსა ნათესავსა ჩუენსა; ამათ ყოველთა თანა მე შემინწყალოთ უსასყიდლოთ“<sup>37</sup>.

ეფრემ მცირის შემდეგ „ღიალექტია“ ხელშეორედ თარგმნა არსენი ვაჩესძემ, რომელიც ქართულ მწერლობაში არსენი იყალთოელის სახელით არის ცნობილი. „ღიალექტია“ მან შეიტანა თავის ცნობილ კრებულში, რომელსაც „დოგმატიკონი“ ეწოდება. „ღიალექტიკის“ გარდა ამავე კრებულში შეტანილია „გარდამოცემაც“. „ღიალექტია“ არსენი იყალთოელის მიერ იმავე შედგენილობით არის თარგმნილი, როგორც არის ბერძნულში და ეფრემთან: ზანდუკი ჯიხტალე და ტექსტი.

როდის თარგმნეს „ღიალექტია“ ეფრემ მცირემ და არსენი იყალთოელმა?

ქ. კეკელიძის მოსაზრებით, ეფრემ მცირემ დამასკელის შრომა თარგმნა XI ს-ის 90-იან წლებში. მართლაც, არსებობს ზოგი ვარაუდობა, რომელიც ამ ვარაუდს ამართლებს. ჯერ ერთი, როგორც „გარდამოცემაზე“ დართულ ანდერძში ვკითხულობთ, ეფრემს ეს შრომა შეუტრულებია სხვა ქართველი მოღვაწეების თანადგომითა და დახმარებით, მათ შორისაა არსენი იყალთოელი<sup>38</sup>. მოსალოდნელია, რომ ასეთი დახმარება და თანადგომა მას დასჭირდებოდა შავ მთაზე, კასტანას მონასტერში მოღვაწეობის დროს, როცა იგი საკმაოდ მოხუცებული იყო, ე. ი. მისი სიცოცხლის ბოლო ათეულ წლებში<sup>39</sup>.

ამასთან, როგორც რ. მიშინოშვილმა გაარკვია, ეფრემს „გარდამოცემა“ ნათარგმნი აქვს დიონისე არეოპაგელის შრომების თარგმნის შემდეგ, რადგან „გარდამოცემაზე“ დართულ სქოლიოებში დამოწმებულია აღილები დიონისე არეოპაგელის შრომებიდან<sup>40</sup>. ეს ვარაუდობაც მხარს უჭერს იმას, რომ „გარდა-

<sup>36</sup> A—24, 7r.

<sup>37</sup> A—24, 4r.

ეფრემ მცირის ეს წინასიტყვაობა ქართული ლიტერატურის მკვლევართა სავანებო ყუარალუბას იქცევს.

<sup>38</sup> A—24, 17v II.

<sup>39</sup> ეფრემ მცირე დიონისე არეოპაგელის შრომების თარგმანშიც აღნიშნავს მსგავსი ხასიათის დახმარებას იოანე საღმრთო ფილოსოფოსის მხრივ. იხ. იო ა ნ ე პ ე ტ რ ი წ ი, სათნოებათა კიბე, ივ. ლოლაშვილის გამოცემა, გვ. 56.

<sup>40</sup> რ. მიშინოშვილი, „გარდამოცემის“ ქართული თარგმანები, გვ. 121—123.



მოცემის“ თარგმნა ეფრემის მიერ მისი ცხოვრების უკანასკნელ პერიოდს მივაკუთვნოთ, ე. ი. XI ს-ის ბოლო წლებს.

რაც შეეხება არსენი იყალთოელის „ღიალექტიკას“, კ. კეკელიძის აზრით, იგი შესრულებულია ეფრემის თარგმანიდან ორი თუ სამი ათეული წლის შემდეგ<sup>41</sup>. გამოდის, რომ არსენი იყალთოელს „ღიალექტიკა“ უთარგმნია 1110—1120 წლებში. „ღიალექტიკის“ თარგმნის დროდ ამ წლების გამოცხადება ნაკვიანები ჩანს და აი, რატომ:

„ღიალექტიკა“, როგორც ვიცით, მოთავსებულია ცნობილ კრებულში „ღოგმატიკონში“, დასაწყის სტატიებს შორის. ყველა ძველ ნუსხაში მას რიგით მეორე ადგილი უკავია ანასტასი სინელის „წინამძღვრის“ შემდეგ. ეს იმას ნიშნავს, რომ არსენი „ღიალექტიკის“ თარგმნას კრებულის შედგენისთანავე შესდგომა. ხოლო კრებულის შედგენის სავარაუდებელი თარიღები გარკვეული აქვს კ. კეკელიძეს.

არსენის „ღოგმატიკონის“ შედგენა დაუწყია მანგანას მონასტერში, კონსტანტინოპოლში. ამის საბუთს მკვლევარს აძლევს თვით „ღოგმატიკონის“ შესავალი სტატიის ანდერქნამაგი<sup>42</sup>. მაშასადამე, „ღოგმატიკონის“ შედგენა დაიწყებოდა არა უადრეს 1042 წლისა, როცა დაარსდა მანგანას მონასტერი. კ. კეკელიძე კიდევ უფრო აზუსტებს ამ თარიღს. „ღოგმატიკონის“ ერთ-ერთი სტატიის ანდერქნაში მოხსენიებულია დავით პეტრიწონელი. ამ უკანასკნელის მოხსენიება შესაძლებელი იქნებოდა პეტრიწონის მონასტრის დაარსების (1083 წ.) შემდეგ. ამდენად, „ღოგმატიკონის“ შედგენა დაწყებულია XI ს-ის ბოლო ათეულ წლებში, ხოლო დაუმთავრებია იგი არსენი იყალთოელს საქართველოში, შიო-მღვიმის მონასტერში<sup>43</sup>. ვინაიდან „ღოგმატიკონის“ შედგენის დაწყებას, ვფიქრობთ, ემთხვევა დასაწყისი სტატიების თარგმნაც, ამის საფუძველზე მისაღები ჩანს ის აზრი, რომ „ღიალექტიკა“ არსენის უნდა უთარგმნა XI ს-ის გასულს, უფრო მოსალოდნელია 90-იან წლებში, ყოველ შემთხვევაში არა უკვიანეს 1103 წლისა, როცა შედგა რუის-ურბნისის კრება. ამ თარიღს ვიღებთ „ღოგმატიკონის“ შედგენისა და, მაშასადამე, „ღიალექტიკის“ თარგმნის ბოლო ქრონოლოგიურ მიჯნად იმდენად, რამდენადაც კრების ძეგლისწერაში, როგორც გაირკვა, არსენი ერთ-ერთ წყაროდ იყენებს „ღოგმატიკონის“ სტატიას<sup>44</sup>. მაშასადამე, „ღოგმატიკონის“, ყოველ შემთხვევაში, კრებულის ძირითადი ნაწილის, თარგმნა არსენი იყალთოელის მიერ წინ უსწრებს მის მიერ „ძეგლისწერის“ შედგენას.

მაშასადამე, ეფრემისა და არსენის თარგმანები თითქმის თანადროულია ერთმანეთისა. როგორც ვფიქრობთ, ორივე შესრულებულია XI ს. 90-იან წლებში. მათ, ალბათ, რამდენიმე წელიწადი თუ ამოვრებთ ერთმანეთს.

როგორც ვხედავთ, „ღიალექტიკა“ ქართულად უთარგმნიათ XI საუკუნეში, ერთი საუკუნით ადრე, ვიდრე ის ითარგმნებოდა ლათინურად და ცნობილი გახდებოდა დასავლეთ ევროპისათვის. აქვე შევნიშნავთ, რომ დამასკელის შრო-

41 კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, გვ. 297.

42 წ—1463, 29r.

43 კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, გვ. 280.

44 ე. გაბაძაშვილი, რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერის“ ავტორის ვინაობისათვის, ხელნაწერთა ინსტიტუტის XIV სამეცნიერო სესიის თეზისებზე.

მათაგან მრავალი უკვე X ს-მდე იყო თარგმნილი ქართულად<sup>45</sup>. საყურადღებოა ნ. მარისეული შეფასება ამ დროის ქართველ ფილოსოფოსთა მოღვაწეობისა<sup>46</sup>.

საინტერესოა ფაქტი „ღიალექტიკის“ ორჯერ თარგმნისა. რით შეიძლება აიხსნას ის, რომ „ღიალექტიკას“ თარგმნის ორი ერთმანეთის თანამედროვე მწერალი, რომელთა ფილოსოფიურ-მეცნიერული ერუდიცია და სამწერლო საქმიანობა ექვს არ ბადებს მათ თარგმანთა მალალ ლიტერატურულ ღირებულებაში? მით უმეტეს, რომ, როგორც ამას კ. კეკელიძე აღნიშნავს, არსენი იყალთოელმა არა მარტო იცოდა ეფრემის თარგმანის არსებობა, არამედ მონაწილეობაც კი მიუღია მის თარგმანში. ამის შესახებ ცნობას თვითონ ეფრემი გვაწვდის „წყაროჲ ცოდნისაჲს“ თარგმანის ანდერძნაჲგში<sup>47</sup>:

„ლოცვა ყავთ, ქრისტეს მოყუარენო, გაბრიელისთჳს, რომლისა ბრძანებითა ითარგმნა წმიდაჲ ესე წიგნი და კეთილთა მოღუაწეთა ჩემთა და განმადლიერებელთა, ამას თანა მზრდელთაცა და მსახურთა არსენი იყალთოელისა, იოვანე და იოვანე ზუცესთა, სტეფანესთჳს დიაკონისა და უფროჲს ყოველთა ჩემ საწყალობელისა რეცა თარგმნისა ეფრემ მცირისათჳს“ და ა. შ.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომლის მიხედვითაც „ღიალექტიკის“ ორჯერ თარგმნის მიზეზი მაშინდელი საქართველოს იდეოლოგიურ წინააღმდეგობათა სფეროში უნდა ვეძიოთ.

კ. კეკელიძე ამაში ხედავს ფილოსოფიაში პლატონიზმსა და არისტოტელიზმს შორის გაჩაღებული ბრძოლის ასარეკლს. იდეოლოგიური უთანხმოების გამო ამ სხვადასხვა მიმართულებათა წარმომადგენლები ვერ იწყნარებდნენ მოწინააღმდეგე ბანაკის მწერალთა ლიტერატურულ საქმიანობას. არისტოტელიზმის პოზიციებზე მდგარ არსენი იყალთოელს არ აკმაყოფილებს ნეოპლატონიკოს ეფრემის თარგმანი და ხელმეორედ თარგმნის მას<sup>48</sup>.

შ. ნუცუბიძის აზრით, აქ თავი იჩინა პროგრესული (ეფრემ მცირე) და რეაქციული (არსენი იყალთოელი) ბანაკების განსხვავებულმა პოზიციამ ფილოსოფიისა და თეოლოგიის ურთიერთმიმართების შეფასებისას<sup>49</sup>.

ორი ქართული თარგმანის ტექსტობრივი შედარება არავითარ საფუძველს არ იძლევა, რომ მათ შორის რაიმე მსოფლმხედველობრივი ხასიათის განსხვავება დაინახოთ. ქართულ ტექსტებში არ ჩანს არავითარი ნიშნები იმისა, რომ არსენის თარგმანი არისტოტელიზმის პოზიციებიდან არის შესრულებული, ხოლო ეფრემისა — პლატონიზმისა. ქართულ თარგმანებს შორის არსებული განსხვავებანი არც მათი ავტორების პროგრესული ან რეაქციული შეხედულებებით ჩანს გაპირობებული.

ტექსტების შედარებამ გამოავლინა, რომ არსებობს სხვა გარემოებები, რომელთაც განაპირობებს „ღიალექტიკის“ ორჯერ თარგმნა.

<sup>45</sup> И. Джавахишвили, Материалы для истории груз. патристической лит-ры. XV. т. I. стр. 6 — 29. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, 1951, გვ. 178.

<sup>46</sup> Н. Марр, Иоанн Петрицкий..., стр. 113.

<sup>47</sup> А—24, 137v.

<sup>48</sup> კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, 1951, გვ. 277.

<sup>49</sup> შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. II, 1958, გვ. 150—152.



ნოგრაფიული შრომის ავტორები (ვ. ერმონი, ი. ლანგენი), არც სხვა ავტორები არ იხსენიებენ ქართულ თარგმანებს. უკანასკნელი ხანის გამოცემებში (ბ. კოტერი, გ. რიხტიკი) ქართული თარგმანები მხოლოდ გაკვირთ არის მოხსენიებული „ღილაქტიკის“ ტექსტის ისტორიაზე მსჯელობისას<sup>55</sup>, შესწავლილი კი ისინი არ არის. ამავე დროს ქართული თარგმანები ქრონოლოგიურად გვერდით უდგას მათ მიერ დასახელებულ არაბულ, ლათინურ და ძვ. სლავურ თარგმანებს.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში „ღილაქტიკის“ ქართული თარგმანების კვლევა საგანგებოდ უწარმოებია ს. გორგაძეს.

„ღილაქტიკის“, ისევე როგორც მთლიანად „წყაროჲ ცოდნისაჲს“, ქართული თარგმანების რედაქციული რაობის, მათ ბერძნულ ორიგინალთან მიმართების შესახებ მკვლევარს ორი სტატია აქვს გამოქვეყნებული<sup>56</sup>. მართალია, მკვლევრის მოსაზრებები ცალკეულ საკითხთა შესახებ ზოგჯერ დამაჭერებლობას მოკლებულია, რადგან საგანგებოდ შედარება ბერძნულ ორიგინალთან მას არ უწარმოებია, მაგრამ წინასწარი მონაცემებით ქართული თარგმანების რედაქციული სახეობა ძირითადად სწორად აღვსნაზღვრული. მოკლე მიმოხილვასთან ერთად, მკვლევარს გამოქვეყნებული აქვს „ღილაქტიკის“ ტექსტის შესავალი ნაწილები: ზანდუკი, ეპისტოლე და წინასიტყვაობა ეფრემ მცირის თარგმანის მიხედვით და ეპისტოლე არსენი იყალთოელის თარგმანიდან. ამავე დროს მკვლევარს გამოსაცემად გაუმზადებია „ღილაქტიკის“ ტექსტები ორივე ქართული თარგმანის მიხედვით. ტექსტებს ზოგან დართული აქვს შენიშვნები, რომლებიც რედაქციულ თავისებურებათა და ლექსიკოლოგიის ზოგ საკითხს ეხება. ამაჲმად ს. გორგაძის ეს შრომა დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში Q ფონდის № 1185 ხელნაწერის სახით.

უფრო ადრე, ეფრემ მცირისეული ზანდუკი და წინასიტყვაობა გამოქვეყნებული ჰქონდათ თ. ყორღანისა<sup>57</sup> და ე. თაყაიშვილს<sup>58</sup>. „ღილაქტიკის“ ეფრემ მცირის თარგმანზე ზოგი ტექსტოლოგიური დაკვირვება აქვს თ. კუკავას<sup>59</sup>. მკვლევარს ეფრემის თარგმანის ზანდუკი შედარებული აქვს მ. ლუქვიანის (1712 წ.) ბერძნულ გამოცემას და აღწერსული აქვს მათი სტრუქტურული სხვაობა, თუმცა ამ შედარებისას განსხვავებული რედაქციები არ არის დანახული.

„ღილაქტიკის“ რაობას, მასთან დაკავშირებულ ზოგ ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიურ საკითხს „გარდამოცემაზე“ მსჯელობისას მიმოიხილავს რ. მიმინოშვილი<sup>60</sup>.

<sup>55</sup> ბ. კოტერი იმეორებს მ. თარხნიშვილის ცნობებს „ღილაქტიკის“ ქართული თარგმანების შესახებ. იგი აღნიშნავს: „წყაროჲ ცოდნისაჲს“ ტექსტი პირველად შემოკლებით თარგმანებით ათონელმა. შემდეგი სრული თარგმანი ეკუთვნის ეფრემ მცირეს, XI ს. 90-იან წლებში და ბოლოს, „წყაროჲ ცოდნისაჲს“ ისევ თარგმანს არსენი იყალთოელმა და შეიტანა იგი თავის „დოგმატიკონში“. იხ. M. Tarchnitsvili, *Geschichte der Kirchlichen georgischen Literatur* [Sudi e Tesi] 185]. Città del Vaticano, 1955.

<sup>56</sup> ს. გორგაძე, იოანე დამასკელის მთავარი თხზულება „Πηγή γνῶσεως“ ქართულ მწერლობაში, მიმოხილველი, I, 1926. მისივე, ფილოსოფიის მთავარი დარგები ქართულ მწერლობაში, „ჩვენი შეხილველი“, 1923, №2-3, 4-5.

<sup>57</sup> თ. ყორღანია, ქრონიკები, ტ. I, გვ. 215-219.

<sup>58</sup> Такайшвили, Е., Описание Рукописей Общества распространения грамотности среди грузинского населения, т. I, 1902, стр. 710-717.

<sup>59</sup> თ. კუკავა, იოანე პეტრიწის მსოფლმხედველობა, გვ. 72-74.

<sup>60</sup> რ. მიმინოშვილი, „გარდამოცემის“ ქართული თარგმანები, გვ. 20-23, 55-58.

1969 წელს გამოქვეყნდა ეფრემ მცირის წინასიტყვაობის ჩვენ მიერ შესრულებული რუსული თარგმანი (შემოკლებული სახით) „მსოფლიო ფილოსოფიის ანთოლოგიაში“<sup>61</sup>.

მიუხედავად ყოველივე ამისა, „ღიალექტიკის“ ქართული თარგმანები ჭერ არ ყოფილა საგანგებო ტექსტოლოგიური, ფილოლოგიური და ფილოსოფიური შესწავლის საგანი.

### III. „ღიალექტიკის“ ტექსტის შესახებ

ქართული თარგმანების ტექსტოლოგიურმა შესწავლამ გამოავლინა შემდეგი:

1. ეფრემ მცირესა და არსენი იყალთოელს სხვადასხვა რედაქციის შემცველი ბერძნული ორიგინალი აქვთ გამოყენებული.

ქართული თარგმანების შედარება ბერძნულ ტექსტთან გვიჩვენებს, რომ ისინი სხვაობენ ყველა ცნობილი ბერძნული ორიგინალისაგან<sup>62</sup>.

2. ორ ქართველ მწერალს განსხვავებული მთარგმნელობითი მეთოდით აქვთ შესრულებული თავიანთი თარგმანები.

ქართული თარგმანების ტექსტობრივი ანალიზი ამ ორ საკითხთან დაკავშირებულ თავისებურებათა დახასიათებას ითვალისწინებს.

რა სურათია ბერძნულში რედაქციების თვალსაზრისით და რა ვითარებას ავლენენ ქართული თარგმანები?

#### ა. ბერძნული ჩამოკითხვა

ბიზანტიური ლიტერატურის მკვლევრებს აღნიშნული აქვთ, რომ ბერძნულ ხელნაწერებში „ღიალექტიკა“ სხვადასხვა რედაქციით არის წარმოდგენილი<sup>63</sup>. ცნობილია „ღიალექტიკის“ ვრცელი და მოკლე რედაქციები. ბერძნულ ხელნაწერებში ვრცელი და მოკლე რედაქციების ფარგლებშიც არაა დაცული ერთგვარობა. განსხვავებულია როგორც თავების რაოდენობა, ასევე თანმიმდევრობაც<sup>64</sup>.

სპეციალისტთა ვარაუდით, ორივე რედაქცია უშუალოდ ავტორს, იოანე დამასკელს, ეკუთვნის. კ. კრუმბახერი და ი. ლანგენი იმოწმებენ იოანე დამასკელის ბიოგრაფის, იოანე იერუსალიმელ პატრიარქის ცნობას, რომ იოანე დამასკელმა პალესტინაში, საბას მონასტერში ყოფნისას, ხელმეორედ გადაამუშავა და გადააკეთა თავისი შრომები<sup>65</sup>.

<sup>61</sup> Антология мировой философии, т. I. Москва, 1969. стр. 62.

<sup>62</sup> უღარებთ ბ. კოტერის უკანასკნელ გამოცემას, რომელშიც გათვალისწინებულია ყველა ბერძნული ხელნაწერის ჩვენება.

<sup>63</sup> G. Migne, PG, t. 94, col. 520—521. I. Langen, დასახ. შრომა, გვ. 46. B. Kottler, დასახ. შრომა, გვ. 29—41; G. Richter, დასახ. შრომა, 57—63.

<sup>64</sup> P. Lambros, Catalogue of the Greek Manuscripts on Mount Athos, t. I. 1855. Систематическое описание рукописей Московской Синодальной (патриаршей) библиотеки. арх. Владимира, М. 1834. Α. Παπαδόπουλος-Κραμής. Ἱεροσολυμίτικῃ βιβλιοθήκῃ, t. III, IV, 1899.

<sup>65</sup> Е. Гранстрем. Описание греческих рукописей ленинградских хранилищ. Визант. Временник, XVI—1960, XVIII—1961. XIX—1961, XXII—1963.

<sup>66</sup> I. Langen, დასახ. შრომა, გვ. 46; K. Krumbacher, დასახ. შრომა, გვ. 68.

რომელია უფრო ადრინდელი ამ რედაქციებში, ვრცელი თუ მოკლე? გ. მინი იზიარებს მ. ლექციების აზრს, რომ იოანე დამასკელს პირველად ვრცელი რედაქცია უნდა ჰქონოდა შედგენილი და შემდეგ მანვე შეამოკლა ტექსტი<sup>66</sup>.

ბ. კოტერის თვალსაზრისით, რომელსაც იზიარებს გ. რინტერიც, ვრცელი რედაქცია წარმოადგენს მოკლის შემდგომ გადამუშავებას. მკვლევრებს მოცემული აქვთ ვრცელი ტექსტოლოგიური დაკვირვებანი თავების რაოდენობასა და თანამიმდევრობაზე, თავების გამოკრებაზე, რაც აძლევს მათ უფლებას პრიორიტეტი მიანიჭონ მოკლე რედაქციას<sup>67</sup>.

გარდა ვრცელი და მოკლე რედაქციისა, არსებობს შერეული ტიპის ხელნაწერებიც, სადაც გვიანი პერიოდის გადაშერთა საქმიანობის კვალი ჩანს: გადაშწერებს მოუხდენიათ ვრცელი და მოკლე რედაქციების ტექსტის ურთიერთშეცვლა.

ბ. კოტერის მიერ დეტალურად არის აღნუსხული ბერძნული ხელნაწერების რედაქციული თავისებურებანი. გამომცემლის მიერ კლასიფიცირებულია ყველა რედაქციული სხვაობა და ხელნაწერები დაჯგუფებულია ვრცელი და მოკლე რედაქციის ტექსტის მიხედვით.

ვრცელი და მოკლე რედაქციები შინაარსობრივ სხვაობას თითქმის არ აქვს, განსხვავებას მათ შორის ძირითადად ქმნის თავთა რაოდენობა და დასაწყისში თავთა თანამიმდევრობა. ტექსტობრივი სხვაობა უმნიშვნელოა. ვრცელი რედაქცია შედგება 68 თავისაგან, ხოლო მოკლე ძირითადად 50 თავს მოიცავს. ძირითადად, ვამბობთ იმიტომ, რომ მოკლე რედაქციის შიგნითაც არ არის ერთიანობა თავთა რაოდენობის მხრივ. ზოგი ხელნაწერის ტრადიცია 50 თავს ავლენს (უძველესი სირიული თარგმანის მოწმობა), ზოგისა კი — 52 თავს (არაბული თარგმანი)<sup>68</sup>.

განსხვავება ვრცელსა და მოკლე რედაქციებს შორის შემდეგია:

1) ვრცელში ზედმეტი თავებია: ა'—γ', ε', θ', ιθ'—χθ', ξη'

2) განსხვავებულია შემდეგი თავების თანმიმდევრობა:

მოკლე რედაქცია: ι' ა' ιβ' იγ' იδ'

ვრცელი — „— λ' λა' ζ' ζ' η'

3) გაყოფილია შემდეგი თავები: η' (მოკლე) <  $\begin{matrix} \zeta' \\ \zeta' \end{matrix}$  (ვრცელი)

4) ვრცელში გადაკეთებულია შემდეგი თავები: θ' ε' η'

ხელნაწერთა ასეთი სხვადასხვაობა აძნელებს გარკვევას, თუ რა ტიპის ტექსტია პირველადი და ძირითადი.

ბ. კოტერის გამომცემაში წარმოდგენილია ვრცელი და მოკლე რედაქციების შემცველ ხელნაწერთა სქემები ცალ-ცალკე.

ბ. კოტერის სქემაში გათვალისწინებულია მოკლე რედაქციის შემცველი ყველა ხელნაწერი. ვარიანტული წაკითხვების მიხედვით გამოყოფილია ძირითადი ჯგუფები და ქვეჯგუფები. გამომცემლის განცხადებით, ყველა მოკლე რედაქციის შემცველი ტექსტი ერთ რომელიმე ჯგუფში ან ქვეჯგუფში თავსდება.


<sup>66</sup> G. Migne, PG, 94, col. 520.

<sup>67</sup> B. Kotter, Die Übersetzungen der Pseudepistologos... მისივე, Die Schriften..., გვ. 20. G. Richter, დასა. შუიკი, გვ. 58—52.

<sup>68</sup> B. Kotter, Die Schriften... გვ. 45.

ქართული თარგმანების ბერძნულ ხელნაწერებთან მიმართების ნათელ-საყოფად წარმოვადგენთ მოკლე რედაქციის ხელნაწერთა სქემას, ხელნაწერთა ნომრებს და მათ სადაურობას<sup>69</sup>.

b(revior) — მოკლე რედაქცია



b მიუთითებს მოკლე რედაქციის ხელნაწერთა ძირითად ჯგუფს, სადაც გამოიყოფა ორი ქვეჯგუფი: b<sub>1</sub> და b<sub>2</sub>, რომლებშიც გაერთიანებულია ხელნაწერები სქემაში განლაგებულია საუკუნეთა მიხედვით.

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ე ბ ი :

1. 435, Paris. gr. 1105.
2. 166, Caesenas, Malatest. Pian. 3.190. Film (g).
3. 724, Venet. Marc. gr. II, 196.
4. 634, Rom. Vat. Barb. gr. 434.
5. 735 Vindob. theol. gr. 164.
6. 441, Paris. gr. 1111.
7. 407 Oxon. Bodl. Auct. E. 5. 4.
8. 678 Sinait. 383.

#### ბ. ქართული რედაქციები

ქართული თარგმანები თავთა რაოდენობითა და თანამიმდევრობით ძირითადად იმეორებენ ბერძნულის მოკლე რედაქციას. მაგრამ ტექსტობრივმა ანალიზმა ცხადყო, რომ ქართული თარგმანები ზოგჯერ შორდებიან მოკლე რედაქციას და ვრცელი რედაქციის ჩვენებას იმეორებენ.

ქართული თარგმანების რედაქციული სახეობის დადგენისას მხედველობაში გვაქვს ორი ძირითადი ასპექტი: 1. ტექსტების სტრუქტურული ანალიზი, ე. ი. თავების რაოდენობისა და თანამიმდევრობის გარკვევა და 2. ცალკეული თავების შიგნით ტექსტობრივი სხვაობის ანალიზი.

ორივე ქართული თარგმანის კვლევისას ძირითადად გათვალისწინებულია ეს ორი საკითხი: როგორია თავების რაოდენობა და თანამიმდევრობა<sup>70</sup> და რა ვითარებაა თავების შიგნით?

<sup>69</sup> იხ. B. K o l t e r, Die Schriften... გვ. 46.

<sup>70</sup> ბერძნულ გამოცემებში თავთა ესა თუ ის რაოდენობა და თანამიმდევრობა არის მიზნული ძირითად ნიშნად რედაქციათა გამოყოფისას.

## არსენი იყალთოელის თარგმანი

არსენი იყალთოელის მიერ თარგმნილი ტექსტი სხვაობს ეფრემის თარგმანისაგან თავების რაოდენობით. არსენის თარგმანი შედგება 49 თავისაგან. თავთა რაოდენობით იგი ზუსტად მიყვება ისეთ მოკლე რედაქციას, რომელიც 50 თავს შეიცავს. ერთი თავით სხვაობა ჩნდება 48-ე თავის შემდეგ. ბერძნულის მოკლე რედაქციის მჭ' (49) თავი არსენის თარგმანში არ არის. ამ ერთი თავს ჩავარდნის გამო, ბერძნულის მომდევნო v (50) თავი არსენის თარგმანში 49-ე თავად არის წარმოდგენილი.

თავების თანამიმდევრობითაც არსენის ტექსტი ზუსტად მიჰყვება 50 თავიან რედაქციას. თავთა თანამიმდევრობა მხოლოდ ორგან არის დარღვეული:

ბერძნული  $\nu'$  = არსენის 28

ბერძნული  $\lambda\alpha'$  = არსენის 23

პირველი შემთხვევა ( $\nu'$  = 28) არც ერთ ბერძნულ ხელნაწერში არ დასტურდება.

მეორე შემთხვევა ( $\lambda\alpha'$  = 23) დასტურდება ერთ ბერძნულ ხელნაწერში, რომელიც პირობითად „ხ<sub>2</sub><sup>23</sup>“-ით არის აღნიშნული გამოცემაში. საყურადღებოა, რომ ამ თავის დასაწყისი ფრაზები არსენის ტექსტისა ემთხვევა „ხ<sub>2</sub><sup>23</sup>“-ის წაკითხვას და არა ძირითად ტექსტს.

არსენისეულ ტექსტში კიდევ ერთი თავი იჩენს სტრუქტურულ განსხვავებას მოკლე რედაქციის ძირითადი ტექსტისაგან. ეს არის თ. 31 — „განწვალბისათვის მყოფისა და არსებისა“. განსხვავებულია იგი ტექსტის მოცულობით. მაგრამ ვინაიდან ამ თავს პარალელები აქვს ეფრემის ტექსტთან, მას ამ უკანასკნელთან ერთად განვიხილავთ<sup>71</sup>.

არსენის ტექსტი ცალკეული თავის ფარგლებში შინაარსობრივ ნაკლებად განსხვავდება ბერძნული ორიგინალისაგან, ვიდრე ეფრემის ტექსტი. არსენის ტექსტს ახასიათებს მხოლოდ ცალკეული სიტყვისა თუ ფრაზის მეტობა ან ნაკლებობა.

მხოლოდ სამი შემთხვევა გვაქვს არსენის თარგმანში, როცა განსხვავებულია შედარებით დიდი მოცულობის ტექსტი.

1. 8,5. მსჯელობა ეხება არსებასა და შემთხვევითს. განყოფილება მოვლენებს ჰყოფს გვარ-სახეობრივ საფეხურებად. აქ გარკვეული სუბორდინაციაა: ის, რაც იყოფა, ე. ი. ზოგადი, უმაღლესია მასზე, რაზედაც იყოფა, ე. ი. უფრო კონკრეტულზე. ასეთი ხარისხობრივი მიმართება ნეოპლატონური ემანაციის საფეხურებს მოგვაგონებს. ჩნდება მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთობა. გაურკვეველია ამ ადგილის წყარო. არ ჩანს, საიდან აიღო იგი არსენი იყალთოელმა.

<sup>71</sup> შევნიშნავთ, რომ არსენის ტექსტის ზოგ თავისებურებას განვიხილავთ შემდგომ, ეფრემის ტექსტთან კავშირში.



2. 48,4. ამ ადგილას გამეორებულია „გარდამოცემის“ ერთ-ერთი თავის ნაწყვეტი. ეს ზედმეტი ტექსტი სრულიად მოულოდნელ კონტექსტშია ჩართული. ამიტომ იბადება ეჭვი, ხომ არ არის იგი ჩართული გადაშვრის მიერ?<sup>72</sup>

3. არსენის ტექსტს აკლია საკმაოდ მოზრდილი ფრაგმენტი, სადაც ათი კატეგორიის ჩამოთვლაა<sup>73</sup>.

როცა განვიხილავთ არსენის ტექსტის სხვაობას ბერძნულთან შედარებით ცალკეული სიტყვის ან ცალკეული ფრაზის ფარგლებში, ორნაირი სურათი იჩენს თავს: 1. უმრავლეს შემთხვევაში, როცა არსენის თარგმანში მეტია ან ნაკლებია ტექსტი, სხვაობა მხოლოდ არსენის თარგმანისთვის არის დამახასიათებელი. არსენის ტექსტის განსხვავებული წაკითხვები არ ჩანს არცერთ ბერძნულ რედაქციასა თუ ვარიანტში. არ ჩანან ისინი არც ეფრემის თარგმანში. 2. ზოგჯერ არსენის ტექსტის მეტობა-ნაკლებობა მხოლოდ ბერძნულ ტექსტთან შედარებით იჩენს თავს. ეფრემის თარგმანში არსენის ტექსტის ანალოგიური სურათია.

სხვაობა ზოგან არსენის ტექსტში ისეთი ხასიათისაა, რომ ტექსტობრივ მეტობას ვაერცობის. აზრის განმარტების ხასიათი აქვს. მაგ., თ. 12-ში საუბარია ბუნებით უპირველესის, ანუ ზოგადის შესახებ: ცხოველი უპირველესია (ანუ ზოგადია) კაცზე, მაგრამ პეტრე პავლეზე უპირველესი არ არის. „ვინაჲცა არცა პეტრე პავლესსა უპირველეს არს ბუნებით, არცა სიტყვერი ცხოველი უსიტყუელისა ცხოველისასა, რამეთუ ცხოველნი არიან ეგევითარნიცა იგი, რომლისათჳსცა პეტრე თუ მოისპოს და არღარა იყოს, იყოს სადმე პავლე და პავლე რაჲ არღარა იყოს, იყოს უკუე პეტრე“ 12,3.

არსენის ტექსტში მეტია ხაზგასმული წინადადებები. ორივე ფრაზა განმარტება-ვაერცობის ხასიათს ატარებს.

ზოგიერთ შემთხვევაში არსენის ტექსტს ზოგი რამ აკლია. ორიგინალის ტექსტი ისეა შემოკლებული, რომ აზრი არ ირღვევა, მსჯელობა ლაკონურია. 32,1: მსჯელობა ეხება თანა-მონათესავესა და სხვა-ნათესავს: თანა-მონათესავეა, რომელიც ერთ რომელიმე კატეგორიას განეკუთვნება, ხოლო სხვა-ნათესავია, რომელიც სხვადასხვა კატეგორიაში შედის. ამ ადგილას არსენის ტექსტს აკლია საკმაოდ მოზრდილი ფრაგმენტი (რაც ზემოთ უკვე იყო აღნიშნული). ამ ფრაგმენტში ჩამოთვლილია ის ათი კატეგორია, რომელთაც შეიძლება ეკუთვნოდეს სხვა-ნათესავი (მღრ. ეფრემი 35,1). შესაძლებელია, არსენი იყალთოელმა ძირითადი საკითხის — თანა-მონათესავეისა და სხვა-ნათესავის — განმარტებისას საჭიროდ არ ცნო ტექსტის ზედმეტი დატვირთვა ათი კატეგორიის ჩამოთვლით, მით უმეტეს, რომ ეს კატეგორიები ადრე უკვე იყო განმარტებული.

არსენის ტექსტში ერთი-ორგან დადასტურდა აზრობრივი უზუსტობანი. ამათგან ერთი (12,2), როგორც შემდგომ დაეინახავთ, ბერძნულ ხელნაწერებსაც ჰქონია.

გვაქვს განსხვავებული წაკითხვებიც, მაგ., 18,3. „წიგნი საკმურნალოჲ“. ბერძნულშია  $\xi\pi\chi\alpha\lambda\epsilon\iota\sigma\ \iota\alpha\tau\epsilon\rho\alpha\sigma\ \text{K. 103,16}$ . ეფრემის ტექსტშია: „კჳრკჳელი სამ-

<sup>72</sup> ასეთი მოულოდნელი გადასვლა ტექსტში „ღოგმატიკონის“ სხვა სტატიაშიც დასტურდება. ესაა „შეჩუენებანი იაკობიტა და ერთ-ბუნებიანთანი, რომელთა თანა არიან სომეხნიცა“ (S—1463, 306r—307v).

<sup>73</sup> მღრ. ეფრემ მცირის თარგმანი 35,1.

კურნალოა“ (21,3). არსენის „წიგნი“ მნიშვნელობით არ უღრის ἐγγλεῖσθαι-ს, თუმცა შეეფერება კონტექსტს.

არსენის თარგმანის თავისებურებათა ანალიზის დროს რამდენიმე ვარაუდი დასაშვებია: 1. განსხვავებანი არსენი იყალთოელს, როგორც მთარგმნელს, აქვს შეტანილი ტექსტში, 2. შეიძლება ხელნაწერთა გადამწერებმა შეცვალეს ესა თუ ის ადგილი, 3. სხვაობა გააჩნდა იმ ბერძნულ ნუსხას, რომლითაც სარგებლობდა არსენი იყალთოელი.

ამ საკითხთა გადაჭრისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება სომხურ თარგმანს.

#### სომხური თარგმანის მიმართება არსენის დედანთან

სომხური თარგმანი<sup>74</sup> ძალიან ახლოს დგას ქართულ დედანთან. სომეხი მთარგმნელი სიტყვასიტყვით თარგმნის არსენის ტექსტს და მის ტექსტში ხშირად პირდაპირი თარგმნის მაგალითები იჩენს თავს. ზოგან სომხურ ტექსტში განსხვავებული ადგილებიც არის.

უფრო ხშირად ის ადგილები არსენის ტექსტისა, რომელიც მეტია ან ნაკლებია შედარებით ბერძნულ ტექსტთან, ასევე მეტია ან ნაკლებია სომხურშიც. ეს შემთხვევები გადამწერთა ინიციატივას გამოირიცხავს. ქართულ დედანს თავიდანვე ჰქონია ეს თავისებურებანი. მაგრამ იშვიათად სომხურში არის ისეთი ადგილები, რაც ქართულს აკლია. ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს შემოკლებანი არსენის ტექსტში გვიანი პერიოდის გადამწერებს უწარმოებიათ? ამის მაგალითებია შემდეგი:

ერთგან არსენის ტექსტს აკლია. ბერძნულშია: Οὐδὲ τὸν ἀπειχύνῃτων χύμα λείπειν εἶναι უδαλόν (Κ. 127, 28). ეს წინადადება არის სომხურ თარგმანში: **ჰ ი ჯ ვარჩი ბნსაღ ჯონ ასხმჲ კიორ**<sup>75</sup>. (შდრ. ეფრემი 44, 7).

Κ 128, 18—19: Ὁ γὰρ πατήρ ἐστὶν αἰτίος τῶν οὐσῶν. Ἐκ γὰρ τῶν πατέρων ὁ οὐδὲ γυνῆτα. არსენის ტექსტში აკლია რთული წინადადების პირველი ნაწილი (43, 5). ეს ფრაზა არის სომხურ ტექსტში (შდრ. ეფრემი 45, 5).

სომხურ თარგმანში ზოგან არსენის ტექსტისგან განსხვავებული წაკითხვებია.

საიდან გაჩნდა სომხურ თარგმანში არსენის ტექსტის ნაკლები ადგილები, ან რა არის წყარო განსხვავებული წაკითხვებისა? ამ შემთხვევაში მთარგმნელის ინიციატივასთან ერთად გასათვალისწინებელია ისიც, რომ სომეხ მთარგმნელს შეეძლო ესარგებლა არსენის ტექსტის ისეთი ნუსხით, რომელიც დღეს ჩვენთვის უცნობია.

სომხური თარგმანის ქართულ დედანთან მიმართების თვალსაზრისით საინტერესოა ისეთი შემთხვევები, როცა სომხური ცილდება არსენის ტექსტს და თანხვდება მეორე ქართულ თარგმანს, ეფრემ მცირისას. გამოდის, რომ სომხური თარგმანის არსენისეული თარგმანისგან გამონაკლისი გადახვევები ხშირად

<sup>74</sup> სიმეონ პლიმპანქელის სომხური თარგმანი დასტურდება ერენის მატენადარანის შემდეგ ხელნაწერებში: №№ 63, 101, 102, 103, 116, 5789, 5859.

<sup>75</sup> იხ. ჩვენი საკანდიდატო დისერტაცია, იოანე დამასკელის „ღილაქტიკის“ ქართულ-სომხური ვერსიები, გვ. 179, 17.



თარგმანი, სადაც იკითხება „რად არს განყოფილებად არსებისა“ 34,1. ჩვენი ვარაუდით. ეს უკანასკნელია დასაშვები, რადგან, როგორც მთელი ტექსტის ანალიზით ირკვევა, სიმეონ პლინძაძანქელი არ სარგებლობს ბერძნული ორიგინალით.

ბ) ἢ ἄσπυ φάσῃ — „სახელი ძალისაჲ“ — *ანონ ჯან A, ძაჲნ ჯან BC*. BC ნუსხების *ძაჲნ* შეესაბამება ბერძნულ — φάσῃ-ს და ეფრემის თარგმანს: „კმაჲ ძალისაჲ“.

თ) სომხურის AB ნუსხებში არის ფრაზა: *ჩისკ არაოქჩინს და ნოაგოქჩინს*, რომელიც არ არის არსენისთან, მაგრამ არის ბერძნულში და ეფრემთან: „ხოლო აღორძინებაჲ და კრწნილებაჲ“.

მოვიყვანთ ნიშნუშებს, როცა სომხური თარგმანი მხოლოდ ეფრემისეულ თარგმანს ემხრობა და განსხვავდება ყველა დანარჩენისაგან.

არსენი — „თქუამდ სახისათჳს, ვითარმედ უმეტეს თეთრ არს ანუ უღარეს გრილ არს“ 35,19. *ქასან თსასაქჩინ, სქტ თსასსკ საქითასქ ტ ჯამ ქათქარ და სსას. ტ ჯამ ჯსკამ და ვიკით*. ეფრემის ტექსტში: „სპეტაკი უფროჲს არს და შავი უმცროჲს, ტფილი უფროჲს და გრილი უმცროჲს“ — 38, 19.

სომხური თარგმანი ბუნდოვანია და ეს მხოლოდ რაღაც შესწორების შედეგია. საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაში სწორება ეფრემისეული თარგმანის მიხედვით სრულდებოდა, რადგან ამ კონტექსტში შედარებისათვის აღებულ კომპონენტებს *სსას, ჯსკამ* შესაბამი სემანტიკური კორელატი მხოლოდ ეფრემისეულ თარგმანში ეძებნებათ. ესენია: „შავი“, „ტფილი“.

არსენი — „რომლისათჳს არს სიტყუაჲ ფილოსოფოსთაჲ“ 2, 1. *ქასან აჲ-სიოქქ რაგოქმ სნ რანჲ ქამათათსირაგან*. სომხურის *რაგოქმ*-ს შესატყვისი ეფრემის თარგმანში აქვს: „რომლისათჳსცა არს უმრავლესი სიტყუაჲ ფილოსოფოსთაჲ“ 2, 1.

არსენი — „არამედ ტრედნიცა და ეგვეითარნი“ 5,2. *საქს და აყანქი და სამხნაჲნ ქიჯონ*, 43 რ. სომხურში ზედმეტია *ქიჯონ*. შდრ. ეფრემი: „ტრედნიცა და სხუანი მფრინველნი“ 7, 2.

არსენი — „მეის-თანად სიმჭურვალეცა“. *ქანსკარბასქ ქ მქიომ ტამიო ჯსკამ ფიქ*. არსენის „მეისთანადი“ ორი სიტყვით არის სომხურ ტექსტში თარგმნილი: *ქანსკარბასქ* და *ქ მქიომ ტამიო*. მეორე ეკვივალენტი ზუსტი შესაბამისია ეფრემისეული თარგმანისა: „მასვე და ერთსა ეამსა შინა“.

სომხური თარგმანის ეფრემისეულ თარგმანთან მიმართების გასარკვევად ყველაზე საყურადღებო და მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენს შემდეგი გარემოება:

სომხურის A და B ნუსხებში „ღიალექტიკის“ ზანდუქში 49 თავის ნაცვლად, როგორც ეს არის არსენისეულ თარგმანში, დასახელებულია 51 თავი: *ბ (50) შარამანჲ ქამათათსირიქსიან* „სახლვარნი ფილოსოფიისანი“ და *ბა (51) რანჲ ქასან ანბქნ მარყქანსიოქ* „სიტყუანი კაცისა გუამისათჳს“. ტექსტში კი, სათანადო ადგილას, ეს თავები აღარ გვაქვს. სომხურის C ნუსხას არც ზანდუქში და არც ტექსტში ეს თავები არ მოეპოვება. საიდან გაჩნდა A და B ნუსხებში ამ თავთა დასახელება?

ამ საკითხის ნათელსაყოფად საყურადღებოა ეფრემის ტექსტის ჩვენება. ეფრემის თარგმანში 50 თავის შემდეგ უნომროდ მიჰყვება იმავე სახელწოდების თავები, რაც სომხურში არის. ესენია: „განსაზღვრებისათვის ფილოსოფოსობისათა ერთი“ და „კუალად არსებისათვის და შემთხვევისა ერთი“<sup>76</sup>.

სომხურის A და B ნუსხების საძიებლებში დასახელებული თავები ეფრემისეული ტექსტის გავლენით ჩანს თარგმნილი. სიმეონ პლინძაპანქელმა, რომელიც არსენისეულ „ლიალექტიკას“ თარგმნიდა, შეიძლება ეს თავები ეფრემის თარგმანის გავლენით დასახელა, მაგრამ შემდეგ ტექსტში აღარ შეიტანა, ვინაიდან არჩია მხოლოდ არსენის თარგმანს დაყრდნობოდა. ასე რომ A და B ნუსხებში დადასტურებული ტექსტი ამავე სახით უნდა იყოს შთარგმნელის ხელიდან გამოსული. A და B ნუსხის გადამწერებს გაეპარათ იგი ზანდუკში, ხოლო გვიანდელ C ნუსხაში ეს შეუსაბამობა გასწორებულია. ის, რომ სომხური თარგმანის ავტორმა ისარგებლა ეფრემისეული ტექსტით ამ თავების ფარგლებში, ჩანს შემდეგი ტექსტობრივი მონაცემებიდანაც:

ბა (51) თავის სათაურია: *რანგ ქასან ანბან მარქქანსიკ* „სიტყუანი კაცისა არსებისათვის“. სომხურის ასეთი დასათაურება შეესატყვისება ეფრემის ტექსტის სათანადო თავს: „კაცად არსებისათვის და შემთხვევისა“. სიტყვა „კაცად“ ეფრემის ტექსტში სრულიად გაუგებარ კონტექსტშია. ამ თავში ლაპარაკია არსებასა და შემთხვევითზე ისევე, როგორც „ლიალექტიკაში“ სხვაგანაც არის მსგელობა არსებასა და შემთხვევითზე. ამ თავის შინაარსი, აზრობრივი გაგება სრულიად გამორიცხავს სათაურში „კაცად“ სიტყვის არსებობას. ბერძნულში ეს დასათაურება საერთოდ არ არის. ერთ-ერთ ბერძნულ ხელნაწერს<sup>77</sup> აქვს დასათაურება: *Σύνοδος ἐκείνου διζωα;* „შემოკლებული ჩვენება თითოეულისა“. ხოლო ეს თითოეული, რაზეც ადრევე გაშლილია მსგელობა, არის არსება და შემთხვევითი.

ამდენად, ეფრემის ქართულ თარგმანში თავდაპირველად არ იქნებოდა „კაცად“. აქ, როგორც ჩანს, გადამწერის მიერ არასწორად გახსნილ ქარაგმასთან გვაქვს საქმე. ეწერა, ალბათ, „კლ“, რაც უნდა გახსნილიყო „კუალად“ სიტყვით და არა „კაცად“. ამრიგად, ამ თავის სწორი დასათაურებაა: „კუალად არსებისათვის და შემთხვევისა“<sup>78</sup>.

გადამწერის მიერ დაშვებულმა nonsens-მა თავი იჩინა სომხურ თარგმანშიც. *ანბან მარქქანსიკ* უთუოდ ეფრემისეული ტექსტის „კაცად არსებისათვის“ თარგმანია. მაშასადამე, სომხური თარგმანის წყარო ამ შემთხვევაში ეფრემის ტექსტია.

ზემოთ ჩამოთვლილი ტექსტობრივი მონაცემების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ: სიმეონ პლინძაპანქელს არსენის თარგმანის გარდა კიდევ სხვა წყარო ჰქონდა ხელთ. ბერძნული ორიგინალი გამოირიცხება, რადგან, ჭერ ერთი, ბერძნულთან შეხვედრის მაგალითები სულ რამდენიმეა და შეიძლება ეს შეხვედრები შემთხვევითი იყოს. შემდეგ, მთარგმნელი რომ ბერძნულ ორიგინალს იყენებდეს, სომხურში არ იქნებოდა ქართულ დედანთან ზედმიწევნითი სიახ-

76 ამ ზედმეტ თავებზე უფრო დეტალურად შეეჩერდებით ეფრემის თარგმანთან დაკავშირებით.

77 იხ. B. Koller, გვ. 145, ხელნ. № 446.

78 ამ სახით იქნა ეს ადგილი გასწორებული ჩვენს გამოცემაში.

ლოვით გამოწვეული ამდენი შეცდომა, აზრობრივი თუ ენობრივ-სტილისტური. ამ ადგილებს მთარგმნელი ბერძნული ორიგინალის მიხედვით გაასწორებდა. რჩება ორი შესაძლებლობა: სიმეონი ან ბაგრატ მამიკონიანის ადრინდელ სომხურ თარგმანს<sup>79</sup> იშველებს, ან ევრემ მციროსიელს ქართულ თარგმანს იყენებს. პირველი მათგანი გამოირიცხება, რადგან თვალის ერთი გადავლებითაც კი ნათელი ხდება სხვაობა ამ ორ სომხურ თარგმანს შორის. სიმეონ პლინძაპანქელის თარგმანი უმრავლეს შემთხვევაში ეწინააღმდეგება ბაგრატ მამიკონიანის სომხურ თარგმანს.

ევრემისეული თარგმანის გამოყენება კი დასაშვებად მიგვაჩნია იმ საილუსტრაციო მასალის საფუძველზე, რაზეც ზემოთ მივუთითეთ, მით უმეტეს, რომ ცნობილია: ასეთი მთარგმნელობითი მეთოდი (რამდენიმე წყაროთი სარგებლობა) დამახასიათებელი ყოფილა სიმეონ პლინძაპანქელისათვის.

ამრიგად, სომხურ თარგმანს უთუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს არსენის ტექსტის დადგენის საქმეში.

სომხური თარგმანის ტექსტობრივმა შეჯერებამ არსენის დედანთან უმრავლეს შემთხვევაში შესაძლებელი გახადა დაგვედგინა გვიანი დროის ნუსხების ვადამწერთა მიერ შეტანილი ცვლილებები ტექსტში.

პროფ. მ. გოგიბერიძე ვარაუდობდა, რომ არსენისეული ტექსტი თვითონ არის მთარგმნელის მიერ შემოკლებული თარგმნის პროცესში და რომ მოკლე ვერსიის არსებობას ბერძნული დედანა არ განაპირობებს. „ქართველ მთარგმნელს დამასკელის შრომიდან ამოუღია ყველაფერი, რაც კი მცირედენ თეორეტიული და ზოგადფილოსოფიური მნიშვნელობისა კი იყო იქ, ყოველივე, რაც კი შორიდან ანტიკურ დილაქტიკას და ონტოლოგიას მოგვაგონებდა და ხელუხლებლად დაუტოვებია მხოლოდ და მხოლოდ მშრალი, ფორმალ-ლოდიკური მასალა.

ქართული თარგმანი არსებითად განსხვავდება დღეს ცნობილი ბერძნული მოკლე რედაქციისაგან, უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს შემოკლება თუ ამოკრება ქართველი მთარგმნელის საქმეა<sup>80</sup>.

შეჯერება არსენისეული თარგმანისა ბერძნულ ტექსტთან, ერთი მხრივ, და ევრემის თარგმანთან, მეორე მხრივ, გვიჩვენებს, რომ ეს ვარაუდი გამართლებული არაა.

1) მართალია, არსენის თარგმანი განსხვავდება ჩვენთვის ცნობილი მოკლე რედაქციის ნუსხებისაგან, რადგან იგი არცერთ ვარიანტულ წაკითხვას არ მისდევს ზუსტად, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ არსენის არ შეეძლო ორიგინალად გამოეყენებინა მოკლე რედაქციის რომელიმე სხვა ნუსხა. თვით ბერძნულ ხელნაწერებში თავთა რაოდენობა სხვადასხვაა და არსენის თარგმანში 49 თავის არსებობა სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ შემოკლება მაინცდამაინც მთარგმნელს უწარმოებია. ამ მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს თუნდაც

<sup>79</sup> „დილაქტიკა“ სომხურ ენაზე პირველად თარგმნა ბაგრატ მამიკონიანის მიერ X ს-ში. იხ. ნ. მ. კ. ხ. ნ. ნ. მიქაძის ნაშრომის „საქართველოს ისტორიის კვლევის ცენტრის მიერ“ ნაწილი, თბ. 1947, № 4.

<sup>80</sup> იოანე პეტრიწის შრომები, ტ. I, თბ., 1940, გვ. XXX—XXXI.

სომხური ხელნაწერების ჩვენება. ნ. აკინიანის ცნობით, ზოგ სომხურ ხელნაწერში 45 თავია, ზოგში — 39. მაგალითად, იერუსალიმის № 898 ხელნაწერს სათაურად აქვს: „არსებისათვის, მყოფისა და შემთხვევითისა. თარგმნილი ბერძნული წიგნიდან სომხურად ბაგრატ მამიკონიანის მიერ... წიგნი ესე გაყოფილია ორმოცდახუთ ნაწილად“<sup>81</sup>.

ცხადია, სომეხ მთარგმნელს უსარგებლია რომელიღაც ისეთი ბერძნული ნუსხით, რომელიც თავთა რაოდენობით აშკარად განსხვავდებოდა როგორც ეფრემის, ისე არსენის ხელთ არსებული ბერძნული დედნებისაგან. თავთა რაოდენობა იქ კიდევ უფრო ნაკლები ყოფილა.

ბ. კოტერის ცნობით, თავთა რაოდენობა მერყეობს ბერძნულ ხელნაწერებში<sup>82</sup>.

2) მ. გოგიბერიძის შეხედულებით, არსენიმ შეამოკლა „ლიალექტიკა“ ყოველგვარი „ზოგად-ფილოსოფიური მნიშვნელობის“ ადგილების ხარჯზე. ასეთად, ალბათ, იგულისხმება „ლიალექტიკის“ ბოლო თავები. მაგრამ, როგორც შემდგომ დავინახავთ, ამ ბოლო თავების შემატება და ტექსტის გავრცობა გვიანდელი მოვლენაა, ამიტომ არსენის თარგმანში თავთა რაოდენობა „ლიალექტიკის“ ბერძნული მოკლე რედაქციის უფრო ადრინდელ სახეობას შეესაბამება.

3) ვითვალისწინებთ რა არსენი იყალთოელის ლიტერატურული საქმიანობის პრინციპებს, მის მთარგმნელობით მეთოდს: „არცა რაჲ დაადოს და არცა რაჲ ზეპირითა დაუერთოს“, დაუშვებლად მიგვაჩნია, რომ არსენი იყალთოელს ტექსტი თვითნებურად შემოკლებინოს. ტექსტობრივი შეჭერება ასეთ მნიშვნელოვან შემოკლებათა არსებობას არ გვიდასტურებს.

სხვათა შორის, შემოკლებათა პარალელურად ტექსტში ზოგიერთი მეტობანიც დასტურდება. ნაკლებობანი, რომლებიც არსენის ტექსტში გვხვდება, ჩვენი აზრით, არ ატარებს ტენდენციურად შემოკლების ხასიათს.

საერთოდ, ვფიქრობთ, რომ ზოგი ჩვენი მკვლევრის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ არსენი იყალთოელი რეაქციონერია და კონსერვატიული იდეოლოგიის წარმომადგენელი, სინამდვილეს არ შეესაბამება.

ეს ბრალდება უმართებულოა, რადგან, ჯერ ერთი, შეცდომაა თანამედროვე კრიტიკრიუმებით შეფასება შუა საუკუნეებში მცხოვრები შემოქმედის ნაღვაწისა. და, მეორეც, არსენი იყალთოელი უდიდესი ფიგურაა, რომელმაც თავისი მოღვაწეობით მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ქართული მწერლობის სხვადასხვა დარგში, რის გამოც მხოლოდ პატივისცემასა და მოწიწებას იმსახურებს<sup>83</sup>.

არსენი იყალთოელის დიდ ლიტერატურულ და ფილოსოფიურ განსწავლულობას თუნდაც „ლიალექტიკის“ ტერმინოლოგიის ანალიზი ავლენს. ამ საკითხზე დაწერილებით ვჩერდებით ტერმინოლოგიის საკითხებთან დაკავშირებით მსჯელობისას.

<sup>81</sup> ს. Ա Վ ի ն ի ս Վ, დასახ. შრომა, გვ. 38.

<sup>82</sup> B. Kotter, დასახ. შრომა, გვ. 45.

<sup>83</sup> სრულიად სამართლიანად გვეჩვენება ივ. ლოლაშვილის განცხადება, რომ არსენი იყალთოელის რეაქციონერობა და დოგმატიკოსობა არის „ტენდენციური შეფასება იყალთოელის საქმიანობისა“. იხ. იო ა ნ ე პ ე ტ რ ი წ ი, სათნოებათა კიბე, გვ. 137.

## ეფრემ მცირის თარგმანი

ეფრემ მცირის თარგმანის ტექსტოლოგიური ანალიზით ირკვევა, რომ იგი მოკლე რედაქციის გარკვეულ სახეობას წარმოადგენს, უფრო ზუსტად კი, იმ სახეობას, რომელიც ცნობილია როგორც შერეული ტიპის რედაქცია, სადაც მოკლე და ვრცელი რედაქციების შერევას აქვს ადგილი.

ეფრემის თარგმანიც არც ერთი ცნობილი ბერძნული ხელნაწერის წაკითხვას არ იმეორებს. ამიტომ ამ ქართულ თარგმანსაც დამოუკიდებელი რედაქციის მნიშვნელობა ენიჭება.

ეფრემის ტექსტი თავთა რაოდენობით სხვაობს როგორც არსენის, ისე ბერძნული ტექსტისაგან. სტრუქტურის თვალსაზრისით ასეთი სურათია:

ეფრემის ტექსტის ზანდუკში დასახელებულია 50 თავი. მაშასადამე, ეფრემის ტექსტიც, მსგავსად არსენისეულისა, იმეორებს მოკლე რედაქციის ისეთ ტიპს, რომელიც გამოყოფილი აქვს ბ. კოტერს, როგორც უძველესი სახეობა მოკლე რედაქციისა<sup>84</sup>.

მაგრამ ეფრემის ტექსტში ერთი საყურადღებო ფაქტი დასტურდება. ზანდუკში 50 თავის დასახელების შემდეგ არის შენიშვნა: „ხოლო ამთ შეუდგან ურიცხუნი თავნი“ და დასახელებულია სამი თავი. ესენია: თ. 51 — „განსაზღვრებისათჳს ფილოსოფოსობისათა ერთი“, თ. 52 — „გუამოვნებითისა შეერთებისათჳს ერთი“, თ. 53 — „არსებისათჳს და შემთხუევისა ერთი“. ამის შემდეგ იწყება ეფრემ მცირის წინასიტყვაობა. „ესე ერგასისნი თავნი რიცხუდნი მათ თანა ნართაულთ თავებითურთ გარეშეთა წიგნთა და საფილოსოფოსოჲსა სწავლულებისაგანი არიან“. მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ ჩამოთვლილია დამატებით 3 თავი, მთარგმნელი მაინც ხაზგასმით აღნიშნავს: „ესე ერგასისნი თავნი“. 53 თავიდან ყურადღება გამახვილებულია მხოლოდ 50 თავზე. საყურადღებოა, რომ ეს „ნართაული“ თავები ტექსტში დასტურდება, მაგრამ იქაც, ზანდუკის მსგავსად, უნომროდ არის ჩართული, ე. ი. თავების საერთო სათვალავში არ შედის.

ეფრემის ტექსტის „ნართაული“ თავები დასტურდება ბ. კოტერის გამოცემაში. ამ თავთა თანამიმდევრობა სავსებით ერთნაირია ქართულსა და ბერძნულში, ოღონდ განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ისინი სხვადასხვანაირადაა დანომრილი.

ეფრემი: ნა(51) — განსაზღვრებისათჳს ფილოსოფოსობისათა — ბერძნ. მბ'

ნბ(52) — გუამოვნებითისა შეერთებისათჳს — v'

ნგ(53) — არსებისათჳს და შემთხუევისა — უნომრო Ἐπερον κερძαίσιον

ეფრემის ტექსტის ბოლო, 53-ე თავი არის შუა ნაწილი ბერძნულში სათვალავის გარეშე წარმოდგენილი თავისა, სახელწოდებით: Ἐπερον κερძαίσιον.

ეს უკანასკნელი თავი არის მხოლოდ მოკლე რედაქციის ტექსტში, მაგრამ ყველა ხელნაწერს იგი არ ჰქონია. კერძოდ, ეს თავი აქვს b1 ჭკუფის ხელნაწერებს. მაგრამ ზოგ ხელნაწერში იგი დანომრილია (№ 166, 435, 634), ზოგში კი — არა (№ 724, 735). Ἐπερον κερძαίσιον სამნაირი მოცულობით არის წარმოდგენილი ამ ხელნაწერებში: დასაწყისიდან შუა ნაწილამდე, სქემამდე (142,1—144,59) ტექსტი გამოყოფილია მბ' ნომრით № 166, 634 ხელნაწერებ-

<sup>84</sup> B. Kotter... გვ. 45.



ში<sup>85</sup>; 2. სქემიდან ვიდრე 145, 78-მდე იგი v' ნომრით გამოყოფილია № 166, 435 ხელნაწერებში<sup>86</sup>; 3. 145, 79-დან ვიდრე ბოლომდე vγ' ნომრით წარმოდგენილია № 446 ხელნაწერში (13 ს.)<sup>87</sup>.

ეფრემის თარგმანში პირველი ნაწილი სრულებით არ არის. მეორე ნაწილი დასტურდება, მაგრამ სულ სხვა ადგილას. კერძოდ, ის გაერთიანებულია წინა 52-ე თავთან — „გუამოვნებითისა შეერთებისათჳს“ (52, 3—9). ხოლო მე-3 ნაწილი წარმოდგენილია ეფრემის თარგმანში 53-ე თავად, ისევე როგორც ეს არის № 446 ხელნაწერში. ოღონდ ამ ხელნაწერში მას სხვა სათაური აქვს: *Συναγωγὴ ἐκ τῶν βιβλίων*.

ამრიგად, ეფრემის ტექსტის 53-ე თავი სტრუქტურულად ემსგავსება b1 ტიპის ხელნაწერებს. ვინაიდან *Ἐφεσίου ἀποστόλου* ზოგ ხელნაწერში უნომროდ არის ბერძნულში, ხოლო ხ2-ში საერთოდ არ დასტურდება, ბერძნულ გამოცემაში იგი თავების საერთო სათვალავში არ არის შესული.

ამ მიზეზის გამო შეეძლო ეფრემ მცირეს 53-ე თავისათვის ქართულში ეწოდებინა „ნართაული“ თავი, მაგრამ რა მიზეზების გამო უწოდა მან „ნართაული“ 51-ე და 52-ე თავებსაც?

ამ საკითხთან დაკავშირებით ინტერესს მოკლებული არაა ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკაში დაცული ერთი ბერძნული ხელნაწერის ჩვენება. ეს არის ბერძნ. ფონდის № 210 ხელნაწერი, XI ს-სა. ე. გრანსტრემის აღწერილობით „ლილექტიკა“ ამ ხელნაწერში 50 თავისაგან შედგება<sup>88</sup>. თავთა საძიებლის შედარებიდან ირკვევა, რომ იგი ეფრემის თარგმანისაგან განსხვავებულ რედაქციას წარმოადგენს. მაგრამ 50 თავის შემდეგ, იქაც, როგორც ეფრემის თარგმანში, უნომროდაა ჩამოთვლილი სამი თავი. ოღონდ ეფრემის თარგმანსა და ლენინგრადის ხელნაწერში ეს თავები სხვადასხვაა:

ეფრემი:	ლენინგრადის ხელნაწერი:
51 განსაზღვრებისათჳს ფილოსოფოსობისათა ერთი	51 Περὶ ἐνάμας
52 გუამოვნებითისა შეერთებისათჳს ერთი	52 Ὁρισμοὶ ἐκ τῶν ἐπιτομῶν ἐξ
53 არსებისათჳს და შემთხუევისა ერთი	53 Ἐπιτομὴ περὶ ἀποστόλων ἐνάμας.

ბერძნულის 51-ე თავი ეფრემის ტექსტში ცალკე თავად კი არ არის, არამედ გაერთიანებულია წინა, თ. 50-თან. ბერძნულ ხელნაწერში არ დასტურდება ეფრემის ტექსტის ბოლო, 53-ე თავი, ე. ი. ამ ბერძნულ ხელნაწერს საერთოდ არ ჰქონია *Ἐφεσίου ἀποστόλου*.

საერთო, რაც ეფრემის თარგმანსა და ლენინგრადის ხელნაწერს გააჩნია, არის ის, რომ 50 თავის შემდეგ არც ერთგან დანომვრა არ წარმოებს. მაშასადამე, ზოგ ბერძნულ ხელნაწერში ეს თავები არაა შესული თავთა საერთო სათვალავში. ბერძნულში მათ ეწოდება *Ἐφεσίου ἀποστόλου* „სხვა თავები“. ეფრემი კი მათ „ნართაულ“ თავებს უწოდებს. რაზე მეტყველებს ეს ფაქტი?

<sup>85</sup> B. Kolter, გვ. 142,1 (სქოლიო).

<sup>86</sup> იქვე; 144,59 (სქოლიო).

<sup>87</sup> იქვე, გვ. 145,79 (სქოლიო).

<sup>88</sup> E. Гранстрем. Описание греческих рукописей ленинградских библиотек. Виз. Вр., XIX. 1961. вып. 3.

ერთადერთი შესაძლებელი პასუხი შემდეგია:

ზემოთ დასახელებულ ბერძნულ ხელნაწერებშიც და ეფრემის თარგმანშიც „ლიალექტიკის“ მოკლე რედაქციაში 50 თავი შედის. ეს არის მოკლე „ლიალექტიკის“ შედგენილობის აღრინდელი ტრადიცია. დანარჩენი თავები მოკლე რედაქციაში შესულია ვრცელი რედაქციიდან.

ეფრემ მცირე სარგებლობდა ისეთი ბერძნული დედნით, რომელშიც პირვანდელი ტრადიცია (უფრო მოკლე სახეობა) ჯერ კიდევ ჩანს. დამატებით თავები ტექსტში ჯერ მხოლოდ „ნართული“ სახით არის შეტანილი<sup>89</sup>. უფრო გვიან ისინი შევიდნენ თავთა საერთო სათვალავში, ისე როგორც დღეს გვაქვს შემდეგ ბერძნულ ხელნაწერებში: № 166, 634, 435.

სამი თავის დამატება, რაც ეფრემის ტექსტში გვაქვს, მოკლე რედაქციის შედგენილობის გვიანდელ პერიოდზე მიუთითებს, განსხვავებით არსენის თარგმანისაგან, რომელიც აღრინდელ სახეობას წარმოადგენს.

• • •

ეფრემისა და არსენის თარგმანები ბერძნული ტექსტისაგან სხვაობენ შემდეგი თავებით:

1) ეფრემის ტექსტის თავები: 4, 32, 33. ეფრემის ტექსტში ამ თავებს სხვადასხვა სათაური აქვთ: თ. 4 — „არსებათა განფენისათჳს“, თ. 32 — „არსებისა ნათესავეთადად განყოფისათჳს“, თ. 33 — „თითო-სახისა განყოფილებისათჳს“. ბერძნულში ესენი ერთ თავად არის წარმოდგენილი. ეს არის მოკლე რედაქციის 1<sup>ა</sup> და ვრცელი რედაქციის 1<sup>ბ</sup> თავი. გამოცემაში ისინი ორ სვეტად არის დაბეჭდილი, ერთმანეთის გვერდით. როგორც კრიტიკული აპარატიდან ჩანს, სხვადასხვა ბერძნულ ხელნაწერში ამ თავში მკვლავდგება ის შერეული სახეობა, როცა მოკლე რედაქციის ტექსტში ჩართულია ადგილები ვრცელი რედაქციიდან.

ეფრემის ტექსტის თ. 4 შედგენილობით ემთხვევა 1<sup>ბ</sup> თავს (Ius. 2-ს, ე. ი. მეორე ჯგუფის ვრცელ რედაქციას)<sup>90</sup>, მაგრამ ამ თავის ადგილი ტექსტში (მისი მოთავსება მესამე თავის შემდეგ, როგორც ეფრემის თარგმანშია), დამახასიათებელი ყოფილა მოკლე რედაქციის „b1<sup>ა</sup>“ ჯგუფის ხელნაწერებისათვის. ზოგი ტექსტობრივი წაკითხვითაც თ. 4 ემთხვევა „b1<sup>ა</sup>“-ს. მაგ.: მხოლოდ „b1<sup>ა</sup>“-სა და ეფრემის ტექსტში დასტურდება ერთნაირი წაკითხვა αἰσθησις αἰσθησις (1<sup>ბ</sup> 9 სქოლიო) — „გრძნობადისა ცხოველისაჲ“ (4,2). მხოლოდ „b1<sup>ა</sup>“-სა და ეფრემის ტექსტში არ არის სტრიქონთა დანომერა, მაშინ როცა ვრცელ რედაქციაში იგი არის.

ერთი მნიშვნელოვანი სხვაობა მაინც არის ეფრემის ტექსტსა და „b1<sup>ა</sup>“ ხელნაწერებს შორის. ამ უკანასკნელში წინა, მესამე თავს პირდაპირ მოსდევს ტექსტი, ხოლო ეფრემის თარგმანში ჯერ არის სქემა 1<sup>ა</sup> (მოკლე რედაქციისა). ეგვეე სქემა სხვაგანაც მეორდება ეფრემის თარგმანში<sup>91</sup>. ეფრემის ტექსტის თ. 32 უდრის ბერძნულის მოკლე რედაქციის 1<sup>ა</sup> თავს, ხოლო თ. 33 უდრის ვრცელი რედაქციის 1<sup>ბ</sup> თავს. ბერძნულში ერთი საერთო სათაურია:

<sup>89</sup> სხვათა შორის, ეფრემის ტექსტის 50-ე თავის მე-6 აბზაცის მომდევნო ტექსტსა ს. გორგაძის მიერ გატანილია დამატებებში. ესენია: 01, 02, 03, 04, 05, 06. მკვლევარი გამოდის იმ ვითარებიდან, რომ ეს თავები ეფრემის ტექსტში დანომრილი არ არის. იხ. Q—1185.

<sup>90</sup> B. Kotter, 111,5 (სქოლიო).

<sup>91</sup> B. Kotter, γ(α) 12 (სქოლიო), გვ. 81. ეს სქემა საგრძნობი ვარიანტული სხვაობით ოთხჯერ მეორდება ეფრემის ტექსტის შემდეგ თავებში: 2, 4, 32, 52. სქემები ამოიხაზა გა-



შესული. იგი არის 39-ე და მე-40 თავებს შორის. ზანდუქში კი ცალკე სათაურითაც არ არის გამოყოფილი, იგი მიკუთვნებულია წინა 39-ე თავს. ამ უკანასკნელის სათაურია ზანდუქში: „ქმნისათვის და ვნებისა და მდებარეობისა“, ხოლო ტექსტში: „ქმნისათვის და ვნებისა ვინა შემთხვევისა“. ამდენად, თავი „მდებარეობისათვის“ ზანდუქში გამოყოფილი არაა, ხოლო შემდეგ ტექსტში დამოუკიდებელი თავია, ოღონდ სათვალავში არ ირიცხება.

ამ შემთხვევაშიც, როგორც ჩანს, ვრცელი და მოკლე რედაქციების შერევა იჩენს თავს. რომელიდაც ბერძნული ხელნაწერის გადამწერი ჩამდენიმე ნუსხის კომპილაციას ახდენდა: ან ავრცობდა, ან ამოკლებდა თავის ხელთ არსებულ ნუსხას. დასაშვებია ისიც, რომ ამ კომპილაციის ავტორი ქართველი მთარგმნელი იყო.

5) ტექსტის მოცულობით ეფრემის თარგმანის თ. 50 განსხვავებულია არსენის თარგმანის შესაბამისი 48-ე თავისაგან. ეს თავია: „საზღვრისათვის და წინადადებისა და შეგულის-სიტყუვისა“. ეფრემის თარგმანში ეს თავი ოთხჯერ ნეტია, ვიდრე არსენის ტექსტში. ამ შემთხვევაში, შემოკლება არსენის ტექსტის სპეციფიკურობად გამოიყურება, რადგან ბერძნულის ორსავე რედაქციაში ეფრემის თარგმანის მსგავსი ვითარებაა. შესაძლოა შემოკლება ახასიათებდა იმ ბერძნულ ნუსხას, რითაც სარგებლობდა არსენი იყალთოელი.

განსხვავებულ თავებში შესატყვისობა ასეთია:

ეფრემი	ბერძნული	არსენი
4=33	აჯ' (ვრცელი)	31
32	ა' (მოკლე)	
9	ა' (მოკლე)	7
10	აჯ' (ვრცელი)	
39	აჯ'	36
	აჯ'	37
53	Ἐπερον κερχλαίου	

თავთა რაოდენობა-თანამიმდევრობით და ტექსტობრივი წაკითხვებით ქართული თარგმანები ანალოგიას იჩენენ შემდეგ ბერძნულ ხელნაწერთან ან ხელნაწერთა ჯგუფებთან:

ეფრემ მცირის თარგმანი — b1, b1<sup>3</sup>, f2

არსენი იყალთოელის თარგმანი — b2<sup>23</sup>, 441 (b2)

თავების შედგენილობისა და თანმიმდევრობის თვალსაზრისით ქართულ თარგმანებში ასეთი სურათი ვლინდება:

არსენის თარგმანი აშკარად ბერძნულის მოკლე რედაქციას იმეორებს, თანაც იმეორებს მოკლე რედაქციის პირვანდელ ტიპს, რომელიც 50 თავისაგან შედგება. მხოლოდ ერთ თავში (თ. 31) გამოვლინდა მოკლე და ვრცელი რედაქციების შერევის ფაქტი. არსენი იყალთოელის ტექსტისთვის დამახასიათებელი შემოკლებები შესაძლოა მოკლე რედაქციის უფრო აღრინდელ სახეობას ავლენდეს, ვიდრე დღეისათვის ცნობილი ბერძნული ხელნაწერება.

ეფრემის თარგმანიც მოკლე რედაქციას წარმოადგენს. მაგრამ აქ ხშირია მოკლე და ვრცელი რედაქციის შერევის ნიმუშები. ამის საფუძველზე ეფრემის

ტექსტს მივაკუთვნებთ მოკლე რედაქციის გვიანდელ სახეობას, ანუ რედაქციათა შერეულ ტიპს.

თავთა რაოდენობისა და თანამიმდევრობის საილუსტრაციოდ მოგვავქვს ცხრილი თავების დასათაურებით, სადაც ნაჩვენებია:

1 სვეტში — ბერძნულის მოკლე რედაქცია, 2 სვეტში — ეფრემ მცირის თარგმანი, 3 სვეტში — არსენი იყალთოელის თარგმანი.

ბერძნული ტექსტის სვეტში დაყოფით მითითებულია ვრცელი რედაქციის ის თავები, რომლებიც შესულია რომელსამე თარგმანში.

ბერძნული	ეფრემის	არსენის
ა' <i>Περὶ τοῦ ἁγίου ὁσίου καὶ σμββηχίου</i>	ა. ნამდუღე ჰეშმარტისა არსებისათს და შემთხუეეთისათს	ა. მყოფისათს არსებისა და შემთხუეეთისა
ბ' <i>Περὶ ἡγίου καὶ εἰσοῦ. τοῦ ἡσκαίου καὶ τοῦ εἰσοῦ καὶ τῶν ἁγίων</i>	ბ. ნათესავისათს ნათესავონისა და სახისა სახოვანისა	ბ. ნათესავისათს ნათესავონისა და სახისა სახოვანისა და ურთიერთისათს
გ' <i>Περὶ ἀσίου</i>	გ. განუკუთელათს	(იხ. თავი კლ)
დ' <i>Διακρίσεις τοῦ ἁγίου καὶ τῆς ὁσίου</i>	დ. არსებათა განუენისათს (იგივე 33)	(იხ. თავი ლა)
ე' <i>Περὶ διαφορῆς</i>	ე. თითო-სახისა ვანყოფილებისათს	ე. ვანყოფილებისათს
ვ' <i>Περὶ σμββηχίου</i>	ვ. შემთხუეეთისათს	დ. შემთხუეეთისათს
ზ' <i>Περὶ ἰδίου</i>	ზ. თვისათს	ვ. თვისათს, ესე იგი არს, განუხუბულისათს
თ' <i>Περὶ τῶν κατηγορουμένων</i>	თ. შესმენითა სიტყუათათს	ვ. შესმენითათს
ი' <i>Περὶ οὐρανίου καὶ ἁγίου καὶ ἁγίου</i>	თ. ერთ-სახელთა და თანამოსახელთა შესმენათათს	ზ. თანა-მოსახელთათს
კ' <i>Περὶ ἁγίου καὶ ἁγίου</i>	ი. ნართათს	
ლ' <i>Περὶ τῆς ἁγίου καὶ ἁγίου ἁγίου καὶ ἁγίου</i>	ია. თუ რაასა შინა არს შესმენათ	თ. რაარსობითისა შესმენისათს და რომელი რაარსობისათს

ბერძნული	ეფრემის	არსენის
<i>Περὶ ὑποσείσεως καὶ ἐν- υποσείσεως καὶ ἀνυποσείσεως</i>	იბ. გუამისათვის და გუამოვნე- ბისა და უგუამოსა	თ. გუამოვნისა და უგუამო- სათვის
<i>α' Περὶ οὐσίας καὶ φύσεως καὶ μορφῆς ἀτόμων τε καὶ προσώπου καὶ ὑποσείσεως</i>	იგ. არსებობისათვის და ბუნე- ბისა	ი. არსებობისათვის და ბუნებისა და ზატოვნებისა, განუქუე- თელისა და პირისა და გუა- მისა
<i>ιβ' Περὶ διαιρέσεως (იხ. თავი 6)</i>	იღ. განყოფათათვის	ია. განწვალვებისათვის
<i>იγ' Περὶ τοῦ φυσικοῦ στοιχείου (იხ. თავი 7)</i>	იე. პირველობისათვის ბუნე- ბისა	იბ. ბუნებით უპირველესისა- თვის
<i>იდ' Περὶ ὁρισμοῦ (იხ. თავი 8)</i>	ივ. განსაზღვრებისათვის	იგ. განსაზღვრებისათვის
<i>ие' Περὶ ὁμωνύμων</i>	იზ. თანა-მოსახელეთათვის	იდ. სახელ-მოდგამათათვის
<i>იζ' Περὶ συνωνύμων</i>	იშ. ერთ-სახელთათვის	იე. თანა-მოსახელეთათვის
<i>იζ' Περὶ πολυωνύμων</i>	ით. მრავალ-სახელთათვის	ივ. მრავალ-სახელთათვის
<i>იη' Περὶ ἑτέρων καὶ ἑτερονύ- μων</i>	ი. სხუათა და სხუათა-სახელ- თათვის	იზ. სხუათათვის და სხუა-სა- ხელთა
<i>ιθ' Περὶ παραωνύμων</i>	ია. სახელ-ნართაულთათვის	იშ. სახელ-ნართაულთათვის
<i>κ' Περὶ τῶν δέκα γενικατά- των γενῶν</i>	იბ. ათთა მათთვის ნათესავ- ანთა ნათესავთა	ით. ათთა ნათესავონთა ნა- თესავთათვის
<i>κα' Περὶ ὁμογενῶν καὶ ὁμο- ειδῶν ἑτερογενῶν τε καὶ ἑτεροειδῶν καὶ ἀριμῶν διαφορῶν</i>	იგ. თანა-მონათესავეთა და თანა-მოსახელეთათვის	ი. თანა-მონათესავეთა და თა- ნა-მოსახელთა, სხუა-ნათესავე- თა და სხუა-სახელთა და რი- ცხუთა განყოფილთათვის
<i>κβ' Περὶ τοῦ ἐν τινι</i>	იდ. რასაშინაობისათვის	ია. რასაშინაობისათვის
<i>κγ' Περὶ οὐσίας</i>	იე. მერმეცა არსებობისათვის	იბ. არსებობისათვის
(იხ. თავი ლა')	(იხ. თავი ლდ)	იგ. მერმეცა არსებობისათვის

ბერძნული	ეგრემის	არსენის
αδ' Περὶ φύσεως	კვ. ბუნებისათვის	კდ. ბუნებისათვის
αη' Περὶ μορφῆς	კზ. შესახედავისათვის	კე. ხატოვნებისათვის
αζ' Περὶ ὑποστάσεως	კმ. გუამისათვის	კვ. გუამისათვის
αξ' Περὶ προώπου	კთ. პირისათვის	კზ. პირისათვის
(იხ. თავი γ')	(იხ. თავი გ)	კმ. განუქუთელთათვის
αη' Περὶ ἐνυποστάτου	ლ. ერთგუამოვნებისათვის	კთ. გუამოვნისათვის
αθ' Περὶ ἀνυποστάτου	ლა. უგუამოასათვის	ლ. უგუამოასათვის
λ' Διαίρεσις τοῦ ὄντος καὶ τῆς οὐσίας	ლბ. არსებისა ნათესავოანად განყოფისათვის	ლა. განწყალბაა მყოფისა და არსებისა
μζ' Διαίρεσις τοῦ ὄντος καὶ τῆς οὐσίας	ლგ. თითო-სახისა განყოფილებისათვის	
λα' Περὶ τοῦ τί ὑπάρχει ἰδίον τῆς οὐσίας	ლდ. თესებისათვის არსებისა და მოძღურებისა	(იხ. თავი კვ)
λβ' Ἔτι περὶ ὁμογενῶν καὶ ὁμοειδῶν ἐτερογενῶν τε καὶ ἐτεροειδῶν καὶ ὁμοὑποστατῶν καὶ ἀρᾶμψ δὲ ἀφερῶν-των	ლუ. ერთ-ნათესავთა და ერთ-სახეთათვის	ლბ. მერმეცა თანა-მონათესავთა და თანა-მოსახეთა, სხუა-ნათესავთა და სხუა-სახეთა და რიყუთა განყოფილთათვის
लग' Περὶ ποσοῦ καὶ ποσότητος	ლვ. რაოდენისათვის და რაოდენობისა	ლგ. რაოდენისათვის და რაოდენობისა
λδ' Περὶ τῶν πρὸς τι	ლზ. ვისსამიმართათათვის	ლდ. რაასამემიმართათათვის
λε' Περὶ ποιῶν καὶ ποιότητος	ლმ. რომელობისათვის	ლუ. ვითარისათვის და ვითარებისა
ლვ' Περὶ τοῦ ποιεῖν καὶ πάσχειν	ლთ. ქმნისათვის და ვნებისა და მდებარეობისა	ლვ. ქმნისა და შეხულომისათვის
ლζ' Περὶ τοῦ κείσθαι		ლზ. მდებარეობისათვის

ბერძნული	ეფრემის	არსენის
λη' Περὶ τῆς ποῦ	მ. საღაობისათეს	ლწ. საღამსათეს
λθ' Περὶ τῆς ποτῆ	მა. ოდესობისათეს	ლთ. ოდესისათეს
μ' Περὶ τοῦ ἔχειν	მბ. ქონებისათეს	მ. ქონებისათეს
μα' Περὶ ἀντικειμένων	მგ. წინააღმდეგობათეს	მა. წინააღმდეგობათეს
μβ' Περὶ ἕξεως καὶ στερήσεως	მდ. წესისათეს და მოკლებისა	მბ. ანაგებისათეს და მოკლებისა
μγ' Περὶ προτέρων καὶ ὑστερόν	მე. პირველისათეს და უკუნაანსკენელისა	მგ. უპირველელისა და უკუნაანსკენელისათეს
μδ' Περὶ τοῦ ἄμα	მე. მყისთანადისათეს	მდ. მყისთანადისათეს
με' Περὶ κινήσεως	მზ. მოძრაობისათეს	მე. მოძრაობისათეს
μς' Περὶ τοῦ ἔχειν	მშ. ქონებისათეს	მვ. ქონებისათეს
μζ' Περὶ ἀποφάνσεως ἀποφάσεως τε καὶ καταφάσεως	მთ. წართქუმისათეს და უკუთქუმისა	მზ. უკუნათქუმისათეს, უკუთქუმისა და წათქუმისა
μη' Περὶ δρου καὶ προτάσεως καὶ συλλογισμοῦ	ნ. საზღვრისათეს და წინა-დაწყებისა და შემოკრებისა	მშ. საზღვრისათეს და წინადადებისა და შეგულის-სიტყუვისა
μθ' Ὅρισμοί τῆς φιλοσοφίας εἰσὶν ἕξ	ნა. განსაზღვრებისათეს ფილოსოფოსობისათეს	
Περὶ τῆς καμ' ἄπύστασις ἔνωσεως	ნბ. გუამოვნებითისა შეერთებისათეს	მთ. გუამოვნებითისა შეერთებისათეს
Ἔτερον κερძალიον	ნგ. არსებისათეს და შემთხუვისა	

ეფრემ მცირის თარგმანი უფრო განსხვავდება ბერძნული დედნისაგან, ვიდრე არსენის თარგმანი. განსხვავება შემდეგი სახისაა:

1. ეფრემის ტექსტში წმირად დასტურდება მეტი ადგილები. ზოგ შემთხვევაში ეს შეტობაა არსენის თარგმანთან მიმართებით, ზოგ შემთხვევაში კი ბერძნულთან მიმართებითაც. შეიძლება მეტობა გააჩნდა იმ ბერძნულ ნუსხას, რაც არის წყარო ეფრემისთვის; შეიძლება იგი ეფრემ მცირეს, როგორც მთარგმნელს, ეკუთვნის.



2. ეფრემის ტექსტში ზოგან აკლია ფრაზები, წინადადება ან ერთი სიტყვა. ზოგი ნაკლებობა მექანიკური გამოტოვების ხასიათს ატარებს და შესაძლებელია გადაწერის პროცესით აიხსნას. ასეთი ადგილებია: 2,24; 23,8; 37,8; 38,15; 23,5. ზოგი ნაკლებობა თავისუფალი თარგმანის შედეგი უნდა იყოს. ზოგჯერ ნაკლებობათა გამო აზრის სწორი გაეხება ქირა.

3. არც თუ იშვიათად, ეფრემის თარგმანში სწორად არ არის გაგებული ბერძნული ტექსტის ესა თუ ის ადგილი. როცა ეფრემის ტექსტის ანრობრივ უზუსტობაზე ვლაპარაკობთ, საკონტროლოდ ვიღებთ ბ. კოტერის გამოცემის ბერძნულ ტექსტს. ამდენად თქმა — „ეფრემის თარგმანის უზუსტობანი“ — პირობითია, რადგან შესაძლებელია ხშირ შემთხვევაში ეფრემის უცნობი ორიგინალის უზუსტობასთან გექონდეს საქმე.

ეს უზუსტობანი სხვადასხვა მიზეზებით ჩანს გაპირობებული.

ა. ზოგი უზუსტობა წმინდა ენობრივ-გრამატიკული ხასიათისაა: ან მსაზღვრულ-საზღვრულის შეთანხმება არ ხდება სათანადო ბრუნვაში 11,1 (K. 87, 19—25); ან სწორი არაა მიმღობათა ხმარება: მოქმედებითი გვარის მიმღობათა ნაცვლად ნახმარია ენებითი და პირიქით, 17,4 (K. 102,18). ასევე ერთი თანდებულის მაგიერ გამოყენებულია მეორე და ამის გავრცელება 51,17 (K. 134,66).

ბ. ზოგი უზუსტობა შესაძლებელია აიხსნას ბერძნული სიტყვის სხვაგვარი გააზრებით, ვინემ ამას კონტექსტი მოითხოვს, მაგ.: K 109,11  $\xi\zeta$   $\sigma\alpha\iota\alpha$   $\chi\alpha\iota$   $\sigma\upsilon\mu\phi\epsilon\tau\alpha\iota$ . ეფრემის მიერ  $\xi\zeta'$   $\sigma\alpha\iota\alpha$  პოლისემიურობის გამო თარგმნილია როგორც „ქელმწიფება, ძალა, ნება“. ამიტომ ტექსტში გვაქვს: „შემომკრებელთა ქელმწიფებისათა ყოველთავე ზედა შემთხუევითა“ 29,2. სწორი თარგმანია: „შემომკრებელი არსებისაგან და შემთხუევითა“ (შდრ. ა.).

21,1: „ვითარ-იგი საღამამატიკოასაგან ღრამმატიკოსნი, რომელნი-იგი ზიარ არიან სახელითა, ხოლო განიყოფებიან სახელის-დებითა, რომელ არა მარცხალი დასასრულისაა“.

არამართებულია კონტექსტში „სახელის-დებითა“ სიტყვის ხმარება. K 103,5: წერია  $\lambda\eta\zeta\upsilon$ , რომლის ერთ-ერთი მნიშვნელობა ბერძნულში არის „დასასრული“, „ბოლო“. მართლაც, ღრამმატიკობა (როგორც ამ სიტყვას იმავე აბზაცში მიუთითებს ეფრემი) და ღრამმატიკოსი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან დასასრულით ანუ ბოლო მარცვლით. „სახელისდება“ კი გადმოსცემს  $\lambda\eta\zeta\upsilon$  სიტყვის სხვა მნიშვნელობას, რომელიც ამ კონტექსტში მიუღებელია. ზუსტია არსენის ტექსტის წაკითხვა: „დასასრულითა სახელისადათა“.

K 121,74:  $\epsilon\upsilon$   $\tau\phi$   $\eta\beta\eta$ ;  $\sigma$  35,15: „ანუ ეგერა“. ეფრემს თარგმნილი აქვს, როგორც „სახესა შინა“ 38,15. ეფრემის ტექსტის უზუსტობის მიზეზი იმაშია, რომ ბერძნ.  $\eta\beta\eta$  გაგებულ იქნა, როგორც  $\epsilon\iota\beta\alpha$  „სახე“ მიცემით ბრუნვაში.

K 119,1:  $\tau\chi\iota\alpha\eta$ ;  $\sigma$  34,10: „იბედივი“. ეფრემის თარგმანშია „სულიერი“ 37,10. ეს სიტყვა არ შეეფერება კონტექსტს. გაუგებრობის მიზეზი, ალბათ, ბერძნული  $\tau\chi\iota\alpha\eta$ -ს მცდარი წაკითხვაა.  $\tau\chi\iota\alpha\eta$  წაკითხულ იქნა, როგორც  $\psi\alpha\chi\iota\eta$ .

K 104,9:  $\sigma\alpha\iota\beta\epsilon\mu\alpha\iota\mu\alpha$ . სხვადასხვაა ამ სიტყვის მნიშვნელობა ბერძნულში: 1. ფეხთ შემოსა, 2. სახის მიღება. კონტექსტი მართებულად გაუაზრებია არსენის, ამიტომაც მისი ტექსტის „ფეხთ შემოსა“ მისაღებია, ხოლო ეფრემისეული „შეწყნარება“ მცდარია.

გ. ეფრემის თარგმანის ზოგიერთ უზუსტობათა ახსნა არ ხერხდება.

17,3: „და კუალად მიითულენ იგინი ზიარებასაცა რასმე განსაზღვრებისა მისგან სახელთაჲსა“. ბერძნული ტექსტის შესაბამის ადგილას ნათქვამია, რომ ომონიმები მიიღებენ ურთიერთზიარებას საზღვრითაც და სახელითაც. შდრ. ა 14,3: „შესაძლებელ არს კუალად ზიარ-ყოფაჲ მათი საზღვრითაცა და სახელითა“.

37,10: „რამეთუ ნათესავი სახე არს ნათესავისაჲ და სახენი ნათესავ არიან სახისა“. ეს მსჯელობა სწორი არ არის. მართებულია არსენის წაკითხვა: „რამეთუ ნათესავი სახეთაჲ არს ნათესავი და სახენი ნათესავისანი არიან სახენი“ 34,10. შდრ. K. 118,44—45.

მართლაც, გვარისა და სახის მიმართებაში გვარი ანუ ნათესავი სახეთა მიმართ არის გვარი და პირიქით, სახე გვარის ანუ ნათესავის მიმართ არის სახე.

23,8: „ცხრანი შესმენანი ჰქონან თითოეულსა ზემო-თქუმულთა მათგანსა“. აქ სრულიად დამახინჯებულია აზრი. უნდა იყოს პირიქით: თითოეულს ცხრა შესმენათაგანს აქვს განყოფილებაანი...

შდრ. ა 20,8.

2,3: „ნათესავ არს ვანფენაჲ სახისაჲ... სახე არს ვანფენაჲ ნათესავისაჲ“. ეფრემი ტერმინთა განმარტებისას საწინააღმდეგო ახსნას იძლევა. მართებულია არსენის თარგმანი, სადაც იკითხება: „ნათესავი არს განწვალებული სახეთა მიმართ... სახე არს ნათესავისაგან განყოფილი“ 2,3. შდრ. K. 75,46—47.

დ. ეფრემის ტექსტის შინაარსობრივი უზუსტობანი ხშირად ტერმინთა არა-ზუსტი გამოყენებით არის გამოწვეული. ეფრემის ტექსტში ზოგჯერ შესაფერისად არ არის დაცული ტერმინთა სიზუსტე. ერთსა და იმავე ბერძნულ ტერმინს ხშირად სხვადასხვა შესატყვისი აქვს. ზოგჯერ ტერმინის ნაცვლად აზრობრივი თარგმანი გვაქვს.

დავიმოწმებთ ორიოდ მაგალითს:

1) არსენის თარგმანში „ქვემდებარე“ სისტემატურად უდრის ბერძნულ ἡνωμασιον-ს. ეფრემის თარგმანში კი მრავალი შესატყვისი გვხვდება: ნართაული, პირი წინამდებარე, თანა-მოკიდული, მოკიდებითი, მოკიდულად ზემომდებარე, მოკიდული ნივთი, მოკიდულობა. როგორც ვხედავთ, ეფრემისთვის ეს ტერმინი, როგორც ზუსტი ერთეული, ჯერ გარკვეული არ არის.

2) განსაზღვრებული ა —	ἄριστος	} განსაზღვრებული ე
განწვალებული ა —	ἔσχατος	
შერწყმული ა —	συγχεῖς	

კონტექსტი ყველგან მოითხოვს სხვადასხვა ტერმინს, როგორც ეს არის ბერძნულში და არსენის თარგმანში. ეფრემი კი ერთსა და იმავე ტერმინს „განსაზღვრებულს“ ხმარობს ერთმანეთის გამომრიცხავი ცნებების გადმოსაცემად, როგორცაა ანტონიმები — „განწვალებული“ და „შერწყმული“.

3) ზოგჯერ მართებულად არ არის გაგებული ესა თუ ის ტერმინი. „გუამოვნებას“, რომელიც ზუსტი შესატყვისია ἔσχατος-ისა, ეფრემი ხმარობს „გუამის“ სინონიმად. ამავე დროს „გუამოვნება“ იხმარება აქმ' ἔσχατος-ის შესატყვისად. მაგრამ აქმ' ἔσχατος სულ სხვა რამეს გულისხმობს. ეს არის „გუამოვნებითი შეერთება“ — თეოლოგიურ ლიტერატურაში კარგად ცნობი-

ლი გამოთქმა. არსენის თარგმანში მკვეთრად გამოიჩნულია „გუამი“ და „გუამოვ-ნებითი შეერთება“.

ეფრემის თარგმანის განსხვავებული წაკითხვები ზოგჯერ რედაქციათა შე-რევის შედეგი ჩანს. ერთი-ორი შემთხვევა ამისა არსენის თარგმანშიც არის, მაგრამ ეფრემის ტექსტში შედარებით მეტია ვრცელი რედაქციის წაკითხვა. მაგ.:

51,12: მსჯელობა მუხლებად არის დაყოფილი. მუხლები დანომრილია. მუხლთა ნუმერაცია უცხოა ყველა მოკლე რედაქციისთვის. მაშასადამე, ეფ-რემის თარგმანი ვრცელ რედაქციას იმეორებს. შდრ. K. 138,35—36.

ეპისტოლე. 4: „ქრისტეს მოწაფედ იჩინების“. ეს ზუსტი თარგმანია ვრცე-ლი რედაქციისა, სადაც წერია: Χριστῶν μαθηταί; αὐτῶν (K. 52,33). ხოლო არსენის ტექსტში მოკლე რედაქციაა ნათარგმნი: „ქრისტესა მიემსგავსების“ = τῶν μαθητῶν.

22,8: „შარშა ანუ დღესი“. შდრ. არსენის ტექსტის: „შარშა, გუშინ, დღეს“ — 19,8. გუშინ = ჯმჰ. ეს სიტყვა მოკლე რედაქციას ჰქონია მხო-ლოდ. შდრ. K 104,8 (სქოლიო). ამდენად, ეფრემისეული წაკითხვა ვრცელ რე-დაქციას იმეორებს.

37,8-ზე არის ფრაზა: „უკუეთუ მამისაჲ არა იყოს“. ეს ფრაზა არ დას-ტურდება მოკლე რედაქციის არცერთ ხელნაწერში. შდრ. K. 118,30.

23,6: „მფრინველი ჰაერისა და იძრვისი წყლისაჲ“. არსენი: „კმელისაჲ და წყლისაჲ“.

ზოგჯერ ქართული თარგმანი არცერთ ბერძნულ რედაქციას არ იმეორებს ზუსტად. ბერძნულის მოკლე რედაქციაში იკითხება: τὸ πνεῦμα ἔρχεται. ვრცე-ლშია: τὸ πνεῦμα ἔρχεται, τὸ εὐαγγέλιον K. 105,15 (სქოლიო).

ქართულის ორსავე თარგმანში გვაქვს ნაწილობრივ ვრცელი, ნაწილობრივ მოკლე რედაქციების წაკითხვა.

რედაქციათა შერევის ფაქტი უნდა ჩანდეს ქართულ თარგმანებში „ბუნე-ბით უპირველესის“ განმარტების საკითხში. ბუნებით უპირველესი ორ თავ-შია განმარტებული. ესენია: 1. „ბუნებით უპირველესისათჳს (ე 15; ა 12; K 13); 2. უპირველესისა და უკუანამსკენელისათჳს“ (ე 45; ა 43; K 43).

ორივე მთარგმნელის შიერ უპირველესად აღიარებულია ზოგადი, ხოლო კონკრეტული მეორადია. საილუსტრაციოდ მოხმობილია ცხოველისა და კაცის შედარება. ცხოველი, როგორც ზოგადი, პირველადია, ხოლო კაცი კონკრეტუ-ლია და მეორადი. ილუსტრირების დროს ორივე მთარგმნელის მსჯელობა იდენ-ტურია ბერძნულ ტექსტთანაც. მაგრამ დასაწყისში, როცა თეორიული დებუ-ლებაა წამოყენებული პირველადობასა და მეორადობაზე, ქართული თარგმანე-ბი შინაარსობრივად სხვაობენ ბერძნული ტექსტისაგან.

სხვათა შორის, ეს საკითხი ძირითადი საცილობელი საკითხი იყო შუა საუ-კუნეების ნომინალიზმსა და რეალიზმს შორის: ზოგადი, ანუ უნავერსალიები, რეალური და პირველადია, თუ ისინი მხოლოდ სახელია და პირველადი არის კონკრეტული?

არსენის თარგმანში ბუნებით უპირველესის ასეთი განმარტებაა: „ბუნებით უკუე უპირველესი არს თანა-შემომღებელი და არა თანა-შემომღებული და თანა-მომსპობელი და არა თანა-მოსპობილი“ (თ. 12). ანალოგიური მსჯელობაა მეორე

თავშიც (თ. 43). რთულ წინადადებაში ბუნებით უპირველესი, ანუ ზოგადი, რომლის ნიმუშად დასახელებულია ცხოველი, აღნიშნულია მოქმედ. გვარის მიმღებებით: „თანა-შემომღებელი“, „თანა-მომსპობელი“, ხოლო კონკრეტული, რომლის მაგალითად დასახელებულია კაცი, გამოხატულია ვნებითი გვარის მიმღებებით: „თანა-შემომღებელი“, „თანა-მოსპობელი“.

აქ ურთიერთსაწინააღმდეგო აზრებია გატარებული: ბუნებით უპირველესი თანა-მომსპობელი კი არის, მაგრამ თანა-შემომღებელი ვერ იქნება, რადგან თანა-შემომღებელი ის, რომლის არსებობა აუცილებლად გულისხმობს მეორის არსებობას. ასეთია კაცი, რადგან კაცის არსებობა აუცილებლად გულისხმობს ცხოველის არსებობას, პირიქით კი არა. ამრიგად, თუ თანა-შემომღებელია ბუნებით უპირველესი, მაშინ გამოდის: კაცი ყოფილა პირველადი და არა ზოგადი ცხოველი. ასე რომ, არსენის თეორიულ მსჯელობაში არის ურთიერთსაწინააღმდეგო ფრაზები.

მართებული წაკითხვა დასტურდება ბერძნულის ვრცელ რედაქციაში, Ὁ თავში: Φῦσις οὐκ ἄρρα-ἄρα ἐστὶν ἄλλοθεν ἄλλοθεν ὡς καὶ ἡ φύσις οὐκ ἄρρα-ἄρα ἐστὶν ἄλλοθεν ἄλλοθεν (Κ. 68).

ბუნებით უპირველესია, რომელიც შემოიყვანება და არა შემოიყვანებს, რომელიც მოსპობს და არა მოისპობა.

არსენის თარგმანის მე-12 თავში მოცემული განმარტება ბუნებით უპირველესისა ანალოგიურია ბერძნულის მოკლე რედაქციების წაკითხვისა, ხოლო რაც შეეხება 43-ე თავს, აქ ბუნებით უპირველესის განმარტებისას არსენის თარგმანი შორდება ბერძნულის როგორც მოკლე, ისე ვრცელ რედაქციებს და იმეორებს მე-12 თავის წაკითხვას.

ერთისა და იმავე ტერმინის ურთიერთსაწინააღმდეგო, რეალისტური და ნოზინალისტური თვალსაზრისით განმარტება გვაფიქრებინებს, რომ იგი ბერძნულის მოკლე რედაქციების ანალოგიით არის გაჩენილი ქართულ თარგმანში. ხოლო 43-ე თავში მოცემული განმარტება მე-12 თავის წაკითხვასთან არის მისადაგებული, შესაძლოა, არსენის ტექსტის გადამწერ რედაქტორების მიერ.

რაც შეეხება ეფრემის თარგმანს, იქ იკითხება: „პირველობაჲ უკუე ბუნებისაჲ არს, რომელი-იგი შემოიყვანებოდის და არარას შემოიტანებდეს და თანად მოიკლვოდის და არარას თანა-მომკლველ ექმნებოდის“ — თ. 15. როგორც ვხედავთ, აქაც დარღვეულია მართებული გაგება. წინადადების პირველი ფრაზა რეალისტური გაგებით არის მოცემული: პირველადია ცხოველი, რომელიც შემოიყვანება კაცის მიერ; ხოლო მეორე ფრაზა ნომინალისტის სულისკვეთებას ამჟღავნებს. პირველადია კაცი, რადგან კაცი „მოიკლვის“, მოისპობა ცხოველის მოსპობით და არა პირიქით. კაცის მოსპობით არ მოისპობა ცხოველი.

ეფრემის თარგმანში ვრცელ და მოკლე რედაქციათა წაკითხვების შერევით გამოწვეული უზუსტობანი გვაქვს. მსგავსი ხასიათის უზუსტობა არსენის თარგმანშიც გვხვდება. მაგ.: ა 12,3: „პავლეს ვიდრემე შემოიყვანებითა თანა-შემოიყვანების პეტრე და პეტრე რაჲ შემოიყვანებოდის, თანა-შემოიყვანების პავლე“. შდრ. K 99,15. არსენის ტექსტში აქლია უარყოფა. უნდა ყოფილიყო: „არა თანა-შემოიყვანების“, ვინაიდან აზრობრივად მართებულია ის, რომ პავლეს არსებობა არ გულისხმობს პეტრეს არსებობას და პირიქით, პეტ-

რეს არსებობა არ გულისხმობს პავლეს არსებობას, როგორც ეს არის ბერძნულში და ეფრემის ტექსტში (15,3).

საქმე ისაა, რომ ბერძნულ ტექსტთან შედარებით გაირკვა, რომ არსენის ტექსტის უზუსტობა დამახასიათებელი ყოფილა ბერძნული დედნისათვის. პირველ წინადადებაში უარყოფა არ ჰქონია არც ერთ ბერძნ. ხელნაწერს, ხოლო მეორე წინადადებაში უარყოფითი ნაწილაკი მოკლე რედაქციის შემცველ ხელნაწერებს ჰქონია, ხოლო ვრცელ რედაქციაში იგი არ ყოფილა. მასთანადამე, არსენის ტექსტში ვრცელი რედაქციის მსგავსი წაიკთხვაც არის და მოკლე რედაქციის მსგავსიც.

არსენის ტექსტში ერთ-ორ ადგილას კიდევ არის ვრცელი რედაქციის წაკითხვა. მაგ.: 45,4-ზე არის ფრაზა, რაც არ აქვს არცერთ მოკლე რედაქციას, ხოლო ვრცელში იგი არის. შდრ. K. 130<sub>15-16</sub> (სქოლიო).

ეფრემის ტექსტში აღნიშნული მეტობა-ნაკლებობები, განსხვავებული წაკითხვები თავისუფალი თარგმანის იერს აძლევს მას. არსენის თარგმანი ძირითადად ზუსტად მისდევს ბერძნულს, ეფრემი კი შედარებით „აქართულებს“ მას. მისი თარგმანი არ ხასიათდება ბერძნულის ზუსტი მიდევნებით.

მოგვაქვს ორი ფრაგმენტი ქართულ თარგმანებს შორის არსებული სხვაობის საილუსტრაციოდ. შინაარსი ორივეგან ზუსტად ერთია. მასთანადამე, აქ რედაქციული სხვაობა გამოირიცხება. თავისებურებები შეპირობებულია ამ ორი მწერლის განსხვავებული მთარგმნელობითი მეთოდით.

### ე ფ რ ე მ ი

### ა რ ს ე ნ ი

„აწ უკუე გარეშენი ფილოსოფოსნი მსგავსად პირველ-თქუმულისა სიტყვსა განყოფილებასა იტყვან არსებისა და ბუნებისასა, რამეთუ არსებად უწოდენ მარტივად მდებარესა ნივთსა, ხოლო ბუნებად — არსებასა დასახულსა განყოფილებად არსებითად, რომელსა-იგი მარტივად ყოფასა თანა ვითარებადცა რამე აქუნდეს ყოფისად — სიტყვებრებად ანუ პირუტყუებრებად და უკუდავებრებად, ესე იგი არს, რომელ ვიტყვ შეუცვალებელსა მას დასაბამსა და მიზეზსა და ძალსა, რომელი იგი დამბადებელისა მიერ მიენიჭა მოძრაობად თითოეულსა ბუნებასა: ვითარ იგი ანგელოზთა მიეცა ძალი, რაათა გულისკმა-ჰყოფდენ და თვნიერ კმოვანისა სიტყვსა ურთიერთას აუწყებდენ გულისკმის-ყოფათა. ხოლო კაცთა, რაათა გულისკმა-ჰყოფდენ და სიტყვთ განისწავლებოდენ და კმოანითა სიტყვთა ურთიერთას მისცემდენ და აუწყებდენ განზრახვათა გულისათა“ (II V).

„გარეშეთა უკუე ფილოსოფოსთა პირველ-თქუმულისა სიტყვსაებრ განყოფილებაჲ თქუეს არსებისა და ბუნებისაჲ, არსებად ვიდრემე მეტყუელთა მარტივად ყოფისათა ოდენ, ხოლო ბუნებად — არსებისა სახეადებულისათა არსებითთა განყოფილებათა მიერ, და მარტივად ყოფისა თანა ესრეთ ვითამე ყოფისა მქონებელისათა, გინა თუ სიტყვებრად ანუ უსიტყუელად, გინა მოკუდავად ანუ უკუდავად, რომელ არს თვთ იგი უცვალებელი და შეუძრველი დასაბამი და მიზეზი და ძალი, შემოქმედისა მიერ დადებული თითოეულსა სახესა შინა მოძრაოვობისა მიმართ: ანგელოზთა შორის ვიდრემე გულისკმის-ყოფისაჲ და თვნიერ კმოვანისა სიტყვსა მიმცემელობაჲ ურთიერთას გულისკმის საყოფელთაჲ; ხოლო კაცთა შორის გულისკმის-ყოფასა თანა მიმოქცევაჲცა მისი გონებასა შინა და კმოანისა სიტყვსა მიერ მიმცემელო-

ბაჲ ურთიერთას გულისკმის-ყოფათა გულისათაჲ“.

II

13,1

„ხოლო დაღათუ უწოდდეთ მას ძედ აღსრულებულისა ანუ არა საკუთრად უწოდთ, არამედ ნართაულად; ანუ ყოვლადვე ვერცა ამას უწოდთ, ვინაჲთჲც არა სრულიად წარწყმედილ არს მაჲამ მისი, არცა მიწვეულ უკუანამკენელსა არაარსობასა, რამეთუ უკუდავად ჰგიეს სული მოკუდავთა მათ კორცთა“.

„ხოლო უკუეთუ ვიტყვთ ძედ აღსრულებულისადცა, ანუ არა საკუთრად ვიტყვთ, არამედ ნართაულად; ანუ ვითარცა არა წარწყმედულისა და არა-არსებად მიწვეულისა მაჲამისად, უკუდავებისათჳს სულისა“.

37,8

ორივე ფრაგმენტიდან ჩანს, რომ არსენის თარგმანი ბერძნულის ზუსტი თარგმანია. წინადადებათა წყობა, მიმღეობური კონსტრუქციები, წარმოქმნილ ლექსიკურ ერთეულთა სიმრავლე — ყოველივე ეს მეტად დამახასიათებელია არსენის თარგმანისთვის. მსგავსი მოვლენების მიზეზია ტექსტის ბერძნულ ორიგინალთან დაახლოების სურვილი. ამიტომ გამართლებულია არსენის შეფასება საკუთარი მთარგმნელობითი მეთოდისა: „და არცა რაჲ ბერძნულისაგან დამიგდია და არცა რაჲ ზეპირითა დამირთავს; და თუ სიბნელე რაჲმე სადმე ანუ სიღუბეჲ შესდგამს, იგი ბერძნულისა შედარებულობისაგან არს და არა ქართულთა სიტყუათა დაშუენებასა ვერ მეცნიერობისაგან“<sup>93</sup>.

მიუხედავად ავტორის თავმდაბალი მოზოდიშებისა ქართული ტექსტის „სიღუბეჲისა და სიბნელის“ გამო, არსენის სასახელოდ უნდა შეინიშნოს, რომ ასეთი „სიღუბეჲი“ მის თარგმანს თითქმის არ ახლავს. მიუხედავად ბერძნული ორიგინალის ზედმიწევნითი სიზუსტით გადმოღებისა, რასაც შეეძლო გარკვეული ხელოვნური ფორმები მოეცა, მთარგმნელი მაინც ახერხებს აზრის ცხადად და ლაკონურად გადმოცემას. რაც მთავარია, არსენის თარგმანი, ერთი-ორი შემთხვევის გარდა, ყოველთვის სწორია აზრობრივად ტერმინების განმარტების თვალსაზრისით.

ეფრემ მცირის თარგმანს ზმირად აკლია სიზუსტე. ის შედარებით თავისუფალი თარგმანია და, ჩვენი აზრით, მას ყოველთვის არ აქვს ისეთი გამოხატველობითი ძალა, როგორიც არსენი იყალთოელის თარგმანს<sup>94</sup>.

<sup>93</sup> S—1463, 39v.

„ლიალქტიკის“ ანალოგიური სურათი დასტურდება „გარდამოცემის“ ქართულ თარგმანებშიც. რ. მემანოშვილის განცხადებით, „არსენის თარგმანი გაცილებით უფრო ახლოს ღვას ღვანთან, ვიდრე ეფრემისა. მიუხედავად იმისა, რომ ეფრემის მთარგმნელობითი მეთოდი შორს არის ათონური სკოლის ტრადიციებიდან, მაინც არსენ იყალთოელის თარგმანთან შედარებით მისი თარგმანი თავისუფალი ჩანს, ეტყობა, ესეც უნდა ყოფილა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ არსენ იყალთოელმა ხელმეორედ მოჰკიდა ხელი „გარდამოცემის“ თარგმანს“. იხ. „გარდამოცემის“ ქართული თარგმანები“, გვ. 157.

<sup>94</sup> აქ უნდა გავიხსენოთ კ. კეკელიძის მოსაზრება არსენის მიერ „ლიალქტიკის“ მეორედ თარგმნის თაობაზე: „საკვირო აღმოჩნდა უფრო ზუსტი თარგმანი დამასკელის „ლიალქტიკისა“, ვიდრე ეს მოკმეული იყო ეფრემ მცირის მიერ, ვინაიდან ეფრემი, როგორც თვითონ ამბობს, თარგმანის პროცესში ყოველთვის ვერ აღიოდა ნამდვილი აკრიბიის სიმძლავრე“. იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, გვ. 297.

დასკენის სახით აღენიშნავთ, რომ „დიალექტიკის“ ქართული თარგმანების სტრუქტურულმა ანალიზმა, ე. ი. თავების შედგენილობისა და თანამიმდევრობის გარკვევამ და თვით ტექსტზე დაკვირვებამ შემდეგი სურათი გამოავლინა:

1) ეფრემ მცირისა და არსენი იყალთოელის თარგმანები ბერძნულის სხვადასხვა რედაქციებს ეყრდნობა.

2) ორსავე ქართულ თარგმანში დასტურდება ფაქტები მოკლე და ვრცელი რედაქციების შერევისა. არსენის თარგმანში ამის თითო-ოროლა ნიმუში გვხვდება, ეფრემ მცირის თარგმანს კი ასეთი შერევის უფრო მეტი შემთხვევები ახასიათებს, ამიტომ არსენი იყალთოელის თარგმანი მოკლე რედაქციის უფრო აღრინდელ სახეობას წარმოადგენს, ხოლო ეფრემ მცირისა — მოკლე რედაქციის მოგვიანებით გადაშუაებულ (გაერცობილ) სახეობას. ეს უკანასკნელი შერეული ტიპის რედაქციად უნდა მივიჩნიოთ.

3) ეფრემის თარგმანისაგან რედაქციულად განსხვავებული ბერძნული დედნის არსებობა და განსხვავებული მთარგმნელობითი მეთოდი არის ის ძირითადი მიზეზები, რომელთაც შეაპირობეს „დიალექტიკის“ ხელშეორედ თარგმნა არსენი იყალთოელის მიერ.

4) ქართულმა თარგმანებმა შემოგვინახეს „დიალექტიკის“ ისეთი ტექსტი, რომელიც ბერძნული ხელნაწერებით დღესდღეობით უცნობია. ამდენად, ქართულ თარგმანებს გარკვეული ისტორიულ-ლიტერატურული მნიშვნელობა აქვთ და ისინი შესაფერის ადგილს დაიკავენ ბიზანტიური ლიტერატურის შესწავლის საქმეში. ეს გარემოება ადასტურებს იოსებ ლანგენის ვარაუდს, რომ აღმოსავლეთი მალავს მრავალ ხელნაწერს, რომელთა დაძებნა და შესწავლა აუცილებელია ბიზანტიური ლიტერატურის მკვლევართა მიერ.

### ხელნაწერები

„დიალექტიკის“ ეფრემისეული თარგმანი გვხვდება შემდეგ ხელნაწერებში: A—24 (ჩვენს გამოცემაში — A), S—1358 (B), A—406 (C). ტექსტის დასადგენად სამივე ხელნაწერია გათვალისწინებული.

A—24<sup>95</sup>. ხელნაწერი XII ს-საა. ნაწერია ლამაზი ნუსხურით. შეიცავს ეფრემ მცირის მიერ ნათარგმნ ტექსტებს, მათ შორის „დიალექტიკისა“ და „გარდამოცემას“.

„დიალექტიკის“ ახლავს ზანდუკი და ეპისტოლე კოზმა მაიუმელისადმი. თარგმანს წინ უძღვის ეფრემ მცირის ცნობილი წინასიტყვაობა, „დიალექტიკის“ ტექსტს უკავია ფფ. 1r—35v. ამათგან ფფ. 1r—4v ხელნაწერს კვება და ტექსტი აღდგენილია გვიანდელი XVIII ს-ის ნუსხურით.

„დიალექტიკისა“ და „გარდამოცემის“ ბოლოს, 137v-ზე არის მთარგმნელის ანდერძი:

„ლოცვა ყავთ, ქრისტეს მოყუარენო, გაბრიელისთვს, რომლისა ბრძანებითა ითარგმნა წმიდაჲ ესე წიგნი და კეთილთა მოღუაწეთა ჩემთა და განმძლიერებელთა, ამას თანა მზრდელთაცა და მსახურთა არსენი იყალთოელისა,

<sup>95</sup> იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილ საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, ტ. I, თბ., 1973.

იოვანე და იოვანე ხუცესთა, სტეფანესთჳს დიაკონისა და უფროას ყოველთა ჩემ საწყალობელისა, რეცა თარგმნისა ეფრემ მცირისათჳს“.

ხელნაწერის აშიგანზე დართულია სქოლიოები. სამი სქოლიო ახლავს „ღიალექტიკის“ ტექსტს: 13r, 14v, 16v.

ტექსტს ახლავს სქემები აშიგებზე: 7v, 8r-v, 18r, 34r.

A—24 უძველესი ხელნაწერია, რომელიც ეფრემის თარგმანს შეიცავს. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ იგი ეფრემის ავტოგრაფიდან არის გადაწერილი.

ხელნაწერში დასტურდება გადაწერის პროცესში გაპარული ლაფსუსები. ეს ეხება „ღიალექტიკის“ ტექსტსაც. მაგ., 13v II-ზე წერია: „კაცი არს მოცინარ, მრავალ“. ბერძ. θεμισαπειραηαιαδ; K 100,31. არსენის ტექსტშია: „მავალ“. სწორია „მავალ“, ხოლო „მრავალ“ ლაფსუსია. როგორც ჩანს, გადამწერმა „მავალ“ მექანიკურად გადაწერა როგორც „მრავალი“.

14v I: „ერთი და იგივე საქმე მრავლითა სახელისდებისა სახელებითა“. „სახელისდებისა“ გაუგებარია. ბერძნულშია: αληθεια „იწოდების“. ეფრემის თარგმანშიც. ალბათ, ეწერა: „სახელ-იდების“. ტექსტიც ამ სახით გავასწორეთ.

ხელნაწერში შეინიშნება ფაქტები, როცა გადაწერის დროს მექანიკურად გამოტოვებულია სიტყვა ან წინადადება.

S—1358, XVII—XIX<sup>96</sup>. ხელნაწერი წარმოადგენს კრებულს. ნაწერია ჳხედრულით, სხვადასხვა ხელით. მხოლოდ „ღიალექტიკა“ არის დაწერილი XVI ს-ის ნუსხურით. „ღიალექტიკის“ ტექსტს უკავია 8r—38v. ტექსტს ახლავს ზანდუკი და ეფრემ მცირის წინასიტყვაობა (8r—11v), ეპისტოლე კოზმა მაიუმელს (11v—12v).

ხელნაწერის აღწერილობაში ვკითხულობთ, რომ ტექსტი ნაკლული ყოფილა და შეუვსიათ XIX ს-ში. ეს ცნობა დაზუსტებას საჭიროებს: „ღიალექტიკის“ ტექსტი, ე. ი. ეფრემისეული თარგმანი, მართლაც, წყდება 43-ე თავის („წინააღმდგომთათჳს“) შემდეგ სიტყვებზე: „ხოლო შეუვა-განყოფილთა მათ შეუვა-კედელთა და განმწვალებელთა საქმეთა, რომელთამე აქუს სახელი...“ ეს ფრაზა არის 35r-ის ბოლო სტრიქონები. მომდევნო 35v თავისუფალია, უფრო სწორად, ამ გვერდზე მხედრულით ნაწერი ყოფილა რომელიდაც „სამთვარიოს“ ტექსტი, რომელიც აქამად გადასულია და ფურცლის ეს გვერდი დაუწერელის წთაბეკილებას ტოვებს.

მომდევნო 36r-ზე უკვე სხვა ხელით, XIX ს. მხედრულით, გრძელდება „ღიალექტიკის“ ტექსტი ზუსტად იმ ადგილას, სადაც წინა გვერდზე გაწყდა, მაგრამ გრძელდება არა ეფრემის „ღიალექტიკა“, არამედ არსენისა.

როგორც ჩანს, S—1358 გადაწერილია ისეთი დედნიდან, სადაც „ღიალექტიკა“ ნაკლული იყო. გადამწერმა ნაკლული ტექსტი შეავსო, მაგრამ შეავსო არსენისეული ტექსტით. ამ გაწყვეტილი თავის შემდეგ (თ. 43) თავთა რაოდენობა და ტექსტი ზუსტად მიყვება არსენის ტექსტს, ოღონდ სათვალავია განსხვავებული. თ. 43-ის მომდევნო თავი — „ანაგებისათჳს და მოკლეებისა“ — 44-ე ნომრით გაგრძელდა S—1358-ში. ეს თავი არსენისთან არის თ. 42.

<sup>96</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S კოლექცია, ტ. II.



ხელნაწერს ახლავს სამი სქოლიო (21r, 22v, 24v) და სქემები (14r, 15r-v, 26v), ისევე როგორც არის A—24-ში. S—1358-ს აკლია A—24-ის ბოლო სქემა, რადგან ეს ტექსტი საერთოდ ნაკლულია S—1358-ში.

A—406<sup>97</sup>, XVIII ს. ხელნაწერი კრებულთა. „დიალექტიკის“ უკავია 1r—49v. ტექსტს ახლავს ზანდუჯი როგორც „დიალექტიკისა“, ისე „გარდამოცემისა“, ეფრემ მცირის წინასიტყვაობა (1r—7v), ეპისტოლე კონმა მაიუმელს (7v—9v).

„დიალექტიკის“ ტექსტი ამ ხელნაწერშიც ნაკლულია. ტექსტი წყდება ზუსტად იმ ადგილას, სადაც შეწყდა იგი S—1358-ში. რამდენიმე დაუწერელი სტრიქონის შემდეგ არის გადამწერის იონანე დეკანოზის ანდერძი, საიდანაც ირკვევა, რომ ეს წიგნი მას გადაუწერია თბილისში, 1751 წელს, ერეკლე მეფის დაკვეთით.

B და C ნუსხებში მოთავსებული სქემები და სქოლიოები გატანილია აშიაზე ზუსტად იმ თავთან და სიტყვასთან, სადაც ისინი არის A—24 ხელნაწერში.

გამონაკლისს წარმოადგენს ერთი სქოლიოს ადგილი A—406-ში. იგი მე-19 თავთან არის აშიაზე მითითებული (26v). ეს გამონაკლისი შეიძლება გადამწერის დაუკვირებლობის შედეგი იყოს.

საქმე ისაა, რომ A—24-ში ეს სქოლიო მართლაც წინა, მე-19 თავთან წერია, მაგრამ მას ახლავს სქოლიოს ნიშანი, რომლითაც იგი მითითებულია მომდევნო 21-ე თავთან. როგორც ჩანს, გადამწერს სქოლიოს მიმითებელი ნიშანი გამოჩნდა და სქოლიო სადაც შეხვდა დედანში, თვითონაც იმ ადგილას გაიტანა.

სქემებისა და სქოლიოების ერთსა და იმავე ადგილას არსებობა იმაზე მიუთითებს, რომ B და C ნუსხები ერთი და იმავე დედნიდან არის გადაწერილი, ეს დედანია A—24 ხელნაწერი. ამას სხვა ტექსტობრივი მონაცემებიც უკერძოებს. მაგ., „სიგნჟე“ სიტყვას (A—24, 9r II) თავზე აზის სამი წერტილი (···). ასევე სამი წერტილით არის ეს სიტყვა B და C ნუსხებში. „ფერკითა ქ'ასაათა“ (A 9r II). „ქ'ასაათა“ ქარაგმა B და C ნუსხებს გაუხსნიათ როგორც „ქმისაათა“. კონტექსტის აზრი კი მოითხოვდა სხვაგვარ გახსნას: „ქმელისაათა“. მაშასადამე, B და C-ში A-ს ქარაგმის გახსნისას დაშვებულია უზუსტობა. A-ში წერია: „მოკიდებითად“ (10,2). ნუსხური „დ“-ს თავი წაშლილია და ეკითხება: „მოკლებითად“. სწორედ ამ გზით B და C ნუსხებში გაჩნდა სხვა სიტყვა — „მოკლებითად“.

აბზაცობრივი დაყოფა ტექსტისა B და C ნუსხებში ზუსტად ისეთია, როგორც A-ში.

ვარიანტული სხვაობანი ძალზე უმნიშვნელოა, თითქმის მხოლოდ ორთოგრაფიული ხასიათისაა.

ამრიგად, B და C ნუსხების არქეტისს წარმოადგენს A ნუსხა. მაგრამ ის გარემოება, რომ B და C-ში ტექსტი-ერთსა და იმავე ადგილზე წყდება, გვაფიქრებინებს შემდეგს: ან ორივე ნუსხა გადაწერილია A-ს ერთი და იმავე პირიდან, რომელსაც ბოლო ტექსტი ნაკლული ჰქონია, ან აღრინდელი B ნუსხა წარმოადგენს დედანს C ნუსხისთვის.

<sup>97</sup> Жорданія Ф.. Описание рукописей Тифлисского Церковного музея, кн. II, Тфл., 1902.

არსენი იყალთოელის თარგმანი „ღიალექტიკისა“ დასტურდება შემდეგ ხელნაწერებში:

S—145 (1799 წ., მხედრული. თხზულებას ამ ხელნაწერში ეწოდება „კატილორია“), S—162 (1740 წ., ნუსხური, ქალაღი დამწერარია მელნისგან. ტექსტის წაითხვა ძალიან კირს), S—358 (1735 წ., ნუსხური), S—361 (XVIII—XIX სს., მხედრული; გვ. 117—118-ზე ტერმინთა ლექსიკონის ფრაგმენტია), S—1132 (XIX ს., მხედრული), S—1581 (1744 წ. მხედრული; 30v—33v-ზე ტერმინთა და სხვა სიტყვათა ლექსიკონის ფრაგმენტია), S—2397 (XIX ს. მხედრული; „ღიალექტიკის“ ტექსტი ორგან ნაკლულია), S—3652 (1762 წ. მხედრული. ტექსტს ერთვის ლექსიკონის ფრაგმენტი. ხელნაწერში არის საინტერესო შენიშვნები).

A—66 (XVII ს., ნუსხური), A—250 (XVIII ს., ნუსხური), A—1151 (XVIII ს., ნუსხური), A—1440 (XIX ს., მხედრული).

H—97 (1709 წ., ნუსხური), H—147 (XVIII ს., ნუსხური, შემორჩენილია „ღიალექტიკის“ ორი თავი), H—149 (XVIII—XIX სს., ტექსტი ნაკლულია).

Q—255 (1749 წ.), Q—256 (1805 წ., „ღიალექტიკა“ არ არის. არის სტატია „ათთა ნათესავთა ნათესავოანთათვს განჩინება“).

არსენის ტექსტის დასადგენად შერჩეული ხელნაწერებია: A: S—1463; B: S—2562; C: S—2574.

S—1463. ხელნაწერი წარმოადგენს არსენი იყალთოელის ცნობილ „დოგმატიკონს“<sup>98</sup>. ეს ხელნაწერი უძველესია არსენის ტექსტის შემცველ ხელნაწერთა შორის. ხელნაწერი დათარიღებულია XII—XIII სს-ით<sup>99</sup>. ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკის ლ. ქაჯაიას მოსაზრებით, შესაძლებელია ხელნაწერის დათარიღებამ XI ს. გასულსა და XII ს-ის დასაწყისზე გადმოიწიოს. პალეოგრაფიულად ხელნაწერი ამ ხანას განეკუთვნება. არსებობს კიდევ ერთი ვარაუზება, რომელიც ამ ვარაუდს უქერს მხარს:

Q—37 ხელნაწერში არის ეფრემ მცირის ფსალმუნთა თარგმანება. ხელნაწერში, 324r-ზე არის გადამწერის ანდერძი, საიდანაც ჩანს, რომ ხელნაწერი გადაწერილია 1091 წ. კასტანას მონასტერში „ეფრემის მამობასა“, ე. ი. ეფრემ მცირის წინამძღვრობის დროს. ამ ხელნაწერში ფსალმუნთა თარგმანების შემდეგ, 325r—340r-ზე. არის სხვა თხზულება, კერძოდ, ბიბლიურ გალობათა თარგმანება. ეს უკანასკნელი დაწერილია სხვა ხელით, ვიდრე ეფრემის თარგმანება. თხზულება მთავრდება 340r-ის პირველ სვეტში. მეორე სვეტში გრძელდება ეფრემ მცირის ავტოგრაფი<sup>100</sup>. ვინაიდან „გალობანი“ წინ უძღვის ეფრემის ავტოგრაფს, ეს მიანიშნებს იმაზე, რომ იგი დაწერილია ეფრემის სიცოცხლეში, ე. ი. გადამწერი ეფრემის თანამედროვეა. ჩვენთვის ამჟამად საინტერესოა ის, რომ „გალობათა“ ხელი იგივეა, რაც „დოგმატიკონისა“. მაშასადამე, „გალობა-

<sup>98</sup> „დოგმატიკონის“ რაობასა და შედგენილობაზე იხილეთ ვრცლად ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S ფონდი, ტ. II; კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1960, გვ. 277—283; თ. ყორღანიძე, პრონიკები, ტ. I, გვ. 309—311.

<sup>99</sup> S ფონდის აღწერილობა, ტ. II; თ. ყორღანიძე, პრონიკები, I, გვ. 309—311.

<sup>100</sup> იხ. ელ. მეტრეველი, ეფრემ მცირის ავტოგრაფი, ხელნაწერთა ინსტიტუტის შობები, ტ. 1, 1959, გვ. 115—126.

ნი“, ასევე „დოგმატიკონი“, გადაწერილია ერთი და იმავე პირის მიერ, რომელიც თანამედროვეა ეფრემ მცირისა. ამის საფუძველზე ლ. ქაჯანია შესაძლებლად თვლის „დოგმატიკონი“ დათარიღდეს XI ს. ბოლოთი და XII ს. დასაწყისით.

„დიალექტიკას“ უკავია 39r—53v. სქემები არის: 42r, 48r. ხელნაწერში არის შენიშვნები: 43r, 44r.

S—2562<sup>101</sup>, კრებული XII—XIII სს.; ხელნაწერს არა აქვს ჰვირნიშანი, რაც ქაღალდის სიძველენზე მეტყველებს. ქაღალდისა და ხელის მიხედვით ხელნაწერი თარიღდება XII ს. გასულითა და XIII ს. პირველი ნახევრით. S—2562 არის ფილოსოფიურ ნაწარმოებთა კრებული.

„დიალექტიკას“ ცალკე სტატიის სახით ახლავს „ათთა ნათესავთა ნათესავთათჳს“. აშიაზე პირველი თავის გასწვრივ არის მინაწერი: „დამასკელი“. შემდეგ მოდის ამონიოს ერმიასის თხზულებები.

ხელნაწერი თავ-ბოლო ნაკლულია, ბოლო ფურცლები ძალიან დაზიანებულია. ტექსტს არ ახლავს ზანდუჯი და ეპისტოლე კოზმა მაიუმელისადმი.

„დიალექტიკა“ მოთავსებულია 8v—69v-ზე. „დიალექტიკის“ ტექსტს აქვს ბოლოს, ნაკლული ადგილი აღდგენილია მოგვიანო ხანის ნუსხურით, სხვა მელნით. იმავე ხელითა და მელნით შიგ ტექსტშიც ჩამატებულია რამდენიმე სიტყვა და წინადადება, რომლებიც გადაწერს გამორჩენია.

ხელნაწერს კიდევებზე აქვს სინგურით შესრულებული მინაწერები. პირველი მინაწერი არის პირველი თავის გასწვრივ მარცხენა აშიაზე (8v). ფურცლის ჩამოხვევის გამო მინაწერი დაზიანებულია. იკითხება მხოლოდ შემდეგი: „არისტოტელეს საზღვართა[...] სენებულისა დამასკელისაჲ. რომელი ესე[.] ვებლყოველთა წერილთა სიღრმისა და[...] ტრფიალთათჳს და მიქენეთა საღმრთ...“<sup>102</sup>

დანარჩენი მინაწერები არის შემდეგ გვერდებზე: 9r, 12r, 19r, 23v. 2v-ზე არის მკითხველის, ვინმე ნიკოლოზ გაბაონისძის, ანდერძი: „თთვესა ივისისა ათხუთსა ქრისტეს აქეთ ჩლოთ, შეწვევითა ღვთისათა ვიწყებ მე ყოვლად უღირსმა ნიკოლას სქესით ვიდრემე გაბაონისძემან კითხვად ამისა და იქმნა ფრიად განმაცისკრებელ განკედარებულისა გონებისა ჩემისა და ღმერთმან მომცეს გონება და ენა შეთხზვად და დასინტაქსებად ლექსთა ამათ სიბრძნე-შემოსილთა კაცთა მიერ წარმონათქუთა“.

13v, 41r-ზე არის სქემები.

ხელნაწერს ახასიათებს  $\Phi$  ასოს ხმარება ნასესხებ სიტყვებში: ეპიჭანია, ფილოსოფოსი და სხვ.

S—2574<sup>103</sup>, XIII—XIV

ხელნაწერი დაზიანებულია. ბოლო ფურცლები დაკარგულია და ტექსტი აღდგენილია მოგვიანო პერიოდის ნუსხურით. ფურცლების ზედა სტრიქონებზე მელნის გაფერმკრთალების გამო ტექსტი განახლებულია მუქი მელნით.

ხელნაწერი შეიცავს „დიალექტიკას“ და „გარდამოცემას“ ზანდუქებით-

<sup>101</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S ფონდი, ტ. IV.

<sup>102</sup> ხელნაწერთა უძრაველობაში (S—145, 1132, 2397, 3652; A—250, 1151, H—147; Q—255) პირველი თავის დასაწყისში აშიაზე არის მინაწერი, რომელიც დასაწყისი სიტყვებით ემთხვევა ამ მინაწერს: „არისტოტელისა საზღვართა წიგნისაგან და სხუთა ფილოსოფოსთა მიერ ღრამატიკებრთა საზღუართა“.

<sup>103</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S ფონდი, ტ. IV.

ურთ. „ღიალექტიკა“ არის გვ. 4—71. ტექსტს ახლავს მხოლოდ პირველი სქემა (გვ. 13). გვ. 33-ზე არის სომხური მინაწერი 1855 წ.-სა, საიდანაც ვიგებთ, რომ ხელნაწერი ავეტიქ ენთიაჯიანის საცავიდან ყოფილა.

C ნუსხა ვადაწყერილი ჩანს A ნუსხიდან. ხელნაწერს ემჩნევა უზუსტობანი, რომლებიც გრაფიკულ ნიადაგზე იხსნება. ზოგიერთი მათგანი ქარაგმათა არამართებული გახსნის შედეგია. მაგ., 40,2: „ყოვლადრე“, უნდა იყოს „შემდგომადრე“. 41,5: „სიმრავლე“, უნდა იყოს „სიმრთელე“. 46,3: „სულიერისა“, უნდა იყოს: „სრულია“.

B და C ნუსხებიდან მეტი თავისებურება გააჩნია B ნუსხას. ვარიანტული წაკითხვებიდან აღსანიშნავია B ნუსხის წაკითხვები. AC-ში ხშირად ერთნაირია ტექსტი, მაგ., 21,4: ადგილსა შინა AC] ვითარ გოდოლი ადგილსა შინა B. 21,9: რელსა შინა AC] ძეგლსა შინა რელისასა B. 24,1: მყოფობისათჳს AC] მყოფობისათჳს B და ა. შ. A, B და C ნუსხები ერთი დედნიდან ჩანს ვადაწყერილი. ამას ადასტურებს თუნდაც ხელნაწერთა მინაწერები, შენიშვნები. სამსავე ნუსხას ერთსა და იმავე ადგილას აშიაზე გააჩნია ერთი და იგივე შენიშვნები. ეს, რასაკვირველია, ხელნაწერთა ერთი დედნიდან წარმოშობაზე მიუთითებს. კიდევ ერთი გარემოება უქერს მხარს ამ მოსაზრებას. 18,4—6-ზე „ღიალექტიკის“ ტექსტში დასტურდება ფრაგმენტი „გარდამოცემიდან“. აზრობრივად ეს ადგილი სრულიად შეუფერებელია ტექსტში. ლაპარაკია ლოგიკურ სილოგიზმზე, მის შემადგენელ ნაწილებზე და უცებ მსჯელობა გადადის ღმერთზე, სიტყვასა და სულზე. იბადება კითხვა: ფრაგმენტი არსენი იყალთოელის მიერ არის ჩართული ტექსტში თუ რომელიმე ადრინდელი გადამწერის მიერ? რადგან იგი სამსავე ნუსხაში დასტურდება, საფიქრებელია, რომ ეს ფრაგმენტი თავიდანვე იყო ტექსტში და A, B, C ნუსხათა გადამწერებმა ერთი დედნით სარგებლობისას უცვლელად გაიმეორეს ფრაგმენტი. სხვათა შორის, A ნუსხის გადამწერს საჩოთიროდ მიუჩნევია მისი „ღიალექტიკის“ ტექსტში არსებობა, რადგან იქ, სადაც ფრაგმენტი იწყება (53r II), საკმაოდ დიდი ინტერვალაა დატოვებული. S—1463 ხელნაწერში სხვა მსგავსი ინტერვალა არსად არ არის.

### ტექსტისნათვის

წინამდებარე გამოცემაში ეფრემ მციარისა და არსენი იყალთოელის თარგმანები წარმოდგენილია ორ სვეტად. პირველ სვეტში არის ეფრემის თარგმანი, მეორეში — არსენისა.

გამოცემაში ეფრემის ტექსტი წარმოდგენილია ზუსტად ისე, როგორც ხელნაწერებში გვაქვს. თავთა თანამიმდევრობა მოცემულია უცვლელად. რაც შეეხება არსენის თარგმანს, საჭიროდ ვცანით ხელნაწერებში წარმოდგენილი თავთა თანამიმდევრობა სამ შემთხვევაში დაგვერღვია. საქმე ისაა, რომ ეფრემისა და არსენის ტექსტებში თავების თანამიმდევრობა ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს. ამიტომ ორი თარგმანის უკეთ შედარების, მათ შორის მსგავსებისა და სხვაობის წარმოჩენის მიზნით, საჭიროდ ვცანით სხვადასხვა ადგილას, სხვადასხვა ნომრით განლაგებული თავები ერთიმეორის გვერდით დაგვეყენებინა. ეფრემის ტექსტის შედგენილობის შესაბამისად არსენის თარგმანში ადგილი ვუცვალეთ შემდეგ თავებს: კგ, კჟ და ლა. კჟ არის მე-3 ნომ-

რად, როგორც ეს არის ეფრემის თარგმანში. ლა ორჯერ მეორდება არსენის ტექსტში: თავის ადგილზეც არის და ამავე დროს გადმოტანილია წინ, მე-4 ნომრად, ვინაიდან ეფრემის ტექსტში აღნიშნული თავი ორგან არის: დ ნომრად და ლგ ნომრად.

არსენის ტექსტის თ. კგ გადავიტანეთ უკან 34-ე ნომრად, რადგან ეფრემის ტექსტში ეს თავი აქ არის.

ხელნაწერებში მოცემული შედგენილობა ტექსტისა რომ არ დაკარგულიყო, ორსავე თარგმანში თავებს შეუვნარჩუნეთ ხელნაწერების დანომვრა ქართული ასოებით. ამდენად, არსენის ტექსტში თავების გადანაცვლების შემთხვევაშიც ყოველ თავს ხელნაწერში დადასტურებული ნომერი აქვს.

თავების საერთო ნომრად მოგვაქვს ჩვენი საკუთარი დანომვრა არაბული ციფრებით. გვერდით მოცემულია მოკლე რედაქციის ბერძნულ ტექსტის სათანადო თავის ნომერი, ფრჩხილებში ნაჩვენებია ვრცელი რედაქციის ნომერი.

ეფრემის თარგმანის ორი თავი (თ და ე) არსენის ტექსტში ერთი თავია (ზ), ხოლო ეფრემის ტექსტის ერთი თავი (ლთ) არსენის თარგმანში ორ თავს უდრის (ლვ და ლზ). ეფრემის ტექსტის ორი თავი (ნა და ნგ) სულ არ არის არსენის თარგმანში.

ქართული თარგმანების თავთა შედგენილობისა და თანამიმდევრობის ჩვენების მიზნით, მოგვაქვს ცხრილი, სადაც მოცემულია თავების შესატყვისობა ქართულ თარგმანებში და მათი მიმართება ბერძნულის მოკლე და ვრცელ რედაქციათა თავებთან. პირველ სვეტში მოცემულია ბერძნული ტექსტის თავების ნომრები. ფრჩხილებში ჩასმულია ვრცელი რედაქციის ნომერი; მეორე სვეტში მოთავსებულია ეფრემის ტექსტის თავთა ნომრები, ხოლო მესამეში — არსენის თარგმანისა (შავი კორპუსით მითითებულია არსენის ტექსტის ის თავები, რომლებიც ჩვენ მიერ არის გადანაცვლებული).

მოკლე რედაქცია (ვრცელი) — ფრეზი — არსენი

1 (4)—1—1	15 (32)—17—14	29 (46)—31—30	44 (61)—46—44
2 (10)—2—2	16 (33)—18—15	30 (47)—32   31	45 (62)—47—45
3 (11)—3—28	17 (34)—19—16	(47)—33   31	46 (63)—48—46
(47)—4—21	18 (35)—20—17	31 (48)—34—28	47 (64)—49—47
4 (12)—5—3	19 (36)—21—18	32 (49)—35—32	48 (65)—50—48
5 (13)—6—4	20 (37)—22—19	33 (50)—36—33	49 (66)—51—
6 (14)—7—5	21 (38)—23—20	34 (51)—37—34	50 (67)—52—49
7 (15)—8—6	22 (39)—24—21	35 (52)—38—35	*Erep. (68)—53—
8 (16)—9   7	23 (40)—25—22	36 (53)—   39   36	
(17)—10   7	— — 28	37 (54)—   37   37	
9 (18)—11—8	24 (41)—26—24	38 (55)—40—38	
10 (37)—12—9	25 (42)—27—25	39 (56)—41—39	
11 (31)—13—10	26 (43)—28—26	40 (57)—42—40	
12 (6)—14—11	27 (44)—29—27	41 (58)—43—41	
13 (7)—15—12	— — 28	42 (59)—44—42	
14 (8)—16—13	28 (45)—30—29	43 (60)—45—43	

ტექსტი ორსავე სვეტში დაყვავით აბზაცებად, რომლებიც დავნომრეთ ცალკეული თავის ფარგლებში. აბზაცები შინაარსის მიხედვით ზუსტად ემთხვევა ერთმანეთს ორსავე სვეტში, ე. ი. ორსავე თარგმანში. ასეთი დაყოფა მიზანშეწონილი ჩანს ტექსტში სწრაფად ორიენტირებისათვის, განსაკუთრებით კი ორ სხვადასხვა თარგმანში პარალელური ადგილების ჩვენებისათვის.

ამ მიზნით კოლონტიტულში ყველგან მითითებულია სათანადო თავისა და აბზაცის ნომრები (შავი შრიფტით აღნიშნულია თავის ნომერი, თეთრით კი — აბზაცისა), ასევე ბ. კოტერის გამოცემის სათანადო გვერდი.

ზანდუკში თითოეული თავის გასწვრივ მითითებულია ჩვენი გამოცემის ის გვერდი, სადაც ეს თავი გვხვდება.

თითოეული სვეტის სქოლიოში ჩატანილია ვარიანტული წაკითხვები იმ აბზაცის ნომრის მითითებით, რომელშიც ისინი გვხვდება. მაგ.: ეფრემის ტექსტის ვარიანტებში 6 ლუთისა, ნიშნავს, რომ „ლუთისა“ წაკითხვა გვხვდება ეფრემის ტექსტის მე-6 აბზაცში.

როცა ცალკეული აბზაცის შიგნით რომელიმე სიტყვა რამდენჯერმე მეორდება, მაგრამ ერთ შემთხვევაში იგი ვარიანტულ წაკითხვას იძლევა, ასეთ შემთხვევაში ვარიანტის მოსაძებნად ამ სიტყვას უზის ციფრი, რომელიც ტექსტში მის ადგილზე მითითდება.

ხმოვანთა „უჟ“ კომპლექსი ყველგან შეცვლილია „უე“-თი. ვარიანტებში არ ასახულა ჟ-ს დაწერილობა გვიანი პერიოდის ხელნაწერებში.

ტექსტში გამოყენებული ნიშნებია: V, \*.

V სქოლიოში უზის ეფრემის თარგმანის A ნუსხის იმ სიტყვებს, რომლებიც გვიან აღდგენილ ტექსტში იკითხება: (A—ნუსხის დასაწყისი გაცხოველებულია გვიან საუკუნეებში, სხვა ხელით).

\* ნიშნით კრიტიკულ აპარატში მითითებულია: ა. არსენის თარგმანის C ნუსხის ის სიტყვები, რომლებიც ხელნაწერის განახლებულ ადგილებში იკითხება (როგორც აღვნიშნეთ, C ნუსხის ფურცლების ზემო სტრიქონები გვიან არის განახლებული მუქი მელნით). ბ. არსენი იყალთოელის თარგმანის B ნუსხის ის სიტყვები, რომლებიც გვიან პერიოდში არის შეტანილი ტექსტში.

გ. კრიტიკულ აპარატში მითითებულია ხელნაწერთა აშიებზე არსებული მინაწერები და სქემები.

გამოცემაში „დიალექტიკის“ ტექსტს დაეურთეთ ორი დამატება: 1. „ათთა ნათესავთა ნათესავთაათუჟის განჩინება“, 2. „ქვეყნის სამზომლო ნიშნები“.

პირველი დამატება წარმოადგენს „დიალექტიკის“ არსენი იყალთოელის თარგმანის მე-19 თავს. არსენის თარგმანის შემცველ ხელნაწერთა უმრავლესობაში (S—145, 1132, 2397; A—250, 1151; Q—255) ეს თავი ცალკე არის გამოყოფილი. როგორც ჩანს, ეს ადრევე მომხდარა, ვინაიდან ისეთ ძველ ხელნაწერშიც. როგორცაა S—2562 (XII—XIII სს.), იგი მოსდევს „დიალექტიკის“ ტექსტს. Q—256 ხელნაწერში კი სრულიად დამოუკიდებელი ნაწარმოების სახით გვხვდება, „დიალექტიკის“ ტექსტის გარეშე. ამიტომ, მიზანშეწონილად ვცანით მისი დამატების სახით დართვა გამოცემაში.

ასევე ხელნაწერთა ტრადიციის თანახმად არსენის თარგმანს ერთვის მეორე ფრაგმენტი — „ქვეყნის სამზომლო ნიშნები“. ამიტომ, ჩვენც დამატების სახით ვავიტანეთ ეს ფრაგმენტი გამოცემაში.

#### ლექსიკონისათვის

წინამდებარე ლექსიკონში შესულია 976 ტერმინი. ტერმინები აღებულია როგორც ეფრემ მცირის, ისე არსენი იყალთოელის თარგმანებიდან, ე. ი. გათვალისწინებულია ბერძნული სიტყვის ორივე ქართული შესატყვისი. ტერმინთა განმარტებისას გარკვეული სიძნელე იჩინს თავს შემდეგი გარემოების გამო:

ზოგიერთ შემთხვევაში ერთ რომელსავე ბერძნულ ტერმინს სხვადასხვა შესატყვისი აქვს ქართულ თარგმანებში: ეფრემ მცირე სხვა სიტყვით გადმოსცემს რაიმე ცნებას, არსენი იყალთოელი კი — სხვა სიტყვით. ზოგიერთ შემთხვევაში კი ერთი ტერმინისთვის სავსებით იდენტური შესატყვისობებია ორსავე თარგმანში.

არაიშვიათად ერთ რომელსავე ცნებას ეფრემ მცირე სხვადასხვა ტერმინით გადმოსცემს, ე. ი. რამდენიმე შესატყვისის იძლევა; არსენი იყალთოელი კი ამ ერთ ცნებას ყოველთვის ერთი ტერმინით გადმოსცემს, გარდა რამდენიმე გამონაკლისისა.

არის შემთხვევები. როცა ერთი და იმავე ტერმინით სხვადასხვა ცნებებია გადმოცემული ეფრემ მცირის მიერ; არსენი ამ შემთხვევაში იცავს სიზუსტეს. ლექსიკონი შედგენილია შემდეგნაირად:

1. ეფრემისეულ ტერმინს აწერია მისი სახელის დასაწყისი ასო ე, ხოლო არსენისას — ა. თუ რომელიმე ტერმინს ასეთი მითითება არ ახლავს, იგულისხმება, რომ ეს ტერმინი ორივე ავტორის მიერ არის ნახმარი.

2. ლექსიკონში ჯერ მოცემულია განსამარტავი ტერმინი, შემდეგ მისი შესატყვისი ტერმინი მეორე თარგმანის მიხედვით და ბოლოს — სათანადო ბერძნული ტერმინი. ბერძნულ ტერმინს ახლავს პაგინაციის მითითება, რომელიც მიაწინებს ბონ. კოტერის მიერ გამოქვეყნებული ბერძნული ტექსტის სათანადო გვერდსა და სტრიქონს. თითოეულ ტერმინს ახლავს განმარტება, ბოლოს კი მოტანილია შესაბამისი მაგალითები ქართული თარგმანებიდან. მაგალითების მიმდევრობა ნაკარნახევეა განსამარტი ერთეულით. თუ განსამარტია ეფრემისეული ტერმინი, მაშინ პირველად აღებულია ეფრემისეული ტექსტის ციტატა და პირიქით, თუ განსამარტია არსენისეული ტერმინი, მაშინ არსენისეული ციტატა არის პირველ ადგილზე და მეორედ იქნება ეფრემისეული.

მაგალითებს ბოლოში აქვთ მითითება ტექსტის იმ ადგილზე, სადაც ისინი გვხვდებიან. პირველი რიცხვი მიუთითებს თავს, მეორე — აბზაცს.

3. თუ რომელიმე ტერმინი რამდენიმე მნიშვნელობით გვხვდება, განსხვავებულ მნიშვნელობათა განმარტებანი ქართული ასოებითაა გამოყოფილი. მაგ.:

ადგილი — ა) რაოდენობის ერთ-ერთი სახე, რომელიც განიზომება.

ბ) სივრცის ზედაპირი, გარემოცულ საგანთა საზღვარი.

4. ყოველი ტერმინის განმარტებისა და სათანადო ციტატის შემდეგ მითითებულია ის ადგილები ტექსტში, სადაც გვხვდება დასახელებული ტერმინი. ამდენად, ლექსიკონი საძიებლის ფუნქციასაც ატარებს. დამოწმებული ადგილები მითითებულია შემდეგნაირად: ჯერ მითითებულია ადგილი, სადაც მოიპოვება ქართული ტერმინი (თავი, აბზაცი), შემდეგ ფრჩხილებში შესაბამისი ბერძნული ტერმინის ადგილი (ბ. კოტერის გამოცემის გვერდი და სტრიქონი). იმის საჩვენებლად, რომ ესა თუ ის ტერმინი ეკუთვნის ან მხოლოდ ეფრემს, ან მხოლოდ არსენის, გამოყენებულია ისევ ე და ა ასოები. თუ ეს მითითება არ არის, მაშინ უნდა ჩაითვალოს, რომ ეს ტერმინი ორივეს მიერ არის ნახმარი.

5. ლექსიკონში განსამარტი ერთეულად მოცემულია ხან ეფრემის, ხან არსენის ტერმინი. შეიძლებოდა განსამარტი ერთეულად გაგვეტანა ყოველთვის ეფრემისეული ტერმინი და შემდეგ მოგვეცა შესატყვისი არსენისეული ტერ-

მინი, ანდა პირიქით, მაგრამ უმჯობესად ვცანით ერთეულთა შერეული სახით წარმოდგენა შენდევნი მოსაზრების გამო:

პირველად, ე. ი. განსამარტ ერთეულად გადის ის ტერმინი, რომელიც შინაარსობრივად რამდენიმე სხვა ტერმინის ეკვივალენტი ჩანს, ე. ი. რომელსაც რამდენიმე შესატყვისი ეძებნება მეორე თარგმანში. შესატყვისობები მოცემულია მეორე რიგში. თუ ორსავე თარგმანში ერთი და იგივე ტერმინი გადმოსცემს ერთსა და იმავე ცნებას, მაშინ პირველ რიგში მითითებულია მათი საერთო მნიშვნელობა, შემდეგ ჩამოთვლილია სხვა შესატყვისები, რომლებიც ზოგჯერ სინონიმებს წარმოადგენენ, ზოგჯერ კი სხვა მნიშვნელობა აქვთ.

თითოეული განსხვავებული მნიშვნელობის შემთხვევაში იქვე მითითებულია სათანადო ბერძნული ტერმინი. მაგალითად:

ბუნება	— ფაზა
ნათესავი ა	— γένος
სახე ა	— εἶδος
თქვი ა	— ფაზა
ბუნებითი ე	— ფაზა

პირველ რიგში ტერმინ „ბუნებას“ არავითარი ინიციალი არ ახლავს. ეს ნიშნავს, რომ დასახელებულ კონტექსტსა და სხვა ადგილებშიც (საძიებელი ახლავს) ორსავე ქართულ თარგმანში დასტურდება „ბუნება“ ტერმინი ერთმანეთის შესატყვისად.

შემდეგ ჩამოთვლილია ოთხი შესატყვისი: ნათესავი ა, სახე ა, თქვი ა, ბუნებითი ე. პირველი სამი შესატყვისი დასტურდება არსენისეულ ტექსტში იმ ადგილებში, სადაც ეფრემთან არის „ბუნება“. ხოლო მეოთხე — „ბუნებითი“ არის ეფრემის ტექსტში იქ, სადაც არსენთან არის „ბუნება“. ამრიგად, ოთხივე ეს ტერმინი შესატყვისია განსამარტად აღებული „ბუნება“ ტერმინისა.

6. ლექსიკონში გამოყენებული მითითებებია: იხ., ნ., შდრ. იხ. მიუთითებს ერთი და იმავე ტერმინის სხვადასხვა შესატყვისებს ეფრემისა და არსენის ტექსტებში. მაგ., წესი-ი, იხ. ანაგები-ი; შდრ. მიუთითებს სინონიმური ან ანტონიმური მნიშვნელობის ტერმინებს. მაგ., ანაგები, შდრ. გუარი. ნ.-თი მითითებულია ისეთი ტერმინები, რომლებიც რაიმე შინაარსობრივ კავშირში არიან ერთმანეთთან.

7. იშვიათად განსამარტ ერთეულად პარალელურად გატანილია სინონიმური ცალები, ერთი და იმავე ძირიდან გრამატიკულად სხვადასხვანაირად ნაწარმოები სიტყვები, რომელთაც ზუსტად ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვთ. მაგ., არა-სწორი // უსწორო. მეორე ფორმა „უსწორო“ სათანადო ადგილას იხ.-თია აღნიშნული და ეს იხ. მიანიშნებს განმარტებისა და კონტექსტის პირველ შემთხვევას.

სინონიმურ ცალებად გატანილია ისეთი ცნებებიც, რომლებიც თვითონ ტექსტში გვხვდება სინონიმებად — ჰენდიადისებად, მაგ., „დაბადებულება // ქმნულება“.

8. ბუნებრივია, რომ ერთი და იგივე ტერმინი ხშირად განსხვავებული გრამატიკული ფორმით გვხვდება ორ ქართულ თარგმანში.

მაგ.: განწმენდა ე — მომგებელი ა. ეფრემთან ზმნის პირიანი ფორმაა, არსენის ტექსტში — მიმღობა. შინაარსობრივად ეს შესატყვისობანი იდენტუ-



რია, მაგრამ გრამატიკულად ერთმანეთის შეუსაბამო ფორმებია. ამიტომ ტეხილ კავებში აღვადგინეთ განსამარტი ერთეულის შესაბამისი ფორმა — [მოგება].

ჩვენს ლექსიკონში გატანილია არა მხოლოდ ცალკეული სიტყვა — ტერმინი, არამედ ორი, სამი ან მეტი სიტყვებისგან შემდგარი ტერმინები, რომლებიც გარკვეულ ლოგიკურ-სემანტიკურ მთლიანობას ქმნიან<sup>104</sup>.

## ГРУЗИНСКИЕ ПЕРЕВОДЫ «ДИАЛЕКТИКИ» ИОАННА ДАМАСКИНА

(Резюме)

Известный теолог VII в. Иоанн Дамаскин занимает одно из значительных мест в истории византийской культуры. Его основное произведение «Источник знаний» было создано в конце патристического периода греческой теологии и в начале становления нового, схоластического периода. Следует отметить, что в этом произведении уже ярко ощущаются элементы мировоззрения, развитие которого в Западном христианском мире наблюдается в IX—X вв. и которое известно под именем христианской схоластики.

«Источник знаний» представляет трилогию, первой частью которой является «Диалектика». В «Диалектике» изложены философские основы христианства: логическое учение Аристотеля и его комментаторов осмыслено в этом произведении с позиций ортодоксальной христианской идеологии.

Иоанн Дамаскин в этом сочинении предстает перед нами, как комментатор трудов «эллинских мудрецов» и всех «известнейших проповедников».

В новейшей научной литературе о Дамаскине выявлены и изучены источники, которыми пользовался Иоанн Дамаскин в своем труде. Таковыми являются труды комментаторов сочинений Аристотеля по логике.

Среди них основное место занимает сочинение неоплатоника III века Порфирия: «Введение к «Категориям». Используются Дамаскином и труды следующих авторов: Аммония, сына Ермия (V в.), Элия (VI в.), Давида Непобедимого (V—VI в.), Стефана Александрийского (VII в.) и др. Наряду с трудами философов, широко использованы и сочинения отцов церкви: Леонтия Византийского (VI в.), Максима Исповедника (VII в.), Анастасия Синайского (VII в.) и др.

Сочинение Иоанна Дамаскина ставит своей целью защиту христианской ортодоксальной идеологии средствами логико-философской аргументации. Апелляция лишь к вере оказалась недостаточной к этому времени, ввиду развития естествознания и других наук. Необходимой стала научная формулировка основных христианских догм. «Диалектика» является образцом трансформации античной философской терминологии при инфильтрации ее в христианское учение.

<sup>104</sup> თანამედროვე ტერმინოლოგიაში აქტუალურად დგას საკითხი ტერმინთა რაობისა და ფარგლების შესახებ. ტერმინი არის მხოლოდ ერთი სიტყვა, თუ იგი შეიძლება რამდენიმე სიტყვისგან იყოს შემდგარი? ტერმინის თანამედროვე გაგებაში ეს უკანასკნელი თვალსაზრისი იმარჯვებს. ამის შესახებ იხ. Б. Н. Головин, О некоторых проблемах изучения терминов, Вестник московского университета. Филология, 5, 1972, стр. 49—59.

Перевод «Диалектики» в XI в. на грузинский язык должен быть оценен как показатель начала аристотелизма, разумеется, схоластицированного, в грузинской общественной мысли. Подобный процесс имел место несколькими веками раньше в арабском мире; в более же позднее время он также наблюдается и в Западной Европе. «Диалектика» оказала огромное влияние на грузинское философско-теологическое мышление последующих периодов.

Настоящее издание ставит своей целью изучение грузинских переводов «Диалектики». В издании дан критически установленный текст переводов «Диалектики», осуществленных Ефремом Мцире и Арсением Икалтоели (стр. 64—180 наст. книги). К тексту прилагается словарь философских терминов (стр. 181—300).

В исследовании рассматривается только часть вопросов, связанных с изучением «Диалектики», конкретно, вопросы, касающиеся текстуальной редакции грузинских переводов и их отношения к греческому оригиналу.

В I главе исследования рассматриваются вопросы, связанные с греческим текстом «Диалектики».

Название «Диалектика» сочинению Иоанна Дамаскина было дано позже. В греческих рукописях оно обычно называлось «Философскими главами». «Диалектикой» сочинение это было названо в первом латинском издании (1548 г.). Подобное название было дано этому сочинению ввиду того, что диалектика в античном мире понималась как искусство логического мышления, постижения и доказательства истины путем философской беседы, спора. Рациональное зерно средневековой теологии связано именно с диалектикой. Поэтому подобное название сочинения Иоанна Дамаскина является далеко не случайным.

«Диалектика» состоит из следующих частей: оглавление, предисловие и текст. Предисловие представляет собой послание Иоанна Дамаскина майюскому епископу Козьме. В этом послании изложены взгляды автора о структуре, цели и принципах составления сочинения.

Греческий текст «Диалектики» издавался неоднократно. Первое издание было осуществлено в 1575 году в Базеле, последнее — в 1969 году Бонифациусом Котером в серии патристических текстов и штудий.

«Диалектика» стала предметом тщательного исследования современных византинистов. Не так давно за рубежом появились несколько монографических трудов о сочинении Иоанна Дамаскина<sup>1</sup>.

О популярности «Диалектики» свидетельствует тот факт, что она в средние века переводилась на различные языки. Известны фрагменты наиболее ранних сирийских переводов, арабский перевод XI века, армянский перевод X века Баграта Мамиконяна, древний славянский перевод XI века. На латинский язык перевод «Диалектики» был осуществлен в XII веке.

Вторая глава нашего исследования носит название: «Диалектика» на грузинском языке». В Грузии сочинение это привлекало к себе внимание уже с ранних времен. Происшедшие впоследствии сдвиги в идеологической жизни Грузии побудили грузинские ортодоксальные круги взяться за оружие логики и философии для защиты своего уче-

<sup>1</sup> В. Kottler, Die Überlieferung der Pege'gnoseos des Hl. Johannes von Damaskos [Studia Patristica e Byzantina], 1959. G. Richter, Die Dialektik des Johannes von Damaskos [Studia Patristica et Byzantina], 1964.

ния. Грузинские деятели переводили и обрабатывали сочинения Дионисия Ареопагита, неоплатоников Прокла, Аммония и др. Грузинским философским мышлением одновременно были освоены как схоластизированный платонизм, так и аристотелизм.

В таких условиях принципиально важным оказалось то толкование догматической терминологии, которое православное исповедание нашло в «Диалектике» Иоанна Дамаскина. В этом смысле первостепенное значение приобретает именно «Диалектика», в которой было дано объяснение и толкование многих терминов.

На грузинский язык «Диалектика» была переведена дважды. Впервые она была переведена Ефремом Мцире. По мнению К. Кекелидзе, Ефрем Мцире осуществил свой перевод в 90-х годах XI в. Действительно, некоторые списки (схолии) к переводам «Изложения православной веры» Иоанна Дамаскина и сочинений Дионисия Ареопагита подтверждают, что «Изложение», следовательно, и «Диалектика» были переведены Ефремом Мцире в последние годы его жизни, т. е. именно в 90-ые годы XI века.

Тексту «Диалектики» Ефрем Мцире предпосылает свое оригинальное предисловие, которое вызывает немалый интерес в научной литературе. В нем мы находим ряд интересных сведений исторического и литературного характера.

Прежде всего, Ефрем Мцире, поясняя значение «Диалектики» как философского труда, ставит вопрос о равносильности философии и теологии. Затем Ефрем дает важные для истории грузинской литературы сведения, касающиеся переводческой деятельности грузинских писателей.

Кроме того, в предисловии Ефрема дано очень интересное суждение автора о его принципах перевода. Особенно интересно предисловие для истории грамматической мысли. Привлекают внимание предложения Ефрема, относящиеся к вопросам пунктуации.

В предисловии Ефрем Мцире дает заслуживающие внимания сведения об «Изложении» и «Предводителе». Он строго размежевывает их, считая эти сочинения трудами различных авторов. Предисловие это, являющееся, в сущности, предисловием ко всему «Источнику знаний» Иоанна Дамаскина, было издано С. Горгадзе, Ф. Жордания, Е. Такашвили. В настоящем издании оно также опубликовано (стр. 66—70).

После Ефрема Мцире «Диалектика» была переведена Арсением Икалтоели. Он внес это сочинение в свой сборник, известный под именем «Догматикон». Переводить «Диалектику», по всей вероятности, Арсений начал тогда, когда он приступил к составлению «Догматикона», т. е. «Диалектика» расположена в начале этого сборника. Во всех древних списках она занимает по счету второе место. Началом составления этого сборника следует признать 90-е годы XI века. Конечной хронологической гранью можно считать 1103 год, т. е. выясняется, что в «Уложении» проведенного в этом году Руисско-Урбнисского церковного собора уже использованы некоторые статьи «Догматикона». Таким образом, перевод Арсением Икалтоели «Догматикона» предшествует составлению им «Уложения» этого собора.

Следовательно, оба перевода, как Ефрема, так и Арсения Икалтоели, выполнены в последнем десятилетии XI века. Их разделяет не более нескольких лет.

В грузинской научной литературе существуют различные мнения о причинах двукратного перевода «Диалектики». Текстуальное сравнение этих переводов дает возможность внести некоторые коррективы в этот вопрос.

Изучение грузинских переводов «Диалектики» может внести определенную ясность в структурную разноликость, наблюдающуюся в греческих рукописях. Изучение грузинских переводов тем более необходимо, что ни исследователи византийской литературы (Г. Бек, О. Барденхеве, К. Крумбахер и др.), ни авторы монографических трудов об Иоанне Дамаскине (В. Эрмони, И. Ланген) их не знают. В изданных в последние годы исследованиях (Б. Коттер, Г. Рихтер) грузинские переводы упоминаются лишь вскользь, хотя грузинские переводы имеют не меньшее значение, чем исследуемые ими арабский, латинский и древнеславянский переводы.

В III главе исследования рассматриваются греческие редакции «Диалектики» и редакционные особенности грузинских переводов.

На греческом языке «Диалектика» известна в краткой и пространной редакциях. Существуют редакции и смешанного типа.

Различие между краткой и пространной редакциями обуславливается количеством глав и их последовательностью. Пространная редакция состоит из 68 глав, краткая — из 50 глав.

Грузинские переводы представляют собой краткую редакцию «Диалектики», однако, порой они расходятся с нею, примыкая к пространной редакции. Перевод Арсения Икалтоели состоит из 49 глав. Последовательность глав в тексте Арсения отличается от греческого подлинника лишь в трех следующих случаях: гл. 3 греческого текста соответствует гл. 28 (перевода Арсения). Это является особенностью грузинского перевода Арсения; 31 глава греческого текста соответствует 23 главе перевода Арсения. Такая последовательность наблюдается лишь в одной греческой рукописи, обозначенной в издании Б. Коттера «в2<sup>23</sup>». Далее, в 31 главе текста Арсения объединены соответствующие главы краткой и пространной редакций греческого оригинала.

Перевод же Ефрема Мцире в структурном отношении отличается как от перевода Арсения, так и от греческого текста. В указателе глав у Ефрема Мцире названы и пронумерованы 50 глав. Но затем без указания номера в указателе глав перечислены добавочно еще 3 главы. Эти главы встречаются и в самом тексте. Ефрем их называет «добавочными» главами. Подобная же картина наблюдается и в одной греческой рукописи из коллекции Ленинградской публичной библиотеки (гр. № 210).

Как показывает текстуальный анализ, и в переводе Ефрема, и в Ленинградской греческой рукописи представлен ранний тип текста «Диалектики», т. е. краткий, состоящий из 50 глав. Остальные 3 главы в краткую редакцию внесены из пространной редакции, однако же, в общий счет глав они еще не включены (в отличие от большинства греческих рукописей). Добавление трех глав — в тексте Ефрема — указывает, что им переведен текст краткой редакции в поздней обработке, в то время как перевод Арсения основан на более раннем виде краткой редакции.

Примечательно, что одна из глав греческого текста, а именно 30 глава краткой редакции и 47 глава пространной, в переводе Ефрема представлена в виде трех независимых глав. Эти главы 4, 32, 33. В этой главе греческого текста проявляется смешанный тип редакции.

В грузинских переводах смешение обоих редакционных чтений наблюдается и в других главах, однако, проявляется оно по-разному. Перевод Арсения представляет собой ранний тип краткой редакции. Факт смешения редакций отмечается здесь лишь в одном случае. Перевод Ефрема также является краткой редакцией, однако, здесь часто встречаются примеры редакционного смешения. По этой причине, текст Ефрема причислен нами к позднему виду краткой редакции или же к редакции смешанного типа.

Перевод Арсения Икалтоели в целом более близок по содержанию к греческому оригиналу, чем перевод Ефрема Мцире, тем не менее, в тексте Арсения имеются места, отличающиеся от греческого подлинника; в его переводе наблюдаются как дополнения и пропуски, так и другие отличия.

Анализируя текстуальные особенности перевода Арсения, можно допустить, что вызваны они могут быть различными причинами: 1. Они могли быть результатом работы самого переводчика; 2. Возможно также, что некоторые места были изменены переписчиками, редактирующими текст; 3. Наконец, можно предположить, что различия эти имелись в том греческом списке, которым пользовался Арсений.

Для решения этих вопросов большое значение имеет армянский перевод, выполненный с перевода Арсения Симеоном Пгиндзаханеци в XII веке. Сличение армянского перевода с грузинским подлинником Арсения в большинстве случаев дало возможность выделить чтения, внесенные в грузинский текст переписчиками поздних времен и, таким образом, выявить ранние чтения, характерные для перевода Арсения. Текстуальный анализ также позволил выявить заслуживающий внимания факт. Симеон Пгиндзаханеци, переводя с грузинского подлинника Арсения, учитывал и другой грузинский перевод: некоторые места исправлены им по переводу Ефрема Мцире.

Возможно, некоторые сокращения, наблюдающиеся в переводе Арсения, сделаны не им самим. Надо полагать, что эти сокращения имелись в греческом списке, ныне утерянном, которым пользовался Арсений. Предположение это основано на следующем факте: перевод Арсения, точно следуя за греческим подлинником, отличается исключительной близостью к греческому оригиналу, чего нельзя сказать о переводе Ефрема.

Перевод Ефрема Мцире больше отличается от греческого, чем перевод Арсения. В тексте Ефрема часто встречаются дополнительные пассажи, в некоторых местах отсутствуют целые фразы подлинника. Нередко то или иное место греческого текста истолковано неверно. Неточности в тексте Ефрема обусловлены разными причинами:

1. Некоторые неточности носят стилистический характер;
2. Некоторые, возможно, являются результатом иного истолкования греческого слова;
3. Некоторые расхождения грузинского текста с греческим являются результатом неточного использования Ефремом грузинских терминов. Часто это происходит из-за полисемантической греческого слова. К тому же, нередко один и тот же греческий термин в переводе имеет различные эквиваленты; иногда вместо термина представлен его смысловой перевод;
4. Некоторые же неточности вообще не поддаются объяснению.

В грузинских переводах имеются места, где наблюдается картина смешения редакций. Таково, например, объяснение «первейшего по природе» (в тексте Арсения — гл. 12 и 43, у Ефрема гл. 15 и 45).

В данном случае, в грузинских переводах картина аналогична греческой краткой редакции: в грузинских переводах смешаны интерпретации общего и конкретного, подобно греческой краткой редакции; однако, в грузинском переводе отношение между общим и конкретным понимается несколько иначе.

Добавления и сокращения в тексте Ефрема, а также некоторые другие отступления от оригинала придают первому характер вольного перевода; Ефрем Мцире дает своеобразный грузинский вариант текста. Переводу Ефрема часто недостает точности; кроме того, на наш взгляд, ему не всегда присуща та выразительная сила, которая характерна для перевода Арсения Икалтоели.

#### ВЫВОДЫ

1. Переводы Ефрема Мцире и Арсения Икалтоели следуют различным редакциям греческого оригинала.

2. В обоих переводах имеются факты смешения краткой и пространный редакций. В переводе Арсения смешения редки, в переводе же Ефрема Мцире они наблюдаются чаще. Перевод Арсения представляет собой более ранний вид краткой редакции, а перевод Ефрема Мцире -- переработанный вид краткой редакции, т. е. ее смешанный вид.

3. Наличие греческого подлинника, редакционно отличающегося от перевода Ефрема, а также иные взгляды на принципы перевода являются основными причинами, обусловившими вторичный перевод «Диалектики» Арсением Икалтоели.

4. Сохранившийся в грузинских переводах текст «Диалектики» ныне неизвестен в греческих рукописях. Поэтому грузинские переводы, имеющие в этом отношении определенное историко-литературное значение, должны занять соответствующее место в деле изучения литературного наследия Иоанна Дамаскина. Это обстоятельство подтверждает мнение Иосифа Лангена, указавшего, что Восток хранит много рукописей сочинений Дамаскина, выявление и изучение которых необходимо для исследователей византийской литературы.

В работе дана краткая характеристика рукописей, использованных для установления текста. На основе текстуально-палеографических данных выявлено хронологическое взаимоотношение этих рукописей. Текст имеет два приложения:

1. «О десяти самых высших родах» и 2. «Геометрические знаки». По традиции рукописей, оба приложения обычно следуют за переводом Арсения Икалтоели.

Текст Ефрема напечатан по следующим рукописям: А—24, А—406, S—1358; текст же Арсения — по следующим: S—1463, S—2562, S—2574 (Фонды Института Рукописей им. К. Кекелидзе Академии наук Грузинской ССР).

Словарь включает 976 терминов, встречающихся в обоих переводах. При каждом из них указан и соответствующий греческий термин. В некоторых случаях один греческий термин имеет различные соответствия в грузинских переводах. Некоторые термины Ефрем Мцире и Арсений Икалтоели переводят на грузинский язык по-разному.

Кроме того, нередко для перевода того или иного термина Ефрем Мцире дает не одно, а несколько соответствий. Арсений Икалтоели же.

за редкими исключениями, каждый греческий термин переводит одним и тем же грузинским словом. Имеются случаи, когда одним и тем же термином Ефрем Мцире передает различные греческие термины. Арсений и в этом случае соблюдает точность.

В словаре представлены не только отдельные слова и термины, но и различные словосочетания, составляющие логико-семантическое целое.

После каждого грузинского термина указан соответствующий греческий термин; затем приводятся грузинские примеры из текста обоих переводов. В словаре также обозначены все случаи употребления данного термина в тексте. Таким образом, словарь является также и указателем терминов.

---

ტ ე ქ ს ტ ი

(1r I) ზანღუკი და შესავალი წიგნისა ამის, როჲმელსა ეწოდების ბარდამოცემად, თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე დამასკაელინა*	(39v I) შეწავნითა ღმრთისადთა ზანღუკი წიგნისა იოვანე დამასკაელინად
ნამდვლევ ქემარიტისა არსები- სათს და შემთხუევითისათს	მყოფისათს არსებისა და შემ- თხუევითისა 74
ბ ნათესაეისათს ნათესაეოანისა და სახისა სახოანისა	ბ ნათესაეისათს ნათესაეოანისა და სახისა სახოანისა და ურთიერ- ასათს 76
გ განუკუეთელათს	[კშ განუკუეთელისათს] 84
დ არსებათა განფენისათს	[ლა განწვალებაჲ მყოფისა და არ- სებისაჲ] 85
ე თითო-სახისა განყოფილებისათს	გ განყოფილებისათს 87
ვ შემთხუევითისათს	დ შემთხუევითისათს 88
ზ თვისისათს	ე თვისისათს, ესე იგი არს, განთ- ვსებულისათს 89
შ შესმენითა სიტყუათათს	ვ შესმენილათს 91
თ ერთ-სახელთა და თანა-მოსახე- ლეთა შესმენათათს	ზ თანა-მოსახელეთათს 93
ი ნართალთათს	94
თუ რაჲსა შინა არს შესმენაჲ	შ რაჲარსობითისა შესმენისათს და რომელი რაჲარსობითისა- თს 95
იბ გუამისათს და გუამოვნებისა და უგუამოსა	თ გუამოვნისა და უგუამოსათს 97
იგ არსებისათს და ბუნებისა	ი არსებისათს და ბუნებისა და ხატოვნებისა, განუკუეთელისა და პირისა და გუამისა 98

სათ. თქმული B.

\* A-ში 1r-დან 4v-ს ჩათვლით ტექსტი  
შეესებულა გვიანი, XVIII ს. ხელით.

ბ. ნათესოვანისა A<sup>v</sup>.

A-ში სათვალავი შესრულებულია რიუხ-  
ვებით (1, 2, 3 და e. შ.).



იღ განყოფილებათს	ია განწველებისათს	100
იე პირველობისათს ბუნებისა	იბ ბუნებით უპირველესისათს	104
ივ განსაზღვრებისათს	იგ განსაზღვრებისათს	105
იზ თანა-მოსახელეთათს	იღ სახელ-მოდგამეთათს	108
იწ ერთ-სახელეთათს	იე თანა-მოსახელეთათს	110
ით მრავალ-სახელეთათს	ივ მრავალ-სახელეთათს	110
კ სხუათა და სხუათა-სახელეთათს	იზ სხუათათს და სხუა-სახელთა	111
კა სახელ-ნართაულთათს	იწ სახელ-ნართაულთათს	111
კბ ათთა მათთს ნათესავერანთა ნათესავთა	ით ათთა ნათესავერანთა ნათესავთათს	112
კვ თანა-მონათესავეთა და თანა-მოსახეთათს	კ თანა-მონათესავეთა და თანა-მოსახეთა, სხუა-ნათესავთა და სხუა-სახეთა და რიცხვთა განყოფილებათს	114
კდ რასაშინაობისათს	კა რასაშინაობისათს	116
კე მერმეცა არსებისათსევე	კბ არსებისათს	117
კვ ბუნებისათს	[კვ იხ. ლა-ს შემდეგ]	
(1რ 11) კზ შესახედავისათს	კდ ბუნებისათს	118
კწ გუამისათს	კე ხატოვნებისათს	119
კთ პირისათს	კვ გუამისათს	121
ლ ერთგუამოვნებისათს	კზ პირისათს	122
ლა უგუამო[ა]სათს	[კწ იხ. ბ-ს შემდეგ]	
ლბ არსებისა ნათესავერანად განყოფისათს	კთ გუამოვნისათს	123
ლგ თითო-სახისა განყოფილებისათს	ლ უგუამოხისათს	124
ლდ თვებისათს არსებისა და მოძღვრებისა	ლა განწველებად მყოფისა და არსებისად	125
11. ხოლო აკლდეს თუ ერთი სიტყუაჲ. უეჭუელად ჰმატან საქმენი, ვითარ-იგი სთქვ რაჲ „ცხოველი სიტყვერი“ და გიკლიეს სიტყუაჲ, რამეთუ არა სთქვ „მოკუდაობაჲ“ და ამით დაამატენ საქმენი, რამეთუ არა ხოლო კაცი არს ცხოველი სიტყვერი, არამედ ანგელოზიცა. ამისთვისცა არლარა გარე-მოიქცევის.

12. კუალად უკუეთუ ვთქუა, ვითარმედ „ცხოველი სიტყვერი, მოკუდავი, ღრამმატიკოსი“. აჰა ჰმატს სიტყუაჲ, რაჲამს დაჰკრთუ „ღრამმატიკოსი“ და აკლან საქმენი, რამეთუ არა ყოველნი კაცნი განსაზღვრნა, არამედ მხოლოდ ღრამმატიკოსნი, რამეთუ ყოველი ცხოველი სიტყვერი და მოკუდავი, ღრამმატიკოსი კაც არს. ხოლო არა ყოველი კაცი ცხოველი, სიტყვერი, მოკუდავი ღრამმატიკოს არს, რამეთუ არა ყოველი კაცი ღრამმატიკოს არს.

11. უკუეთუ აკლდეს ვიდრემე ერთი ლექსი, ჰმატან საქმენი, ვითარ-იგი „ცხოველი სიტყვერი“, აჰა, და აკლდა ლექსი, რამეთუ არა ვთქუ „მოკუდავი“ და დაემატა საქმეთა, რამეთუ არა კაცი ხოლო არს ცხოველი სიტყვერი, არამედ ანგელოზიცა. და არლარა გარე-მოიქცევის.

12. ხოლო უკუეთუ ვთქუა: „ცხოველი სიტყვერი, მოკუდავი, ღრამმატიკოსი“, კუალად არა გარე-მოიქცევის, რამეთუ დაემატა ლექსი თქუმითა „ღრამმატიკოსისაჲთა“, ხოლო დააკლდა საქმეთა, რამეთუ არა ყოველნი კაცნი განსაზღვრნა, არამედ მხოლოდ ღრამმატიკოსნი ოდენ. რამეთუ ყოველი ვიდრემე ცხოველი სიტყვერი, მოკუდავი, ღრამმატიკოსი კაც არს, ხოლო არა ყოველი კაცი ცხოველი სიტყვერი, მოკუდავი ღრამმატიკოს არს, ვინაჲთგან არა ყოველი კაცი ღრამმატიკოს არს.

იზ. თანა-მოსახელეთათჳს 17 ოე'(ღ,β) იღ. სახელ-მოდგამათათჳს

1. თანა-მოსახელე არიან, რომელნი სახელითა ეზიარებოდინ ურთიერთას, ხოლო განსაზღვრებით გინა ზედა-წარწერით განიყოფებოდინ. ვითარ-იგი სახელი ძალისაჲ თანა-მოსახელე არს, რამეთუ საცნა(14r II)ურ-ჰყოფს კმელისასაცა და ზღვსა ძალსა. ხოლო სხუაჲ განსაზღვრებაჲ აქუს ზღვსასა მას და სხუაჲ — კმელისასა, ვინაჲთგან სხუა და სხუა ბუნება არიან.

2. ხოლო ზედა-წარწერით გამო-სახეაჲ თანა-მოსახელეთაჲ ესე არს:

11. სთქუ BC. მოკუდავება C.

12. რამეთუ<sup>1</sup>+რამეთუ A. კაცუ<sup>2</sup> კაცი B.

1. განსაზღვრებითა C. განსაზღვრებაჲ C. კმელისასა<sup>1</sup> კმელისა A.

1. სახელ-მოდგამ უკუე არიან სახელითა ვიდრემე ზიარნი, ხოლო საზღვართა ანუ წარწერითა განყოფილნი. ვითარ-იგი სახელი ძალისაჲ სახელ-მოდგამ არს, რამეთუ ცხად-ჰყოფს კმელისასაცა და ზღვსა ძალსა, გარნა სხუაჲ საზღვარი აქუს კმელისასა და სხუაჲ — ზღვსასა, ვინაჲთგან სხუაჲ და სხუაჲ არს ბუ- [45v II]ნებაჲ მათი.

2. ხოლო წარსწერენ სახელ-მოდგამთა ესრეთ: „სახელ-მოდგამ არიან, რომელთა სახელი ზოგადი იყოს,

11. ვთქვ AC. დაემატა C<sup>0</sup>.

12. ცხოველ<sup>2</sup> B. ღრამმატიკოსნი<sup>1</sup> C.

2. რომელთა B.

„თანა-მოსახელე არიან, რომელნი სახელით ხოლო ეზიარებოდინ ურთიერთს, ხოლო განიყოფებოდინ სახელსა-ზედა სიტყვითა არსებისადაჲა“. „სიტყუად“ უკუე აწინდელსა ამას ადგილსა განსაზღვრებაჲ ითქუა ზედა-წარწერით გამოსახელი. ხოლო „სახელსა-ზედა“, რაჲთა საცნაურ-იქმნეს, ვითარმედ სხუაჲ არს განსაზღვრებაჲ სახელისაჲ მის, ვინაჲ-იგი იქმნებიან თანა-მოსახელენი,

3. ვითარ-იგი არიან ძალენი ზღვსა და კმელისაჲ, რომელნი სახელსა-ზედა მდებარითაჲ ნართა-ულობითა არიან თანა-მოსახელე ურთიერთას. რამეთუ ენებოს თუ ვისმე, რაჲთა განსაზღვრებაჲ იგი ზღვსა ძალისაჲ მისცეს კმელისასა-ცა მას ძალსა ამისთვის, რამეთუ ძალს უწოდოიან თითოეულსა მათსა, უკუეულად სხუაჲ უკმდეს განსაზღვრებაჲ კმელისასა მას და სხუაჲ — ზღვსასა. და კუალად მიითუალენ იგინი ზიარებასა-ცა რასმე განსაზღვრებისა მისგან სახელთაჲსა, რამეთუ ცხოველ ეწოდების ორთავე და განსაზღვრებასა ცხოველისასა მიითუ-ალენ. არამედ არა არიან იგინი სახელსა მას ზედა ცხოველისასა თანა-მოსახელე, არამედ უფროჲსლა ერთ-სახელ.

4. რამეთუ თანამოსახელობისა-ო:ვს [14v I] სამი საძიებელ არს: უკუეთუ არს თანა-მოსახელე და თუ რაოდენსა მოსწაუებასა ზედა შემოიღებვის ანუ რომელსა მომასწაუებელსა ზედა კითხვაჲ იქმნების.

3. ძალი! BC. სხუაჲ სხვა C. მიითვალენ C. განსაზღვრებისა C. მიითვალენ C.

ხოლო სახელისათანაჲ სიტყუაჲ არსებისაჲ — სხუა“. და „სიტყუად“ აქა განსაზღვრებაჲ ითქუა და წარწერაჲ „ხოლო „სახელისათანაზბაჲ“ ითქუა, რაჲთა ცხად-ყოს, ვითარმედ სხუაჲ არს საზღვარი მის სახელი-საჲ, რომლისაებრ კმნილ არიან იგინი სახელ-მოდგამ,

3. ვითარ-იგი კმელისა და ზღვსა ძალენი ზიარობისაებრ სახელისა სახელ-მოდგამ არიან. ხოლო უკუეთუ ვინმე ინებოს. რაჲთა განსაზღვრებაჲ კმელისა ძალისაჲ განუჩინოს ზღვსასა, ვინაჲთგან ძალლი სახელ-ედების თითოეულსა მათსა, სხუაჲ საზღვარი განუჩინოს კმელისასა და ზღვსასა — სხუაჲ. ხოლო შესაძლებელ არს კუალად ზიარ-ყოფაჲ მათი საზღვრითა-ცა და სახელითა, რამეთუ ცხოველ ეწოდების ორთავე და საზღვარსა ცხოველისასა მიითუალენ. არამედ არა არიან სახელითა ცხოველისადაჲ სახელ-მოდგამნი.

4. ხოლო სახელ-მოდგამთა შორის სამისაჲ ჭერ არს ძიებაჲ: უკუეთუ არს თანამოსახელეთაგანი და თუ რაოდენთა დანიშნვათაებრ მოიღებვის და თუ რომლისა დანიშნულისათჳს იქმნა კითხვაჲ. და ესე თუ არა, უფროჲსლა თანა-მოსახელე არიან.

სახელისთანაჲ B, სახელისთანა C. რომლისაებრ] რომლისა მიერ C.

3 ~ სახელ-ედების ძალი C\*. საზღვარსა-ცა C\*. სახელ-მოდგამნი + არამედ უფროჲსლა თან-სახელნი C.

4. თანა-მოსახელეთაგანი] თანა-მოსახელეთა გუამი C.

ივ. ერთ-სახელთათჳს 18 :ც'(ღ.ყ') იმ. თანა-მოსახელთათჳს

1. ერთ-მოსახელე არიან, რაოდენ-ნი სახელითა და საზღვრის-დადებითა ანუ ზედა-წარწერითა მასვე სახელსა ეზიარებოდნ. ვითარ-იგი ცხოველი საცნაურ-ჰყოფს კაცსა და ცხენსა და სახელსა ამას ზედა ცხოველობისასა ერთ-მოსახელე არიან, რამეთუ თითოეული მათი მიითუალავს სახელსაცა და განსაზღვრებასა ცხოველობისასა. ხოლო ზედა-წარწერით გამოსახება ერთ-სახელთაჲ ესე არს: ერთ-მოსახელე არიან, რომელთა სახელი ზოგ იყოს და სახელისაზედაჲ იგი სიტყუაჲ იგივე იყოს.

1. თანა-მოსახელე ვიდრემე არიან, რაოდენნი სახელითა და საზღვრითა, ესე იგი არს, წარწერითა სახელისაჲთა ზიარ არიან. ვითარ-იგი ცხოველი ცხად-ჰყოფს კაცსაცა და ცხენსა და სახელისა ამისებრ, ესე იგი არს, ცხოველისა, თანა-მოსახელე არიან, რამეთუ თითოეული მათი სახელსაცა და საზღვარსა ცხოველისასა მიითუალავს. ხოლო წარსწერენ თანა-მოსახელეთა ესრეთ: თანა-მოსახელე არიან, რომელთა სახელი ზიარი იყოს და სახელისათანაჲ სიტყუაჲ არსებობსაჲ იგივე იყოს.

ივ. მრავალ-სახელთათჳს 19 :ც'(ღ.მ') იმ. მრავალ-სახელთათჳს

1. მრავალ-სახელ არიან, რომელნი-იგი განსაზღვრებითა ზიარ იყვნენ, ხოლო სახელითა განიყოფებოდნ, ესე იგი არს, ოდეს ერთი და იგივე საქმე მრავლითა სახელ-იდების\* სახელებითა, ვითარ-იგი კრძალსა ენითა ბერძენთაჲთა ეწოდების ფასლანონ, აორ, სპათინ, მაჰერა, ქსიფოს, არამედ ყოველნი ესე სახელნი კრძლისანი ერთსა განსაზღვრებასა მიითუალვენ, რომელ არს რკინაჲ ორ-პირი, ესე იგი არს, მახვლი რკინისაჲ, ორ-კერძოვე აღმახული. ხოლო წარწერებ[14v II]ბიან მრავალ-სახელნი ესრეთ, ვითარმედ: მრავალნი სახელნი, ერთისათჳს საქმისა საქუთრად სახელ-დებულნი\*.

1. ხოლო მრავალ-სახელ არიან, რაოდენნი საზღვრითა ეზიარებოდნ, ხოლო სახელითა განიყოფოდნ, ესე იგი არს, რაჲამს იგივე და ერთი საქმე მრავლითა იწოდებოდის სახელითა, ვითარ-იგი ფასლანონ, აორ, სპათი, მაჰერა, ქსიფოს, რამეთუ ესე ყოველნი სახელნი ერთსა საზღვარსა მიითუალვენ, რომელ არს ორ-პირად აღმახული რკინაჲ, ვიტყვ უყუე რკინასა ორ-კერძოვე აღლეულსა. ხოლო წარსწერენ მრავალ-სახელთა ესრეთ: მრავალნი სახელნი, საქუთრად სათქუმელნი ერთისათჳს.

სათ.\* B-ში ამ თავის გასწეროვ მარცხენა აშაზე მინაწერია: „იმედნე“ 29v.

1. თან-სახელ C. თან-სახელთა C. ზიარ C. სახელის-თანაჲ C.

1. ფასლანონ B. ქსიფოს B.

1. საზღვრისა-დადებითა C. მიითუალავს C.

1. სახელ-იდების] სახელის-დებისა (sic!) ABC. მიითუალვენ B. \* აშაზე: შეისწავე განსაზღვრებაჲ ABC.

\* ამ სიტყვისთან არის ხელი დახატული და მარცხენა აშაზე გატანილია ის სქოლიო, რაც AB-ში სხვა თავს — „სახელ-ნართაულ-

ა. სხუათათჳს და სხუა-სახელთა 20 იჲ'(ღე') იჲ. სხუათათჳს და სხუა-სახელთა

1. ხოლო ორ-კერძოვე განყოფილთა ანუ ერთი აქუს მათდა მოკიდულნი ნივთი და სხუთა და სხუთა სახელითა იწოდებიან, — ვითარცა აღსავალი და შთასავალი, რამეთუ ამათ ორთავე სახელთა ერთი საქმე აქუს წინამდებარედ, ესე იგი არს, კიბე; — ანუ კუალად მათვე სხუათა და სხუათა სახელთა არა ერთი აქუნ ნივთი წინამდებარედ და იწოდებიან მათ არსებად და შემთხვევითად, — რამეთუ ამათ სხუად აქუნ სახელი და სხუად — ზედა-წერილი, ვინაჲთგან არა ერთ იყვის ნივთი წინამდებარედ მათი.

2. ამათ უკუე ორთავე, რომელ არიან სხუანი და სხუა-სახელნი, ზედა-წარწერილი ესე არს, ვითარმედ მათჳს, რომელთაჲ სახელი და განსაზღვრებაჲ სხუა არს.

აბ. სახელ-ნართაულთათჳს

21 :მ'(ღე')

იჲ. სახელ-ნართაულთათჳს

1. არიან რამეჲ შორის მოსახელეთა და ერთ-სახელთა ზიარნი და განყოფილნი სახელითა და განსაზღვრებითა, რომელთა სახელ-ნართაულ უწოდებან. ვითარ-იგი საღრამმატიკოჲსაგან ღრამმატიკოსნი, რომელინი იგი ზიარ არიან სახელითა, ხოლო განიყოფებიან სახელის-დებითა, რომელ არს მარცხალი დასასრულისაჲ და კუალად საზღვრითაცა იზიარებიან და განიყოფებიან, რამეთუ ღრამმატიკობაჲ მეცნიერებაჲ არს, ხოლო

თათჳს — ერთვის „ღრამ“ სიტყვის განმარტებისათვის.

სათ. სხუა-სახელთა C.

1. აქუნ აქუს BC. ზედა-წარწერილი BC.

1. განსაზღვრებითა C. \* AB-ში ამ სიტყვასთან არის ხელი დახატული, რომლითაც აშიაზე გატანილია შემდეგი სქოლიო: თარგმანი: „ღრამმა“ წერილად გამოითარგმანების,

1. ხოლო ორითავე განყოფილ [46r I]თა ანუ ერთი ქუედმდებარე აქუს და ითქუმიან სხუა-სახელად — ვითარ-იგი აღსავალი და შთასავალი. რამეთუ აქუს ამათ ერთი ქუედმდებარე, რომელ არს კიბე; — ანუ არა აქუს ერთი ქუედმდებარე და ითქუმიან სხუად, — ვითარცა არსებაჲ და შემთხვევითი, რამეთუ ამათ სახელიცა სხუად აქუს და წარწერაჲ — სხუად და არცა აქუს ერთი ქუედმდებარე.

2. ვინაჲცა ამათ ორთავე, სხუა-სახელთაცა და სხუათა, წარწერაჲ ესე არს: რომელთაჲ სხუად არსო სახელიცა და საზღვარი.

1. ხოლო არიან რამეჲ საშუალ სახელ-მოდგამთა და თანა-მოსახელეთა, ზიარნიცა და განყოფილნი სახელითაცა და საზღვრითა, რომელნი სახელ-ნართაულად იწოდებიან. ვითარ-იგი ღრამმატიკოსობისაგან ღრამმატიკოსი, რამეთუ ზიარ არიან სახელითა, ხოლო განიყოფებიან დასასრულითა სახელისაჲთა, რომელ არს მარცხალი უკუანაჲსკენელი. და კუალად საზღვრითა ზიარ არიანცა და განიყოფვიან, რამეთუ ღრამმატიკოსობაჲ უკუე მეცნიერებაჲ არს,

1. ანუ ერთი ანუ თუ ერთი C\*. ამით მათ C\*. აქუს ამათ ერთი ქუედმდებარე, რომელ არს კიბე აქუს ამათ ერთი ქუედმდებარედ კიბე, რომელ არს აღსავალ და შთასავალ B.

1. სახელითა სახელისა მებრ B. უკანაჲსკენელი C. მეცნიერებისაჲ C.

ლრამმატიკოსი არს არსებობა, რომელსა შინა არს მეცნიერება.

2. (15r 1) ხოლო სახელ-ნართაულ არიან, რაოდენნი განიყოფებოდინ ვისგანმე დამთხუვეით, ესე იგი არს, წოდებითა სახელისადათა, რომლისაგან აქუნდის შესწავებულობა. გარნა ესე ჭერ არს ცნობად, ვითარმედ კელოვნებად ლრამმატიკოსობისა და მუსიკობისაა არა ნართაულნი სახელნი არიან, რამეთუ მუსიკობა სახელ-ედების სწავლულებასა კმათა ქცევისა და შეწყობისასა, ხოლო ლრამმატიკოსი — წიგნთა წურთილებისაგან, ვითარ-იგი მართალ ვისმე ეწოდებინ სიმართლისაგან.

3. ჭერ-არს უკუე ცნობად, ვითარმედ ნართაულნი სახელნი გამოაჩინებენ ნივთსა. რომლისაგან დაერთნეს სახელსა კაცისასა, ვითარ-იგი ლრამმატიკოსი საღრამმატიკოსოსა და მართალი სიმართლესა. ხოლო არაჲის სახელ-ედების ერთისა რაასაგანმე კურჭლისა კელოვნებათადასა, რამეთუ ვერ შემოიკრებს სახელსა სამკურნალომასასა ერთი რადმე კურჭელთა სამკურნალოთაგანი.

ხოლო ლრამმატიკოსი — არსებობა, რომელსა შინა არს მეცნიერება.

2. სახელ-ნართაულ უკუე არიან, რაოდენთა განყოფილისა ვისგანმე ხდითა, ესე იგი არს, დადებითა სახელისადათა, აქუს წოდებამ სახელისადა. ხოლო საკმარ არს ცნობადა, ვითარმედ ლრამმატიკოსობადა და სიმართლე არა არიან სახელ-ნართაულ, არამედ მართალი და ლრამმატიკოსი, რამეთუ ლრამმატიკოსი ლრამმატიკოსობისაგან ისახელნართაულა და მართალი — სიმართლისაგან.

3. ჭერ-არს ესეცა უწყებად, ვითარმედ სახელ-ნართაულნი ვიდრემე გარე-შეიცვენ, რომელთაგან ისახელნართაულნეს, ვითარცა ლრამმატიკოსი ლრამმატიკოსობასა და მართალი სიმართლესა. ხოლო ერთისაგანნი — ვერსადა, რამეთუ ვერ გარე-შეიცავს სამკურნალოა წიგნი ნკურნალობასა.

ჟ. ათთა ვათთჳს ნათჳსავონათა 22 x'(l.) ით. ათთა ნათჳსავონათა  
ნათჳსავთა ნათჳსავთთჳს

1. თქუმულთაგანნი რომელნი ითქუმიან მარტივად და თვნიერ თანა-შეთხზვისა რადასამე, — ვითარ-იგი არიან „არსებამ“, „შემთხუვეითი“ და სხუანი ესევეითარნი, — ხოლო რომელნიმე თანა-შეთხზვით, ვითარ-

1. თქუმულთაგანნი რომელნიმე თანა-შეთხზვით ითქუმიან, ვითარ „ცხენი რბის“, „სოკრატ ფილოსოფოსობს“, ხოლო რომელნიმე — თვნიერ თანა-შეთხზვისა, ვითარცა „არსებამ“, „შემთხუვეითი“ და ეგვეითარნი.

ხოლო „ტიკოსი“ — დამადნობელად, რადათ რაჲამს სოქუა „ღრამმატიკოსი“, უწყოდი, ვითარმედ დამადნობელსა იტყუ წერისასა, ესე იგი არს, რომელი დაქსნის სიმკურტესა სიტუეთათასა, სიღრმით შეყინებულთასა.

2. ვისაგანმე B. სახელნი — BC.

2. განყოფილისა განყოფით C.  
სათ. ნათესაონათა C.

1. ითქუმიან C\*. სოკრათი B.



იგი „ცხენი რბის“, „სოკრათი ფილოსოფოსობს“.

2. ხოლო რომელნი მარტივად და იკვნიერ თანა-შეთხზვისა არიან, ესე-ვითარნი არიან და ესრეთ გულისკმა-იყოფებიან:

3. ა. არსებასა უკუე მოასწავებენ ესე-ვითარნი, ვითარ-იგი არიან: კაცი და ცხენი.

4. ბ. (15r II) ხოლო რაოდენობა-სა: ორნი ანუ სამნი, ორ-მკარნი ანუ სამ-მკარნი;

5. გ. ხოლო ვისსამიმართობასა, ვითარცა: მამაა ძესა;

6. დ. ხოლო რომელობასა, ვითარ-ცა: სპეტაკი და შავი;

7. ე. ხოლო სადაობასა, ვითარცა: ტაძარსა შინა ანუ ველსა ზედა;

8. ვ. ხოლო ოდესობასა, ვითარცა: შარშაა ანუ დღესი;

9. ზ. ხოლო მდებარეობასა, ვითარ-ცა: დგომაა ანუ ჯდომაა;

10. ჟ. ხოლო ქონებასა, ვითარცა: შთაცუმაა ანუ შეწყნარებაა;

11. თ. ხოლო ქმნასა, ვითარცა: წუ-ევამ ანუ ჭრამა\*;

12. ი. ხოლო ენებასა, ვითარცა: დაწუვამ ანუ გაკუეთამ;

13. ესე არიან ათნი სიტყუანი, რომელნი-ესე ვიეთთვსმე შესმენით ითქუმიან. ხოლო ჭერ-არს უწყებად, ვითარმედ თითოეული ამათ ათთაგანი ნათესაგონან ნათესავ არს. ამათ უკუე ათთა შესმენათა და ნათესვო-ანთა ნათესავთაგანი ერთი იგი პირ-ველი არსება არს, ხოლო ცხრანი — შემთხუევითნი, ესე იგი არიან: პირ-

8. დღესი — A, წერია მხოლოდ „დ“ ასო. სიტყვა მექანიკურად შეწყვეტილს ჰგავს.

10. შთაცომა A, შთაცომა BC.

11. \* A-ში ამ ორი სიტყუის რიგი შებრუნებულად არის: ~ ვითარცა ჭრამ ანუ წუ-ევამ, ოღონდ თავზე ა და ბ ასოების დას-მით თანმიმდევრობა გასწორებულია.

13. ნათესავთაგანი BC.

2. ამათ უკუე მარტივთა და თვნიერ თანა-შეთხზვისა თქუმულ-თავაგანი:

3. რომელიმე არსებასა დაპნიშ-ნავს, ვითარ-იგი: კაცი, ცხენი;

4. ხოლო რომელიმე რაოდენობა-სა, ვითარ-იგი: ორი, სამი, ორწყურთე-ული, სამწყურთეული; (46r II).

5. ხოლო რომელიმე რადასამემი-მართობასა, ვითარ-იგი: მამაა — ძე;

6. ხოლო რომელიმე ვითარებასა, ვითარ-იგი: თეთრი, შავი;

7. ხოლო რომელიმე სადაობასა, ვითარცა: ტაძარსა შინა, უბანსა ზედა;

8. ხოლო რომელიმე ოდესობასა, ვითარცა: შარშა, გუშინ, დღეს;

9. ხოლო რომელიმე მდებარეო-ბასა, ვითარცა: დგომაა, ჯდომაა;

10. ხოლო რომელიმე ქონებასა, ვითარცა: შემოსაა, შეცუმაა;

11. ხოლო რომელიმე ქმნასა, ვი-თარცა: წუევამ, კუეთამ\*;

12. ხოლო რომელიმე ენებასა, ვი-თარცა: დაწუევამ, განკუეთამ.

13. ესე უკუე იწოდებიან შესმენად და კატელორიად, ვითარცა ვიეთ-თადმე სათქუმელოებისაგან. რამეთუ „ალორევი“ თქუმასა უწოდებენ. ხო-ლო საკმარ არს ცნობად, ვითარმედ თითოეული ათთა ამთაგანი ნათესა-ვონი ნათესავი არს. ამათ უკუე ათ-თა შესმენათა, ნათესავთაგანთა ნათე-სავთაგანი, ერთი ვიდრემე არსებაა არს, ხოლო ცხრანი — შემთხუევით-

2. თქუმულთაგანი AB.

11. \* B ნუსხაში კიდევ მინაწირობა: „გან-კუეთასა იტყეს“ 31v.

13. ვიეთადმე AB. ნათესაონი C. ნათე-საონთა C. ცხარანი C.

ველად, არსებამ; მეორედ, რაოდენობამ; მესამედ, რომელობამ; მეოთხედ, ვისსამიმართობამ; მეხუთედ, საღობამ; მეექვსედ, ოდესობამ; მეშვიდედ, მდებარეობამ; მერვედ, ქონებამ; მეცხრედ, ქმნამ; მეათედ, შემთხვევამ.

### 23 xa'(აჲ')

აა. თანა-მონათესავთა და თანა-მოსახითა, სხუა-ნათესავთა და სხუა-სახითა და რიცხვთა განყოფილთათჳს

1. თანა-მონათესვენი მითვე წესითა შესმენისადათ განიწესებთან, რამეთუ ერთ-ნათესავ არიან ყოველნი, რომელნი მასვე წესსა ქუეშე სიტყუსასა შემოიყვანებოდინ.

2. ხოლო სხუა-ნათესავ არიან, რომელნი-იგი სხუად [15V I] და სხუად შეისმინებოდინ.

3. და თანა-მოსახე, ესე იგი არს, ერთ-სახე არიან, რომელნი მითვე სახითა განიწესებოდინ და ეზიარებოდინ ურთიერთას სიტყვთა არსებისადათ, ვითარ-იგი არიან პეტრე და პავლე.

4. ხოლო სხუა-სახე არიან, რომელნი სახითა ურთიერთას განყოფილ არიან, ესე იგი არს, სიტყვთა არსებისადათ, ვითარ-იგი არს განყოფილებამ კაცისა და ცხენისა.

5. ხოლო რიცხვთა განყოფილნი იგი არიან, რაოდენნი-იგი თანა-შეთხზვითა შემთხვევითათა საქმეთადათ განპყოფენ თვებასა თვისისა გუამონებისასა და თვსაგან განიკუთნებენ განუკუეთელსა, რომელ არს გუამი, ვითარცა პეტრე და პავლე და თითოეული.

სათ. თანა-მონათესავეთა BC, თანა-მოსახელთა თა ABC. (A-ში კარგად არ იკითხება სათაური).

1. თანა-მონათესავენი BC. შემოიყუნებოდინ C.

2. სხუა-ნათესავ C.

ნი, რომელ არიან ესენი: არსებამ, რაოდენობამ, ვითარებამ, რამსამემიმართობამ, საღობამ, ოდესობამ, მდებარეობამ, ქონებამ, ქმნამ, ვენობამ.

ა. თანა-მონათესავთა და თანა-მოსახითა, სხუა-ნათესავთა და სხუა-სახითა და რიცხვთა განყოფილთათჳს

1. თანა-მონათესვე არიან, რაოდენნი მასვე შესმენასა ქუეშე დაიწესებთან.

2. ხოლო სხუა-ნათესავ არიან, რაოდენნი სხუასა და სხუასა შესმენასა ქუეშე არიან.

3. კუალად თანა-მოსახე არიან, რაოდენნი მასვე სახესა ქუეშე დაიწესებთან და ზიარ არიან სიტყვთა არსებისადათ, ვითარცა პეტრე და პავლე.

4. სხუა-სახე არიან სახითა განყოფილნი ურთიერთას, ესე იგი არს, რაოდენნი სახითა არსებისადათ განყოფვიან, ვითარცა კაცი და ცხენი.

5. ხოლო რიცხვთა განიყოფვიან, რაოდენთა თანა-შეთხზვითა შემთხვევითათადათ განთჳსებულობამ თვისისა გუამისა: განიჩინეს და თვსაგანი მყოფობამ მოიგეს, რომელ არიან განუკუეთელნი, ვითარცა პეტრე, პავლე და თითოეული კაცთაგანი.

სათ. და სხუა-ნათესავთად B.

6. ყოველთა სხუა-ნათესავთაგანი რომელთანი სხუანი არიან სახენი და განყოფილებანი, ვითარ-იგი არიან ცხოველი და კელოვნება. რამეთუ ცხოველი არსებასა აღასრულებს და უფროასლა არსებითა სრულ-იქმნების, ხოლო კელოვნება — რომელობითა. და კუალად ცხოველისა განყოფილებანი შეკრებითი უკუე არიან: სულიერი და გრძნობადი, ხოლო განყოფითი: სიტყვიერი და პირუტყვი, მფრინველი ჰაერისა და იძრვისი წყლისა.

7. ხოლო კელოვნებისანი შეკრებითი უკუე არიან ერთობა სულიერებისა და სიტყვიერებისა და მათთანა შექუსულთა რათმე ძნიად განსაგდებელთა, (15V II) ხოლო განყოფითი: ღრამმატიკოსობა და ფილოსოფოსობა. რამეთუ რომელთა შესმენათაგანი არს ნათესავი, მათგანივე არს სახეცა და განყოფილებანი სახეთანი. ხოლო ურთიერთას ნათესავთა და სახეთა არარაჲ აყენებს, რაათა იგივე იყვნენ განყოფილებანი, რამეთუ დაღაცათუ არა ყოველნი. განყოფილებად უკუე და თითოსახეობად აწინდელსა ამას აღგილსა უწოდ მათ, რომელთაგან შემოკრებბოდის გუამი განყოფილთა მათ.

8. ჭერ-არს უკუე ცნობად, ვითარმედ თვნიერ არსებისა ცხრანი შესმენანი ჰქონან თითოეულსა ზემო-თქმულთა მათგანსა, დაღაცათუ შემთხუევიითი არიან შეკრებითი იგი და განყოფითი თითოსახეობად თითოეულისა მათისა. და თითოეული მათგანი ნათესავიან ნათესავ არს და ჰქონან ნათესავიცა და სახე ურთიერთას სახითურთ სახეგანი.

6. ხოლო ყოველითურთ სხუა-ნათესავთაჲ სხუაჲ არს სახე და სხუა — განყოფილებანიცა, ვითარიგი ცხოველისა და კელოვნებისა. რამეთუ ცხოველი ვიდრემე არსებისა მიმდგომ არს, ხოლო კელოვნება — ვითარებისა. და ცხოველისა უკუე განყოფილებანი შემამტიცებლობითი ვიდრემე, ვითარმედ: სულიერი, მგრძნობელობითი, ხოლო განმწვალებლობითი: სიტყვიერი და უსიტყვიერი, კმელისაჲ და წყლისა.

7. ხოლო კელოვნებისანი შემამტიცებლობითი ვიდრემე: სულიერთა და სიტყვიერთა შორის ყოფაჲ, მერმეცა ძნიად შესაცვალებლობაჲ, ხოლო განმწვალებ[46V I]ლობითი: ღრამმატიკოსობაჲ, ფილოსოფოსობაჲ. რამეთუ რომლისაცა შესმენისაჲ იყოს ნათესავი, მცხივე არს სახეცა და განყოფილებანი სახისანი. ხოლო\* ურთიერთასთა ნათესავთა და სახეთა არარაჲ აყენებს, რაათა იგინივე იყვნენ განყოფილებანი, დაღათუ არა ყოველნი. ხოლო განყოფილებად ვიტყვ აქა შემამტიცებელთა მათთა.

8. გარნა უწყებაჲ სათანადო არს, ვითარმედ ცხრანივე შესმენანი, თვნიერ არსებისა, მქონებელ არიან თითოეული, დაღათუ შემთხუევიითი არიან, შემამტიცებლობითთა და განმწვალებელობითთა განყოფილებათა. და თითოეული მათი ნათესავიანი ნათესავი არს და ჰქონან ნა-

6. სხუანი C, სხ<sup>ნი</sup> AB. იძრვისი B.

7. მათგანვე A. იყვნენ C.

8. ზემო-თქ<sup>მ</sup>ლთა AB, ზემო-თქმულთა C.

6. განმწვალებლობითისანი AB, „სა“ — ზემოდან არის ჩამატებული A-ში.

7. \* C ნუსხაში ამ სიტყვაზე მითითებამ მარცხენა აწიაზე თვალთა დახატული.

8. ნათესავი C.

რამეთუ სადაცა იყვნენ ნათესავი და თითოსახეობაჲ, უეჭუელად განყოფილნი არიან. რამეთუ ესე არიან, რომელნი განპყოფენ ნათესავთა სახედ და სადაცა იყოს სახეთაგანი.

9. ერთი სამ-სახედ გულისკმა-იყოფების: ანუ ნათესავად, — ვითარ-იგი ვიტყოდით, ვითარმედ კაცი და ცხენი თვს-თვს ნათესავ არიან, რამეთუ თითოეული ცხოველთაგანი ნათესავ არს; — ანუ თუ სახედ, — ვითარ-იგი ვიტყოდით სოკრატის და პლატონს, ვითარმედ ერთსა სახესა შინა არიან — კაცებისასა. და რომელნი ერთსა სახესა შინა იყვნენ. (16r I) ერთ არს და იგივე ბუნებაჲ მათი, — ანუ თუ რიცხუსა შინა, ვითარ-იგი ვთქუ რაჲ სოკრატისთვის, ვითარმედ ერთ არს თავსა შორის თვისსა და განყოფილ სხუათა კაცთაგან.

კლ. რასაშინაობისათჳს

23 xპ'(2.მ')

კა. რასაშინაობისათჳს

1. რასაშინაობაჲ ათერთმეტ-სახედ ითქუმის:
2. ა. პირველად, ვითარცა ნათესავი სახესა შინა და ვითარცა: ცხოველი საზღვარსა შინა კაცებისასა;
3. ბ. მეორედ, ვითარცა სახე ნათესავსა შინა, ვითარცა: კაცი განყოფილებასა შინა ცხოველობისასა;
4. გ. მესამედ, ადგილსა შინა, ვითარცა სთქუმცა, ვითარმედ: მღდელი ტაძარსა შინა;

იყუნენ C. უშქუშლად B.

9. იყუნენ C. ვითარ-იგი<sup>3</sup> — BC.

თესავნიცა და სახენი ურთიერთასნი და სახოანნი სახენი. რამეთუ უეჭუელად სადა ნათესავი იყოს, განყოფილებანი არიან განმწვალბელობითნი, რამეთუ ესენი არიან, რომელნი განპყოფენ ნათესავთა და სახეთა, და სადა სახენი არიან, შემამტკიცებელობითნიცა განყოფილებანი არიან, რომელნი შეამტკიცებენ სახეთა.

9. აწ უკუე ერთი ვიდრემე სამ-გუჲარად მოიღებვის: ანუ ნათესავისათჳს, — ვითარ-იგი ვიტყოდით, ვითარმედ კაცი და ცხენი ერთ და იგივე არიან ნათესავით, რამეთუ ერთისა ნათესავისა ქუეშე არიან, ცხოველისა ქუეშე; — ანუ სახისათჳს, — ვითარ-იგი სოკრატს ვიტყოდით და პლატონს ერთისა სახისა ქუეშე ყოფად, კაცისა ქუეშე და ერთად სახითა და იგივედ; — ანუ რიცხვსათჳს, ვითარცა სოკრატისსა ვიტყოდით, ვითარმედ ერთი არს და იგივე, განყოფით განთვსებული სხუათა კაცთაგან.

1. რასაშინაობაჲ ათერთმეტ-გუჲარად:

2. ვითარცა ნათესავი სახესა შინა, ვითარ-იგი: კაცი განწვალებასა შინა კაცისასა;
3. ვითარცა სახე ნათესავსა შინა, ვითარ-იგი: კაცი განწვალებასა შინა ცხოველისასა;
4. ადგილსა შინა, ვითარცა: მღდელი ტაძარსა შინა;

სადა<sup>1</sup> სადაცა B.

9. ვიტყოდეთ<sup>2</sup> B. ვიტყოდეთ<sup>3</sup> B.

2. ვითარ-იგი<sup>1</sup> ვითარცა-იგი C.

4. ადგილსა შინა<sup>1</sup> ვითარ გოდოლი ადგილსა შინა B.

5. დ. მეოთხედ, ეამთა შინა, ვითარცა: ნოვე ეამსა მას წყლით რღუნისასა;

6. ე. მეხუთედ, ჭურჭელსა შინა, ვითარცა: ღვინო ტაყუთა შინა;

7. ვ. მეექვსედ, ვითარცა ყოვლიანი ნაწილებსა შინა, ვითარცა: სოკრატით თვსთა ასოთა შინა — თავსა და კელთა და ფერკთა. ხოლო ესე არა არს რომელსა-შინა, არამედ რათა-შინა;

8. ზ. მეშვიდედ, ვითარცა ზოგადი ყოველსა შინა, ვითარცა: თავი და კელნი სოკრატის შინა;

9. ჟ. მერვედ, ვითარცა სახე ნივთსა შინა, ვითარცა: სახე ძეგლისაჲ რვალსა შინა.

10. თ. მეცხრედ, ვითარცა მიზეზსა შინა მოქმედებისასა, ვითარ-იგი: ყოველი ღმერთსა შინა.

11. ი. მეათედ, ვითარცა მიზეზისა აღმასრულებელსა შინა, ვითარ-იგი: შეიქმნის ცხედარი მიზეზითა კაცთა განსუენებისაჲთა, რამეთუ კაცთა განსუენებისათჳს შეიქმნების ცხედარი.

12. ია. მეათერთმეტედ, ვითარცა მოკიდულად ზედა-მდებარე, ვითარ-იგი: ზედა-აქნ სისპეტაკე კორცთა.

13. ხოლო ესე საცნაურ არს, ვითარმედ ზოგ (16r II) ყოვლად ითქუმიან, ყოვლად ზოგნი — არაოდეს, არამედ ყოვლად ზოგთა შინანი.

5. ეამსა შინა, ვითარცა: ნოვე ეამსა წყლით რღუნისასა;

6. ჭურჭელსა შინა, ვითარცა: ღვინო ტაყუთსა შინა;

7. ყოვლითურთი კერძოთა შინა, ვითარცა: სოკრატ თვსთა ასოთა შინა, თავსა და კელთა და ფერკთა-ხოლო ესე არა არს რასაშინაობაჲ, არამედ რათაშინაობაჲ;

8. ვითარცა კერძო ყოვლითურთსა შინა, ვითარცა: თავი და კელნი სოკრატს შინა;

9. ვითარცა სახე ნივთსა შინა, ვითარ-იგი: სახე ანდრიანტისაჲ რვალსა შინა;

10. ვითარცა შემოქმედობითსა მიზეზსა (46v II) შინა, ვითარ-იგი: ყოველნი ღმერთსა შინა;

11. ვითარცა განსასუენებელსა მიზეზსა შინა, ვითარ-იგი: ცხედარი განსუენებლასა შინა კაცთასა, რამეთუ განსუენებისათჳს კაცთაჲსა შეიქმნების ცხედარი;

12. ვითარცა ქუედმდებარესა შინა, ვითარცა: სითეთრე სხეულსა შინა.

13. უწყებულ იყავნ, ვითარმედ კერძონი ყოვლითურთისანი ითქუმიან, ხოლო ყოვლითურთი კერძოთა — არასადა, არამედ ყოვლითურთი — კერძოთა შინა.

კა. მარმევა არსაბინათჳსნი 26 xγ'(μ')

კა. არსაბინათჳს

1. არსებაჲ არს საქმე თავით თვისით სრული და არა მოქენე სხვსა სრულ-მყოფელისაჲ. და კუალად არსებაჲ არს ყოველი, რომელი თვთველამ იყოს და არა სხუასა შინა აქუნდეს ყოფაჲ. ესე იგი არს, რაჲ-

1. არსებაჲ არს საქმე თვთ-მყოფი, არა მოქენე სხვსაჲ შემტკიცებისა მიმართ. და კუალად არსებაჲ არს ყოველი, რომელი თვთ თავით თვისით

7. ყოვლითურთ C'.

9. რვალსა შინა] ძეგლსა შინა რვალსა B.

11. განსუენებათა B.

13. ყოვლითურთ C.

7. რომელსა შინა] რათა შინა C.

13. ყოვლად! BC. ყლ ABC.

თა არა იყოს სხუა, არცა სხუასა შინა აქუნდეს არსებაჲ, არცა მოქნე იყოს სხვსა ვისსამე შემოკრებასა, არამედ თავსა შინა თვსსა იყოს, რომელსა შინა აქუნდეს შემთხუევიითიცა და გუამიცა.

2. რამეთუ ფერი გუამისათს შეიქმნა, რამათა ფეროვან-ჰყოფდეს მას და არა გუამი ფერისათს. და ფერი გუამსა შინა არს, არა თუ გუამი ფერსა შინა. ამისთვისცა ითქუმის ფერი გუამისაჲ და არა თუ გუამი ფერისაჲ.

3. და იცვალს რაჲ შემთხუევიითი ფერი, არა იცვალეზის არსებაჲცა, რომელ არს გუამი, არამედ ჰგიეს ეგრეთვე. ხოლო სახელ-იდების არსებაჲ მარადის ყოფისაგან.

იყოს და არა სხვსა შორის აქუნდეს ყოფაჲ, ესე იგი არს, არა სხვსა შორის მყოფი, არცა სხუასა შინა მკონებელი ყოფისაჲ, არცა მოქნე სხვსაჲ შესამტკიცებელად, არამედ თავსა შორის თვსსა მყოფი, რომელსა შინა შემთხუევიითსაცა აქუს მყოფობაჲ.

2. რამეთუ ფერი სხეულისათს შეიქმნა, რამათა ფეროვან-ყოს იგი და არა სხეული ფერისათს. და ფერი სხეულსა შინა არს და არა სხეული ფერსა შინა, რომლისათსცა ფერი სხეულისაჲ ითქუმის და არა სხეული ფერისაჲ.

3. ვინაჲცა მრავალგზის შეცვალეზასა თანა ფერისასა და გარდაცვლელბასა არა შეიცვალეზის არსებაჲ, რომელ არს სხეული, არამედ ჰგიეს იგივედ. ხოლო ითქუმის არსებაჲ ყოფისათს.

ამ. ბუნებისათს

26 აბ'(μα')

ამ. ბუნებისათს

I. ბუნებაჲ არს დასაბამი თითოეულისა არსთაგანისა ძრვისა და მყუდროებისაჲ, ვითარ-იგი ქუეყანაჲ მოძრაჲ არს უკუე ნერგთა გამოღებისათს და მცენარეთა აღმოცენებისათს, ხოლო მყუდრო არს ადგილითი ადგილად არა ცვალეზისათს, რამეთუ არა იძრვის ადგილითი ადგილად, არამედ არს დასაბამ და მიზეზ მოძრაობისა და მყუდროებისა მისისა წესი დაბა (16v I) დებულებისათს, რამათა ეგრეთ იძრვადის და დაყუდნებოდის, ესე იგი არს, არსებითად და ბუნებითად და არა შემთხუევიითად\*. ხოლო ბუნებითად

1. ბუნებაჲ არს თითოეულისა მყოფთაგანისა დასაბამი ძრვისა და მყუდროებისაჲ, ვითარ-იგი ქუეყანაჲ იძრვის უკუე აღმოცენებად ნაყოფთა, ხოლო მყუდროებს ადგილითი ადგილად ცვალეზისათს. აწ უკუე დასაბამი და მიზეზი ძრვისა და მყუდროებისა მისისაჲ, რომელსა შინა უწყეის ესრეთ ძრვად და მყუდროებად არსებითად, ესე იგი არს, ბუნებითად და არა შემთხუევიითად, ბუნებად ითქუმის ესრეთ ვითამე დაწყებისა და მყოფობისათს.

1. მყოფთაგანისა B. მიზეზი ძრვისა და მყუდროებისა მისისაჲ მიზეზი ძრვისა მისისაჲ და კუალად მყუდროებისა მისისაჲ და მყუდროებისა B. „და მყუდროებისა“ სხვა ხელით არის ჩამატებული. მყოფობისათს მყუდროებისათს B.

2. რამათა რამეთუ B. არს+და C.

1. დასაბამ A. არა-ცვალეზისათს ცვალეზისათს A. არამედ რამეთუ BC. ითქ'მის AB, ითქმის C (აქაც და ყველგან).

\* ამ ადგილას A-ში მარცხენა აწიანზე არის სქოლიო: „თარგმანი: საცნაურ იყავნ, ვითარმედ დასაბამი თითოეულისა მოძრა-

ითქუმის, ვითარ-იგი დაბადებულ იყოს და განწესებულ იყოს თითო-ეული.

2. რომელი-ესე სხუა არარაჲ არს, თვნიერ არსება, რამეთუ არსებითად აქუს ესევითარი იგი ძალი ძრვისა გინა ღგომისაჲ. და არსებაჲ იგი არს მიზეზ მოძრაობისა და უძრაობისა, ხოლო ბუნებაჲ მყოფთა სახელი არს და არა არა-მყოფთაჲ.

2. ხოლო ესე არარაჲ სხუაჲ არს თვნიერ არსებაჲ, რამეთუ არსები-საგან აქუს ესევითარი ძალი, რომელ არს ძრვაჲ და მყუდროებაჲ. და არსებაჲ არს მიზეზი ძრვისაჲ და მყუდროებისა მისისაჲ, ხოლო ითქუმის ბუნებაჲ მყოფობისათჳს.

პს. შესახებად ვინათჳს

27 აე'(ა.ვ')

ამ. ხატოვნებისათჳს

1. შესახედავი ითქუმის არსებითთა განყოფილებათაგან, ვითარ-იგი გამოიხატოს რაჲ და შეისახოს არსებაჲ, მოასწავებს სახესა სახოვანსა გუამისაგან სულიერისა და გრძნობადისა და სრულ-ჰყოფედ თუ ცხოველსა, მიიღებ სიტყვერსა და მოკუდავსა და მით სრულ-ჰყოფ სახესა და შესახედავსა კაცისასა. რომელი იგი არს სახე სახოვანი, რამეთუ სახედ ითქუმის არსებაჲ შესახელი.

1. ხატოვნებაჲ არს არსებითთა განყოფილებათაგან რეცა ხატოან-ქმნილი და სახე-დადებული არსებაჲ, რომელი დაპნიშნავს სახოანსა სახესა, ვითარ-იგი არსებაჲ ხატოან-ქმნილი და სახე-დადებული სულიერისა და მგრძნობელისა სხეულისაგან და სრულ-მყოფე[47r II]ლი ცხოველისაჲ და კუალად მიმღებელი სიტყვერისა და მოკუდავისაჲ, განასრულებს სახესა კაცისაჲ და ხატოვნებად სახელ-იდების, ვითარცა ხატოვან-ქმნილი არსებაჲ.

2. აწ უკუე წმიდანი მამანი სახედ სახოვანად განაწესებენ სახელსა არსებისა და ბუნებისა და ხატებისასა და ერთად უწოდენ არსებისა და ბუნებისა და სახისა სახოვანსა სახესა; და ერთ-არსად და ერთ-ბუნებად და ერთ-ნათესავად და ერთ-ხატად უწოდენ მისვე სახოვნისა სახისა განუყოფელობასა; ხოლო სხუა-არსად და სხუა-ბუნებად და (16v II) სხუა-სახედ და სხუა-ნათესავად და სხუა-

2. აწ უკუე წმიდანი მამანი სახოანსა სახესა ზედა დაწესებენ არსებისა და ხატოვნებისა და ბუნებისა სახელსა და იგივედ იტყვან არსებასა და ბუნებასა და ხატოვნებასა და სახოანსა სახესა; და თანა-არსად და თანა-ბუნებად და თანა-მოსახედ და თანა-მონათესვედ და თანა-მოხატოვნედ იტყვან მისვე და ერთისა სახოვანისა სახისა მიმდგომთა განუყოფეთელთა; ხოლო სხუა-არსად და სხუა-ბუნებად და სხუა-ნათესავად და

ვობისა და მდგომარეობისა არს სახე თითოეულისა დაბადებულებისა, ვითარ-იგი დაებადა თითოეული არსთაგან ღმრთისა მიერ მოძრაად გინა უძრაად<sup>ა</sup>.

2. არარა ABC.

1. ვითარ-იგი ვითარ B. რომელი-იგი B.

2. ძრვისა C.

1. სახოვანსა B. ხატოვან-ქმნილი<sup>ბ</sup> B.

2. სახოვანსა B. თანა-მონათესავედ C. თანა-მონათესავედ და თანა-მოხატოვნედ იტყვან თანა-მონათესავედ იტყვან და თანა-მოხატოვნედ B. სახოვნისა AC. სხუა-ნათესავად B.

ხატად იტყვან თვთ მას სახოვანსა სახესა.

3. რამეთუ შეუძლებელ არს სახე სხუასა სახესა და ბუნებაჲ სხუასა ბუნებასა ანუ არსებაჲ სხუასა არსებასა თანა-ყოფად, არა თუ იყვენ ივინი სხუა-არს და სხუა-ბუნება და სხუა-ხატ გინა შესახედავ.

4. ჯერ-არს უკუე ცნობად, ვითარმედ შეუძლებელ არს ორთა ბუნებათაგან ქმნად ერთი ბუნებაჲ შეზავებული, რამეთუ ვერ შესაძლებელ არს ხილვად სახე სხუასა სახესა შინა, ანუ ბუნებაჲ სხუასა ბუნებასა, ანუ არსებაჲ სხუასა არსებასა, ვითარმცა არა შეცვალებულ იყო სხუად. არსებად, სხუად ბუნებად და სხუად ხატად.

5. ჯერ-არს ცნობად, ვითარმედ შეუძლებელ არს ორთა არსებათა, ესე იგი არს, ბუნებათაგან ერთ-ბუნება შეზავებულ-ყოფად, რამეთუ ვერ ეგების ერთსა და მასვე შინა წინა-აღმდგომად განყოფილსა, რამამცა აქუნდეს-ლა შეკრებიონი თითოსახეობანი.

6. ხოლო ერთ-გუამ შეზავებულ-ყოფად შესაძლებელ არს განყოფილთა მათცა ბუნებათაგან, ვითარ იგი კაცი სულისაგან და კორცთა შეზავებულ არს. რამეთუ დაღაცათუ ერთ-ბუნებად ითქუმის კაცი, არამედ არა ერთისა ოდენ ბუნებისაგან არს აგებულებაჲ თითოეულისა კაცისაჲ, რამეთუ ერთად ბუნებად შეზავებულად ითქუმის ყოველი ბუნებაჲ კაცთაჲ, ვინაჲთაგან ერთსა სახესა შეზავებულსა გუამოვნებისასა სრულ-ჰყოფენ ყოველნი კაცნი.

7. ხოლო ერთ-ბუნებად არა ითქუმის თით(17r 1)ოეული გუამოვნებაჲ კაცთაჲ. რამეთუ თითოეული გუამი კაცთაჲ ორთა ბუნებათაგან

სხუა-სახედ და სხუა-ხატოვნებად სახოანთა სახეთა იტყვან.

3. რამეთუ შეუძლებელ არს სახისაჲ სხუსა სახისა მიმართ, ანუ ბუნებისაჲ სხუსა ბუნებისა, ანუ არსებისაჲ სხუსა არსებისა არა სხუა-არსება და სხუა-ბუნება და სხუა-ხატოვნება ყოფაჲ.

4. ჯერ-უკუე-არს უწყებად, ვითარმედ შეუძლებელ არს ორთა არსებათა, ესე იგი არს, ბუნებათაგან ერთი ბუნებაჲ შეზავებული ქმნად, რამეთუ შეუძლებელ არს მისვე და ერთისა შორის მყის-თანად ყოფაჲ წინააღმდგომად განყოფილთა შემამტკიცებელობითთა განყოფილებათაჲ.

6. ხოლო გუამი ერთი შეზავებული თითოეულთა ბუნებათაგან შესაძლებელ არს ქმნად, ვითარცა კაცი სულისაგან და კორცთა შეზავებულ არს. რამეთუ დაღაცათუ ერთი ბუნებაჲ ითქუმის კაცთაჲ, არამედ არა ერთ-ბუნებად ითქუმის თითოეული, რამეთუ ერთი ბუნებაჲ კაცთაჲ შეზავებული ითქუმის ამით, რამეთუ ერთისა სახისა ქუეშე დაიწესებთან შეზავებულნი გუამნი ყოველთა კაცთანი.

7. ხოლო ერთისა ბუნებისად არა ითქუმის თითოეული კაცი ამისთვის, რამეთუ თითოეული გუამი კაცთაჲ

სახოვანთა B.

3. სხუა-არსებაჲ ანუ სხუა-არსება C.

4. განყოფილებათა C\*.



შეზავებულ არს: სულისაგან, ვიტყვ, და კორცთა, და შეურევენლად სცავს თვთებასა მათსა თავსა შორის თვსსა და ამას წამებს სიკუდილისამიერი განყოფაჲ მათი.

მს. გუამისათჳს

28 x:(μγ')

მს. გუამისათჳს

1. გუამოვნებისა სახელი ორსა მოასწავებს: ოდესმე ყოველსავე აგებულებასა, — რომლისა შესწავებაჲ ესე არს, ვითარმედ ერთი და იგივე არს არსებაჲ და გუამი, ვითარ-იგი წმიდათა მამათაგანთაცა ვრეთმე ეგრეთვე თქუნეს: ბუნებანი, ესე იგი არიან, გუამოვნებანი; — და ოდესმე თვსაგანსა და თვთ-შეკრებულსა გუამოვნებასა, ვითარ-იგი მოსასწავებელსა მას განუკუეთელობაჲ მოასწავებდეს, განყოფილი რიცხვსა მიერ, ესე იგი არს, პეტრეს და პავლეს და მას რომელსაჲ ცხენსა.

2. ჭერ-არს ცნობად, ვითარმედ არცა არსებაჲ სახე არს თავით თვისით, არცა — განყოფილებაჲ არსებითი, არცა — სახე და არცა — შემთხვევითი, არამედ მხოლოდ გუამოვნებანი, რომელ არიან განუკუეთელობანი. და მათ შორის არსებაჲ და არსებითნი განყოფილებანი სახეთა და შემთხვევათა მიმართ ხედვენ.

3. და ესე არსებაჲ ყოველთა გუამთა შინა სწორებით იხილვების: უსულოთა და სულიერთა, სიტყვერთა და პირრუტყუთა, მოკუდავთა და უკუდავთა.

4. (17r II) ხოლო არსებითნი განყოფილებანი სხუანი არიან უსულოთა შორის და სხუანი — სულიერთა,

ორთა ბუნებათაგან შემოკრებულ არს: სულისაგან, ვიტყვ. და სხეულეთა კორცთა, და შეურევენლად სცავს მათ მის შორის და მოწაჲ არს სიკუდილისამიერი განყოფაჲ მათი.

1. გუამისა სახელი ორსა დაჰნიშნავს: ოდესმე უკუე მარტივად მყოფობასა, — რომლისა დანიშნვისაებრ იგივე არს არსებაჲ და გუამი, რომლისათვისცა ვიეთმე მამათაგანთა თქუნეს, ვითარმედ ბუნებანი, რომელ არიან გუამნი; — ხოლო ოდესმე თავით თვისითა და განთვსებულად შემტკიცებულსა მყოფობასა, რომლისა დანიშნვისაებრ განუკუეთელსა ცხად-ჰყოფს, განყოფილსა რიცხვთა, ესე იგი არს, მას ვისმე პეტრეს, პავლეს ანუ მას რომელსაჲ ცხენსა.

2. რამეთუ საჰმარ არს ცნობად, ვითარმედ არცა არსებაჲ ხილულ არს თავით თვისით თვსაგან შემტკიცებული, არცა — არსებითნი განყოფილებანი, არცა — სახე, არცა — შემთხვევითი, არამედ მხოლოდ — გუამნი ოდენ, რომელ არიან განუკუეთელნი. და მათ შინა იხილვებიანი არსებაჲ და არსებითნი განყოფილებანი, სახე და შემთხვევითნი.

3. და მარტივი უკუე არსებაჲ (47v I) ყოველთა გუამთა შორის იგივედ და ერთად იხილვების: სულიერთა და უსულოთა, სიტყვერთა და უსიტყველთა, მოკუდავთა და უკუდავთა.

4. ხოლო არსებითნი განყოფილებანი სხუანი არიან უსულოთა შორის და სხუანი — სულიერთა შორის.

სიკუდილისა მიერ BC.

1. თვთ-შეკრებულსა თვით-შეკრებულსა C. ვითარ-იგი+თვთ B.

2. არსებაჲ? არსებაჲ A.

4. განყოფილებანი? განწვალებანი B.

სხუანი — პირმეტყუელთა და სხუანი — პირუტყუთა, სხუანი — მოკუდავთა და სხუანი — უკუდავთა. და რამთა მარტივად ვთქუა: თითოეულსა სახოვანსა სახესა შინა იგივე გუამოვნებანი შეაერთებენ მათ ურთიერთას სიტყუთა გუამოვნებისადათა და განჰყოფენ მათ სსუა-სახეთა გუამოვნებათაგან.

5. და ეგრეთვე შემთხვევითთადაც მათ შორის, რომელნი იგიცა გუამოვნებისა მიმართ ხელევენ, განჰყოფს თითოეულსა გუამოვნებასა ერთ-სახეთაგან გუამოვნებათა, ვინაჲცა განჰკუთვითელი საკუთრად განიკუთვნებს გუამოვნებისა სახელსა, რამეთუ მას შინა შემოკრებების მოქმედებაჲ არსებობსაჲ მის თანა შემოკრებითა შემთხვევითთადათა.

ათ. პირისათჳს

29 ალ'(აზ')

პჳ. პირისათჳს

1. პირი არს, რომელი-იგი თჳსთა მოქმედებათაგან და თჳსებათა განცხადებულად და განსაზღვრებულად წარმოგვიჩინდეს ჩუენ საჩინოებასა თჳსისა არსებისასა, ვითარ-იგი გაბრიელ ჰზრახვიდა რაჲ წმიდისა ღმრთისმშობელსა, რომელი-იგი ერთი ანგელოზთაგანი იყო და მხოლოდ მუნ წარმოდგომილ იყო და ჰზრახვიდა, ამისთჳსცა განყოფილ იყო მის თანა ერთ-სახეთა მათ და ერთ-არსთა ანგელოზთაგან ადგილსა მას გარდამოსლვითა და მზრახველობითა. და პავლე საყდართა წინაშე რაჲ სიტყუა (17v 1)-უგებდა, ერთი კაცთაგანი იყო და თჳთებითა და მოქმედებითა სხუათა კაცთაგან განშორებულ იყო.

ოითოშელსა B.

1. ~ რაჲ წინაშე BC.

რის, ეგრეთვე მოკუდავთა შორის — სხუანი და უკუდავთა შორის — სხუანი; და მარტივად ითქუმოდენ: თითოეულსა სახოვნისა სახისა გუამოვნებათა შორის — იგინივე და ერთნი, რამეთუ შეაყოფენ მათ სიტყუთა არსებისადათა, ხოლო განაშორებენ მათ სხუა-სახეთა გუამოვნებათაგან.

5. ეგრეთვე შემთხვევითნი მათ შინა, ესე იგი არს, გუამთა შინა იხილვებთან, რომელნი განაშორებენ თითოეულსა გუამსა თანა-მოსახეთა გუამთაგან, რომლისათჳსცა განუკუთვლემან დაიმკვდრა საკუთრად სახელი გუამოვნებისაჲ, რამეთუ მის შორის მოიგო არსებაჲმან მოქმედებაჲ, მიმხუმელმან შემთხვევითთაჲმან.

1. პირი არს, რომელი თჳსთა მოქმედებათა და თჳსებათა მიერ ცხადსა და თანა-მეტომეთა თჳსთაგან განყოფით გამოსაზღვრებულსა საცნაურებასა მომცემდეს ჩუენ. ვითარ-იგი გაბრიელ წმიდისა ღმრთისმშობელისა მიმართ მზრახველი ერთი იყო ანგელოსთაგანი და მხოლოდ მუნ წარმოდგომილი ეზრახებოდა მას, განყოფილი თანა-არსთა თჳსთა ანგელოსთაგან ადგილსა მას მოსლვითა და მზრახველობითა. და პავლე ხარისხთა ზედა ერის მზრახველი, ერთად კაცთაგანად მყოფი, თჳსებათა მიერ და მოქმედებათა მისთა სხუათა კაცთაგან განიყოფეოდა.

1. მოქმედებათა და თჳსებათა მიერ AC] მოქმედებათა მიერ და თჳსებათა B. ანგელოზთაგანი BC. ანგელოზთაგან C.

2. ხოლო ჯერ-არს უწყებად, ვითარმედ წმიდათა მამათა გუამსა და განუკუეთელსა და პირსა ერთად სახელ-სდევს, ვითარცა თავსა შორის თვისსა შემომკრებელთა კელმწიფებისათა ყოველთავე ზედა შემთხვევითთა საქმეთა და რიცხვთა განყოფილთა და მათუწყებელთა ვინაობისათა, ვითარ-იგი არიან პეტრე და პავლე და ესე რომელიმე ცხენი. ხოლო ეწოდების გუამსა სახელი ესე გუამოვნებისაჲ მდგომობისათჳს და მყოფობისა.

ლ. ერთგუამოვანი ოდესმე მარტივად გუამსა სახელ-ედების, — რომლისა მოსწავებითა არა ხოლო მარტივად არსებასა ერთ-გუამად უწოდოთ, არამედ — შემთხვევითისაცა, რომელი-იგი საკუთრად არა ერთ-გუამ არს, არამედ სხუა-გუამი; — ხოლო ოდესმე თვთ მას ოდენ გუამსა, ესე იგი არს, განუკუეთელსა ხოლო საცნაურ-ჰყოფს, რომელი-იგი საკუთრად არა ერთ-გუამ, არამედ გუამ არს და ეწოდების.

2. ხოლო საკუთრად ერთ-გუამ არს: ანუ იგი, რომელი თავით თვისით ეწერ შეკრებოდის, არამედ სხუათა გუამთა შინა იხილვებოდის, — ვითარ-იგი სახე, ესე იგი არს, ბუნებაჲ კაცთაჲ თვისსა გუამსა შინა არა იხილვების, არამედ პეტრეს და პავლეს და სხვა კაცებისა გუამთა შინა; — (17V 11) ანუ იგი, რომელსა სხუათა თანა, არსებითა განყოფილთა, ყოვლად მიედოს შობაჲ ვიეთობისაჲ და მიერ ერთსა აღასრულებდეს შეზავებულსა გუამოვნებასა, — ვითარ-იგი კაცი სულისაგან და

2. ხოლო სათანადო არს უწყებად, ვითარმედ წმიდათა მამათა გუამი და განუკუეთელი და პირი მასვე და ერთსა უწოდეს, რომელი თვისაგან თავით თვისით შემტკიცებით მდგომარე და არსებისაგან და შემთხვევითთა შემოკრებულ იყოს და რიცხვთა განყოფებოდის და მას ვესმე ცხად-ჰყოფდეს, ვითარ-იგი პეტრეს, პავლეს და მას რომელსამე ცხენსა. ხოლო ითქმის გუამი შემტკიცებითისა შეგუამებისათჳს.

კთ. გუამოვნისათჳს

1. ხოლო გუამოანი ოდესმე უკუე მარტივად მყოფობასა ცხად-ჰყოფს, — რომლისა დანიშნვისაებრ არა მარტივსა არსებასა ხოლო გუამოვნად ვიტყვოთ, არამედ — შემთხვევითისაცა, რომელი საკუთრად არა გუამოანი არს, არამედ სხუა-გუამი; — ხოლო ოდესმე განთჳსებულსა გუამსა, ესე იგი არს, განუკუეთელსა ცხად-ჰყოფს, რომელი საკუთრად არა გუამოანი, არამედ გუამი არს და სახელ-ილების.

2. ხოლო საკუთრად გუამოანი არს: ანუ თვისაგან ვიდრემე არა შეგუამებულსა, არამედ გუამთა შინა ხილული, — ვითარ-იგი სახე, რომელ არს ბუნებაჲ კაცისაჲ, თვისისა გუამისა შინა არა იხილვების, არამედ პეტრეს და პავლეს და სხუათა კაცთა გუამებასა შინა; — ანუ სხვა თანა, არსებითა განყოფილისა. ქმნაჲ ვისგანმე ყოვლითურთისა შეზავებისაჲ და ერთისა შესრულებაჲ შე-

2. განყოფილისა B.

1. გუამოანი<sup>1</sup> B. გუამოანი<sup>2</sup> BC. არა გუამოანი C.

2. თვისთა გუამთა C.

1. სხვა-გუამ C.

კორცთა შეერთებულ არს და არცა მხოლოდ სულსა ეწოდების გუამ, არცა მარტოდ კორცთა, არამედ ორნივე — სული და კორცნი — ერთ-გუამ არიან, რამეთუ ორთაგან სრულქმნილი იგი ორთავე მათ გუამ არს. ხოლო გუამი საკუთრად მას ოდენ ეწოდების და არს, რომელი თავსა შორის თვსსა მარტოდ შემოკრებოდის და სრულ-იქმნებოდის.

3. კუალად უკუე ერთ-გუამ ითქუმის სხვსა არსებისაგან მოღებული ბუნებად და თავსა შორის თვსსა სრულ-მყოფელი გუამოვნებისაჲ ვინაჲცა კორცნი უფლისანი ვერ გუამ-იქმნენს თავით თვსით არცაღათუ წამსა ჟამისასა, ამისთვისცა არა გუამ, არამედ უფროჲსლა ერთ-გუამ არიან, რამეთუ მიხუზულ იქმნეს და შეერთებულ სიტყვსაგან ღმრთისა და მარადის ერთ-გუამ არიან მის თანა და შეუცვალებლად აქუნდა და აქუს ერთგუამობაჲ იგი.

ზავებულისა გუამისაჲ, — ვითარ-იგი კაცი სულისაგან და კორცთა შეზავებულ არს და არცა მხოლოდ სული ოდენ ითქუმის გუამად, არცა კორცნი, არამედ — გუამოვნად, ხოლო ორთაგანვე შესრულებული იგი — ორთავე გუამად. ეინაჲთვან არცა სული თვსაგან თავით თვსით გუამ-ქმნილ არს, არცა კორცნი, არამედ თანად ორნივე. რამეთუ საკუთრად გუამად თვსაგან თავით თვსით მდგომი არსცა და სახელიდების.

3. კუალად ითქუმის გუამოვნად სხვსა გუამისა მიერ მიღებული ბუნებად და მის შორის მომგებელი ყოფისაჲ. რომლისათვსცა კორცნი უფლისანი, არა გუამ-ქმნილნი თავით თვსით არცა წამსა ჟამისასა, არა გუამ, არამედ უფროჲსლა გუამონ არიან, რამეთუ გუამსა შინა სიტყვსა ღმრთისასა შეგუამდეს მის მიერ მიხუზულნი იგი და იგი აქუნდა და აქუს გუამად.

ლ. უგუამოდსათჳს

31 xმ'(μζ')

ლ. უგუამოდსათჳს

1. და უგუამობაჲცა ორ-სახედ ითქუმის, რამეთუ ოდესმე უგუამო ეწოდების მას, რომელი არცა ოდეს ყოფილ იყოს და არცა ყოფად იყოს; ხოლო ოდესმე — მას, რომელსა არა თავსა შორის თვსსა აქუნდეს ყოფაჲ, არამედ — სხუასა შინა, ვითარ-იგი არს შემთხუევიითი.

მათ — BC.

3. მიხუზულ B.

1. სხვასა C.

1. და უგუამობაჲცა ორ-გუარად ითქუმის, რამეთუ ოდესმე არეითა არა-რაჲთ მყოფსა დაპნიშნავს, რომელ არს უმყოფოჲ; ხოლო ოდესმე — არა თავსა შორის თვსსა მყოფსა, არამედ სხვსა შორის მქონებელსა ყოფისასა, რომელ არს შემთხუევიითი.

არსცა] არცა B. 3. გუამოვან B. შეგუამდეს] შემტკიცენს C. იგი' — C.

1. არაიითა B.

(18 r)

82 λ.(μζ')

ლზ. ვითარებად არსებამ ნათესავთან  
ნათესავ არს და განიყოფიბის

1. არსობამ განიყოფიბის არსები-  
თად და შემთხვევითად, არა ვითარ-  
ცა ნათესავი — სახედ, არამედ ვი-  
თარცა ერთ-სახელთა კმა — ერთი-  
საგანად.

2. არსება

გუამად და უგუამობად  
გუამი  
სულიერად და უსულოდ  
სულიერი  
მგრძნობელად და უგრძნობელად  
ცხოველად ნერგად  
მგრძნობელი ცხოველი  
სიტყვერად და პირუტყუად  
სიტყვერი  
მოკუდავად და უკუდავად  
მოკუდავი

კაცად: პეტრედ და ცხენად, ძალად  
პავლედ და სხუად და სხუად  
ნაწილებად კაცებისა, ეგვეითარად\*.  
რომელნი-იგი არიან  
განუკუთმულ და გუამ  
და პირ.

ლა. განვალეზამ მყოფისა და  
არსებისად

1. მყოფი განიწვალეზის არსებად  
და შემთხვევითად, არა ვითარცა ნა-  
თესავი — სახედ, არამედ ვითარცა  
სახელ-მოდგამი კმა ანუ ვითარცა  
ერთისაგან და ერთისა მიმართ\*.

2. სხეული

სახე არსებისად და ნათესავი  
სულიერისად  
სულიერი  
სახე სხეულისად და ნათესავი  
მგრძნობელისად  
მგრძნობელი ცხოველი  
სახე სულიერისად და ნათესავი  
სიტყვერისად  
სიტყვერი  
სახე ცხოველისად და ნათესავი  
მოკუდავისად  
მოკუდავი  
სახე სიტყვერისად და ნათესავი  
კაცისად  
კაცი  
სახე სახონი რამეთუ სახე არს  
მოკუ[და]ვისად  
და სახე პეტ[რე-  
სი] და პავლესი.

83 λ.α'(μζ')

(18 v 1) ლზ. თითო-სახისათჳს  
განყოფილებისა

1. გუამი სახე არს არსებისად და  
ნათესავი — სულიერებისად. სული-  
ერი სახე არს გუამისად და ნათესა-  
ვი — გრძნობადისად. გრძნობადი  
ცხოველი სახე არს სულიერისად და  
ნათესავი — სიტყვერისად. სიტყვე-  
რი სახე არს ცხოველისად და ნათე-  
სავი — მოკუდავისად. მოკუდავი სა-  
ხე არს სიტყვერისად და ნათესავი —  
კაცისად. კაცი სახოვანი სახე არს,

1. (48r II) სხეული უკუე სახე  
არს არსებისად და ნათესავი — სუ-  
ლიერისად. სულიერი სახე არს სხე-  
ულისად და ნათესავი — მგრძნობე-  
ლობითისად. მგრძნობელობითი ცხო-  
ველი სახე არს სულიერისად და ნა-  
თესავი — სიტყვერისად. სიტყვე-  
რი — სახე ცხოველისად და ნათესა-

2. \* სქემა ტექსტშია ჩართული ABC.

1. \* A ნუსხაში მარცხენა აწიზებ დაითუ-  
ლია სქემა. B ნუსხაშიც ამ თავის გასწვრივ  
აწიზება.

რამეთუ სახე არს მოკუდავისაჲ და სახე პეტრესი და პავლესი, რომელნი-იგი არიან ბუნება და ხატება და არსება სიტყვსაებრ წმიდათა მამათაჲსა.

2. ამათსა შორის ნათესაეონისა ნათესავისა, ესე იგი არს, არსებისა და შორის სახოვნისა სახისა, ესე იგი არიან, კაცი და ქარი, ნათესავნი არიან ურთიერთას და სახენი. და ამათ ეწოდების არსებითი და ბუნებითი განყოფილება და რომელი-ბაჲ, რომელნი-იგი განყოფებიან ზენა კერძო და შეკრებებიან ქუეშე კერძო და განითვსებენ სახეთა სახოვანთა, შემოპკრებენ მათ და განყოფენ ბუნებასა ბუნებისაგან.

ლლ. თჳსაბინათჳს არსაბინა და 84 ლა' (μϛ') კვ. მირმისა არსაბინათჳს მოძღვრებისა

1. აწ უკუე თუ რაჲ არს არსებაჲ და ბუნებაჲ და ხატებაჲ და თუ რაჲ არს გუამი და განუკუეთელი და პირი, ერთ-გუამი და უგუამოჲ და თუ რაჲ არს განყოფილებაჲ არსებისა და შემთხუეეთისაჲ და ვითარმედ

ბუნებაჲ და ხატებაჲ და არსებაჲ C.  
2. ქუშ-კერძო BC. შემოკრებენ BC.

ვი — მოკუდავისაჲ. მოკუდავი — სახე სიტყვერისაჲ და ნათესავი — კაცისაჲ. კაცი სახე არს სახოანი, რამეთუ სახე არს მოკუდავისაჲ და სახე — პეტრესი და პავლესი, რომელ არს ბუნებაჲ და ხატოვნებაჲ და არსებაჲ წმიდათა მამათაებრ.

არსებაჲ უკუე ნათესავოანი არს და ესე განყოფვის სხეულად და უსხეულად; სხეული — სულიერად და უსულად; სულიერი — მგრძობელად ცხოველად და უგრძობელად ცხოველ-ნერგად და ნერგად; ცხოველი — სიტყვერად და უსიტყუელად; სიტყვერი — მოკუდავად და უკუდავად; მოკუდავი — კაცად, ქარად, ძალად და ეგვეითარად; კაცი — პეტრედ, პავლედ და სხუად თითოეულად კაცად, რომელნი არიან განუკუეთელ და გუამ და პირ.

2. ხოლო საშუალ ნათესავოანისა ნათესავისა, რომელ არს არსებაჲ, და სახოანისა სახისა ვიტყუ უკუე კაცსა, ქარსა და ეგვეითართა, ნათესავნი და სახენი არიან ურთიერთას. და ესენი ითქუმიან არსებითად და ბუნებითად განყოფილებად და ვითარებად, განმწვალთელობითნი უზენაესთანი და შემამტკიცებლობითნი ქუემოთანი და სახისმოქმედებითნი სახოანთა სახეთანი, შემამტკიცებელნი მათნი და განმწვალებელნი ბუნებისანი ბუნებისაგან.

1. რაჲ უკუე არს არსებაჲ, ეგერა ითქუა, და რაჲ განყოფილებაჲ მისი შემთხუეეთითა მიმართ, ვითარცა

მოკუდავი სახე სიტყვერისაჲ და ნათესავი კაცისაჲ — B. სახოანი C.

2. სახოანისა C.

სთ. მერმეცა არსებისათვის B.

1. განყოფილება A.

მათ (18v II) შორის აქუს გუამოვნება და განყოფილებისათვისცა მათისა და თუ ვითარ განყოფების არსება არსებითთა თითოსახეობათაგან და ვითარმედ მათ მიერ გამოსახული არსება მას რომელსამე სახესა სრულ-ჰყოფს და ესევითარად და ეგევითარად რადმე იქმნების — ამის ყოვლისათვის ზემო თქმულ არს.

2. ამას თანა ითქუა ესეცა, თუ რაა არს ბუნება, რაა არს შესახედავი, ანუ რაა არს გუამი და პირი და განუკუთვლელი და თუ ვითარ ჰგონებდეს ამათ პირთათვის გარეშენი იგი ფილოსოფოსნი, ანუ თუ ვითარ განჰმართეს წმიდათა მამათა, ნამდვლევ ქეშმარიტისა მის სიბრძნისმოყუარებისა მოწაფეთა.

3. ხოლო აწ მოვედით და თვსებისათვის არსებისა და მოძღურებისა ვიტყუოდით:

4. თვს უკუე არსებისა არს, რაათა არაგის ზედა დაერთვოდის ანუ მოჰკიდვიდეს, არამედ უფროასლა მას ზედა დაერთვოდინ და მოჰკიდვიდენ შემთხუევითნი. და არა სხუათა თანა მას ჰქონდის აგებულება, არამედ სხუათა მის შორის ჰქონდის გუამოვნება და აგებულება. რამეთუ ესე თუთებათა არს საქმე და არსებითთა განყოფილებათა, რამეთუ თანა-მოკიდული და ზედა-დაართული არცა თანა-ყოფითა აცხოვნებს, არცა განშორებითა განხრწნის გუამსა. ამისთვისცა არცა განსაზღვრებასა შინა შემოიღებვის, რამეთუ უეჭუელად შემთხუევიითი არს.

5. (19r I) ხოლო არსებითნი განყოფილებანი არა შემთხუევიითნი არიან და თანა-ყოფა მათი მაცხოვრებელ და განშორება მათი განმხრ-

მის შორის მქონებელთა ყოფისათა. ხოლო თქმულ არს განწვალებისათვისცა მისისა და რაათა განუყოფვის არსება არსებითთა განყოფილებათა, ვითარმედ მათ მიერ სახე-დადებული არსება მას რომელსამე სახესა სრულ-ჰყოფს და ეგევითარად რადმე იქმნების.

2. თქმულ არს უკუე ესეცა, რაა არს ბუნება და ხატოვნება და რაა — გუამი და პირი და განუკუთვლელი; თუ ვითარ ითნებდეს ამათვის გარეშენი და ვითარ წმიდანი მამანი, ქეშმარიტისა და სრულსა ფილოსოფოსობისა მოწაფენი და მოძღურარნი, მართლ-მკუთვლადღეს.

3. მოვედ უკუე აწ და თვსნიცა არსებისანი წარმოვთქუნეთ:

4. განთვსებულებით თვს არსებისა არს არა ქუედმდებარესა შინა ყოფა, რამეთუ უფროასლა იგი აქუს ქუედმდებარედ შემთხუევიითთა ყოფისა მიმართ და არა მას სხუასა შინა აქუს ყოფა. ხოლო ესე არსებითთაცა განყოფილებათა არს განთვ[47r 1]ებულება, რამეთუ ქუედმდებარისაშინა არცა მყოფი აცხოვნებს, არცა არა-მყოფი განხრწნის, რომლისათვის არცა საზღვარსა შინა მოიქსენების, რამეთუ ნამდვლევ შემთხუევიითი არს.

5. ხოლო არსებითნი განყოფილებანი არა არიან შემთხუევიითნი და რამეთუ მყოფნი აცხოვნებენ და არამყოფნი განხრწნიან, რომლისათვის საზღვარსა შინა მოიქსენებიან.

4. განსაზღვრებასა B.

2. და ვითარ] და თუ ვითარ B.  
4. რომლისათვისცა B.

წნელ არს გუამისა, ამისთვისა განსაზღვრებასა მიიღებენ.

6. ხოლო თვს თანა-მოსახელესა-ცა სახელ-ედების, ვითარმცა მისცემდა სახესა და სახელსა და განსაზღვრებასა და არარაჲ აქუნდა წინააღმდგომი, — რამეთუ ქვასა, ესე იგი არს, არსებასა ქვისასა, არარაჲ აქუს მის შორის წინააღმდგომი, — და არა-მითუალვად უფროასობისა და უმცროასობისაჲ, — რომელი-ესე არსებითთა განყოფილებათა თვს ეყვის, რამეთუ არა არს კაცი უფროას ცხენისა არსებითა ანუ ცხოველობითა, არცა ცხენი უფროას არს კაცისა; —

7. და წინააღმდგომსა შემწყნარებელ არს კერძოჲ მათი და არა თავისაგან თვისისა, არამედ თავსავე შორის თვისსა მიითუალვენ შეცვალებასა. ხოლო წინააღმდგომსა შემთხუვეითად უკუე უწოდ, გარნა არსებითად — არასადა, რამეთუ სიტყვერი არა შეიწყნარებს პირუტყობასა, ხოლო კორცნი ოდესმე განტყვებიან და კუალად შეიცვალებიან და განგრილდებიან და ეგრეთვე სული ოდესმე სათნოებისა და ოდესმე უკეთურებისა შემწყნარებელ არს.

6. ხოლო განთვსებულება არს თანამოსახელეობითცა შესმენად, რომელ არს მიცემაჲ სახელისაჲცა და საზღვრისაჲ და არა-ქონებაჲ წინააღმდგომისა რაჲსმე, — რამეთუ ქვისა არა წინააღმდგომ არს თვთ იგი არსებაჲ ქვისაჲ; — და კუალად არა-მითუალვად უფროასუმცროასობისაჲ, — ხოლო ესე განთვსებულებაჲ არსებითთაჲცა განყოფილებათაჲ არს, რამეთუ არა არს კაცი უფროას ცხენისა არსება ანუ ცხოველ, არცა ცხენი უფროას კაცისა; —

7. და შემწყნარებელ-ყოფად ურთიერთას წინააღმდგომთაჲ და არა თვთ, არამედ თვსებითა თვისითა შეცვალებადობაჲ. და წინააღმდგომობასა ვიტყვ შემთხუვეითთასა, ხოლო არსებითთა ზედა — არასადა. რამეთუ სიტყვერი არა შეიწყნარებს უსიტყუელობასა, ხოლო სხუელენი განკურდების და შეცვალებული კუალად განგრილდების და სული ოდესმე შეიწყნარებს სათნოებასა, ხოლო ოდესმე — სიბოროტესა.

### 35 ლβ'(μბ')

ლუ (19r II) მირმეცა მრთ-ნათესავთა და მრთ-სახმეთათს, სხუა-ნათესავთა და სხუა-სახმეთათს, მრთ-გუამთა და რიცხვთა განყოფილთათს

1. მრთ-ნათესავ არიან, რომელნი მასვე შესმენასა ქუეშე განიწყესბოდინ, ვითარ-იგი რაოდენნი არსებასა და სხუათა მათ ცხრათა შესმენათა ქუეშე, რამეთუ ჭერ-არს ცნობად,

ლზ. მირმეცა თანა-მონათესავთა და თანა-მოსახმთა, სხუა-ნათესავთა და სხუა-სახმთა და რიცხვთა განყოფილთათს

1. თანა-მონათესავე არიან, რაოდენნი მისვე შესმენისა ქუეშე დაიწყესბიან, ვითარ-იგი რაოდენნი არიან არსებისა ქუეშე. ესრეთვე სხუათაცა ცხრათა შესმენათა ზედა.

განსაზღვრებასა C.

6. შორისწინა B.

7. მითუალვენ C.

სათ. რიცხუთა A.

1. რამეთუქითარმედ BC.

სათ. თანა-მონათესავეთა C.

1. თანა-მონათესავე C.



ვითარმედ ათ არიან ყოველნი იგი შესმენანი, რომელნი შემოიღებვიან ყოვლისავე კმისა, მარტივად სახელდებულისაგან. ესე იგი არიან:

ა. პირველად, არსებაჲ, ვითარ-იგი არს ქვაჲ; ბ. მეორედ, რაოდენობაჲ, ვითარ-იგი არიან ორნი ანუ თუ სამნი; გ. მესამედ. ვისამიმართობაჲ, ვითარ-იგი არს ძე მამისა მიმართ; დ. მეოთხედ, რომელობაჲ, ვითარ-იგი არს სისპეტაკე და სიშავე; ე. მეხუთედ, სადაობაჲ, ვითარ-იგი არს დამასკეს, რომელი-ესე ადგილსა საცნაურ-პყოფს; 3. მეექვსედ, ოდესობაჲ, ვითარ-იგი არს გუშინ ანუ ხვალე, რომელნი-ესე ეამისა მათწყებელ არიან; ზ. მეშვიდედ, ქონებაჲ, რომელ არს ცუმაჲ შესამოსლისაჲ; 8. მერვედ, მდებარეობაჲ, რომელი არს ღგომაჲ ანუ ჯდომაჲ; თ. მეცხრედ, ქნაჲ. ვითარ-იგი არს წუვაჲ; ი. მეთედ, შემთხუევაჲ ანუ ენებაჲ, ვითარ-იგი არს დაწუვაჲ.

2. ხოლო სხუა-ნათესაჲ არიან, რომელნი-იგი სხუასა და სხუასა შესმენასა ქუეშე არიან. და თანა-მონათესაჲე უკუე არიან კაცი და ცხენი. რამეთუ ორნივე არსებასა შინა არიან. ხოლო სხუა-ნათესაჲე არიან კაცი და კელ[19v 1] ოგნებაჲ, რამეთუ კაცი არსებასა შინა არს, ხოლო კელოგნებაჲ — რომელობასა.

3. და კულად ერთ-სახე არიან, რაოდენნი მასვე სახესა ქუეშე განიწესებოდინ და ურთიერთას ეზიარებოდინ სიტყუთა არსებისაჲთა, ვითარ-იგი არიან პეტრე და პავლე, რამეთუ ორნივე ესე ერთსა სახესა ქუეშე არიან — კაცებისა.

2. რამეთუ სხუა-ნათესაჲნი არიან, რაოდენნი სხვსა და სხვსა შესმენისა ქუეშე არიან. და თანა-მონათესაჲე უკუე არიან კაცი და ცხენი, რამეთუ არსებისა ქუეშე არიან ორნივე. რამეთუ სხუა-ნათესაჲე კაცი და კელოგნებაჲ, რამეთუ კაცი ვიდრემე არსებისა ქუეშე არს, ხოლო კელოგნებაჲ — ვითარებისა.

3. კულად თანა-მოსახე არიან, რაოდენნი მისვე სახისა ქუეშე დაიწესებიან და ზიარ არიან სიტყუთა არსებისაჲთა, ვითარ-იგი პეტრე და პავლე, რამეთუ ორნივე ერთსა სახესა შინა არიან კაცისასა, თუთ კაცად მყოფნი და სახელდებულნი.

2. თანა-მონათესაჲე A, თანა-მონათესაჲე B.

3. ქუშ C. ქუშ C.

2. თანა-მონათესაჲე C.

3. კულად] და კულად C. თან-მოსახე B.

4. ხოლო სხუა-სახე არიან, რომელნი-იგი სახითა განიყოფებიან, ესე იგი არს, სიტყუთა არსებობისათა, ვითარ-იგი არიან კაცი და ცხენი.

5. ხოლო წმიდანი მამანი ერთ-ნათესავ და ერთ-სახე მათვე უწოდენ ერთ-არსთა, ესე იგი არს, რომელთა გუამოვნებად ერთ-სახე იყოს.

6. რამეთუ თანა-მოგუამე არიან, რაჟამს ორი ბუნებად ერთსა გუამსა შინა შეაერთონ და ერთი შეზავებულნი გუამი აქუნდეს და ერთი იყოს პირი სულისაგან და კორცთა შეერთებულისა მის გუამისა.

